ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 მარტი ხუთშაბათი 2011
№ 050 (13347) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლე მანის ქართველმა მეკარემ პსჟ 109 წუთი შეაჩერა და ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა

## მაკარიძის 7



3

გიორგი მაკარიძე ოაროს წინაალმდეგ

## ნადი ლუიჯან, ნადი!



## 7 ივნისს ფენომენს გაატილებენ

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ლეგენდარული რონალდოს გამოსათხოვარი მატჩის თარიღი გამოაცხადა. 34 წლის „ფენომენი" ბოლოჯერ ეროვნული გუნდის მაისურს 7 ივნისს ჩაიცვამს. იმ დღეს სან პაულუში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს.



## თითქმის ჩემპიონი

LFP



9

ვალენსია-ბარსელონა 0:1. მესიმ 27-ე გოლი გაიტანა

## ბაიერნს თასიც აღარ ერგება



8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ ნიკოლოზ გელაშვილთან



# ჩემპიონობა და ბომბარდირობა

## ფასი ამას ექნება

**ნიკა გელაშვილისთვის მიმდინარე წელიწადი უსიამოვნოდ დაიწყო – მას და გიორგი ხიდეშელს უდისციპლინობის გამო "ზესტაფონის" ესპანური შეკრების ნაადრევად დატოვებამ მოუწიათ და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ორივე კლუბს შეიცვლიდა. თუმცა მალე ყველაფერი მოგვარდა და ნიკაც და გიორგიც "ზესტაფონში" დარჩნენ. გელაშვილმა უმალ დაიბრუნა ადგილი გუნდის ძირითად შემადგენლობაში, საგოლე მონაგარიც შეივსო და თანაგუნდელ რატი წინამძღვრიშვილთან ერთად საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირთა დავასაც ლიდერობს.**

**განსაკუთრებით აქტიური და გამორჩეული იგი რუსთავის "ოლიმპთან" უპრინციპულესი მატჩისას იყო და გელაშვილთან საუბარი სწორედ ამ შეხვედრით დავიწყეთ. "ლელოს" მკითხველმა იცის, რომ რუსთაველთა კარში გატანილი გოლით ნიკა "ზესტაფონის" ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა...**

- ჩვენთვის სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი იყო და ეს გამარჯვება უდიდეს სამსახურს გაგვიწევს. მოხარული ვარ, რომ კონკურენტს ასე დამაჯერებლად ვაჯობეთ. ბუნებრივია, ძალიან გამახარა ჩემმა გოლმა, მაგრამ მთავარი მაინც გუნდის გამარჯვებაა.

**- ხომ არ ფიქრობ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "ზესტაფონს" ერთადერთი კონკურენტიღა შემორჩა?**

- ასე ნამდვილად არაა, რადგან სეზონის დასრულებამდე ჯერ დიდი დროა დარჩენილი და არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები. მართალია, "დინამო" "ზესტაფონსა" და "ოლიმპს" საკმაო სხვაობით ჩამორჩა, მაგრამ "დინამო" მაინც "დინამოა" და აუცილებლად გააუმჯობესებს თამაშის ხარისხსაც და შედეგებსაც.

**- საკუთარი ფორმით კმაყოფილი ხარ?**

- არა, ოპტიმალურ კონდიციებამდე ჯერ არ მისულვარ. ამის მიზეზი ესპანეთის ნაადრევად დატოვებაა. მართალია, ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი, მაგრამ გუნდთან ერთად გავლილი შეკრება სულ სხვაა. გაცდენილმა თამაშებმა ცოტა ფორმიდან ამომაგდო, მაგრამ საგანგაშო არაფერია. ოპტიმალურ ფორმაში რამდენიმე ტურის შემდეგ შევალ, როცა სისტემატური სათამაშო პრაქტიკა მექნება. თუმცა საკუთარ თავს უკეთესობას ნამდვილად ვატყობ. "დინამოსთან" ლამის გამარჯვების გოლი გავიტანე, მაგრამ ვერც იმ მატჩში და ვერც ცხინვალის "სპარტაკთან" ჩატარებულ შეხვედრაში კარგად ვერ ვითამაშე, აი "ოლიმპთან" კი უკეთესობა ნამდვილად მეტყობოდა.

**- "ოლიმპის" კარში გატანილი გოლით ბომბარდირობისთვის ბრძოლაში რატი წინამძღვრიშვილს გაუთანაბრდი.**

- დარწმუნებული ვარ, საუკეთესო ბომბარდირობისთვის სეზონის ბოლომდე დაძაბული ბრძოლა იქნება. გამარჯვების შანსი მეც მაქვს, რატისაც, ჯაბა დვალსაც და ოლიმპელ ირაკლი მოდებაძესაც. შესაძლოა, სხვებიც გააქტიურდნენ. რა თქმა უნდა, ჩემთვის ბომბარდირობა მნიშვნელოვანი მიღწევა იქნება, მაგრამ საქართველოს ჩემპიონობის გარეშე მას ფასი არ ექნება. მახარებს, რომ თავდასხმა "ზესტაფონის" ერთ-ერთი გამორჩეული რგოლია და კონკურენციაც მაღალია.

**- რის ხარჯზე იქცა "ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად?**

- მაღალი შედეგების მისაღწევად ყველანაირი პირობა გვაქვს შექმნილი. იდეალური საწვრთნელი გარემოს გარდა გვყავს საკუთარი საქმის ზედმიწევნით მცოდნე მწვრთნელები, გუნდი კარგად დაბალანსებული და შეთამაშებულია. უკვე წლებია, ერთად ვთამაშობთ და ამიტომ არცაა გასაკვირი, ასე კარგად რომ ვუგებთ ერთმანეთს. ერთი სიტყვით, "ზესტაფონის" პროგრესი აშკარაა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემპიონობისა და თასის მოპოვებისთვის მომწიფებულები ვართ. თუმცა მანამდე კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ბრძოლის მოგებაა საჭირო. მიმდინარე ჩემპიონატი განსაკუთრებით დაძაბულია და გამარჯვების მიღწევა აუტსაიდერთანაც კი ძალიან რთულია.

**- "ოლიმპის" შემდეგ კიდევ ერთი პრინციპული დაპირისპირება ქუთაისის "ტორპედოსთან" გელოდებათ.**

- "იმერული დერბის" ფასი და მნიშვნელობა ქართველმა გულშემატკივარმა კარგად იცის და მე და ჩემს თანაგუნდელებსაც მშვენივრად გვესმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი მატჩის ჩატარება მოგვიწევს. მეტოქე ძლიერი გვყავს, მაგრამ მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს.

**- რამდენად მზადაა "ზესტაფონი" იმისთვის, რომ ევროთასებზე შარშან ნაჩვენები შედეგი გააუმჯობესოს?**

- ევროპაში წარმატებულად ასპარეზობა საკმაოდ რთულია, მაგრამ ამის ძალა ნამდვილად შეგვწევს. ესპანურ შეკრებაზე "ზესტაფონი" ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალში გასულ სამ გუნდს ეთამაშა – კიევის "დინამოს", პრაღის "სპარტასა" და პოზნანის "ლეხს" და სამიდან ორ მატჩში ღირსეულ შედეგს მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა და გამარჯვება ასეთი დონის გუნდებთანაც შეგვიძლია. ესპანეთში მიღებული გამოცდილება სამომავლოდ ნამდვილად წაგვადგება.

**- "ზესტაფონში" ერთად ბრძოლას კიდევ რამდენი ხნით აპირებ?**

- კარიერის უკეთეს ლიგაში გაგრძელება ყველა ამბიციური ფეხბურთელის ოცნებაა, მაგრამ "ზესტაფონში" ჯერ საკუთარი თავი არ ამომიწურავს და კლუბის შეცვლას უახლოეს პერიოდში არ ვაპირებ.

**- საკუთარ სანაკრებო პერსპექტივას როგორ უყურებ?**

- იმედიანად. შარშან რამდენიმე სანაკრებო მატჩის ჩატარების საშუალება მომეცა და ბევრს ვიშრომებ იმისთვის, რომ ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრების შანსი ახლო მომავალში კიდევ მივიღო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

# რატომ ვერ თამაშობს მენთეშაშვილი

"ზესტაფონმა" ხორვატი ახალწვეულის **გორან გრუიცას** დარეგისტრირება დაგვიანებით შეძლო, **ზურაბ მენთეშაშვილის** განაცხადში შეყვანას კი ჯერაც ვერ ახერხებს. გრუიცას საკითხზე სისტემატურად ვწერდით და ამიტომ ამ ისტორიას აღარ შეგახსენებთ. მენთეშაშვილთან დაკავშირებით კი იმერულ კლუბს სულ სხვა სახის პრობლემა შეექმნა.

"ზესტაფონმა" მენთეშაშვილის ყოფილ კლუბ აშქელონის "ჰაპოელს" ფეხბურთელის სანაცვლო კომპენსაცია უკვე გადაურიცხა, თუმცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ისრაელის ფედერაციიდან მისი სატრანსფერო ფურცელი კვლავაც არ მიუღია. არადა, ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა პირველი მარტის დადგომისთანავე დაიხურა.

"ზესტაფონი" ამჯერად სფფ-ს არაფერში ედავება, უბრალოდ, კლუბი შეშფოთებულია შექმნილი სიტუაციით და იმედოვნებს, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ ნახევარმცველში გადახდილი თანხა წყალში არ გადაეყრება და მენთეშაშვილის გამოყენებას მალე შეძლებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელით კომენტარი პრესსამსახურის უფროსმა **ლაშა დვალიშვილმა** გააკეთა: *"პირველ რიგში, ვიმედოვნებთ, ამჯერად მაინც არ დაგვდებენ ბრალს "ზესტაფონის" წინააღმდეგ მიზანმიმართულ ბრძოლაში. კლუბთან ერთად ფედერაციის მიზანიცაა, რომ მენთეშაშვილმა რაც შეიძლება მალე ითამაშოს "ზესტაფონის" შემადგენლობაში. პრობლემა კი მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა და გვჯერა, რომ ყველაფერი ძალიან მალე მოგვარდება. ებრაული მხარისგან პასუხი 28 თებერვლის 24 საათის შესრულებიდან მცირე ხანში მივიღეთ, რამაც მენთეშაშვილის დარეგისტრირება შეაფერხა. როცა ფეხბურთელის დარეგისტრირება ტექნიკური პრობლემების გამო გვიანდება, ეს დაგვიანების საპატიო მიზეზად მიიჩნევა და მოთამაშის განაცხადში შეყვანას საფრთხე არ ემუქრება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საქმის არსი დეტალურად გააცნო როგორც ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას, ასევე უეფას. დარწმუნებულნი ვართ, ყველა პრობლემა ძალიან მალე გადაიჭრება და მენთეშაშვილს საქართველოს ჩემპიონატში თამაშის უფლება მიეცემა".*

**ლევან ჯანეზაშვილი**



სიონი

# ფეხბურთელებს უგულო დამოკიდებულებას არ ვაპატიებთ



გიორგი არევაძე

ბოლნისის "სიონი" 28 თებერვალს ცხინვალის "სპარტაკთან" დიდი ანგარიშით 0:3 დამარცხდა. თუმცა წაგებაც არის და წაგებაც - ბოლნისელებმა მეტისმეტად უსუსურად ითამაშეს. მატჩის შემდეგ კლუბში ყველა დაძაბული იყო - ფეხბურთელები, მწვრთნელები, ხელმძღვანელები. ეს ყველაფერი წაგებას მიაწერეს, ასეთ დროს კი ტაშ-ფანდურის ხასიათზე არავინ არის. თუმცა გვითხრეს, რომ სიონელთა უხასიათობის მიზეზი უფრო მნიშვნელოვანი რამ არის: გუნდს "მადნეულიდან" აცნობეს, თქვენი წლევანდელი გამოსვლით უკმაყოფილო ვართ და აღარ დაგაფინანსებთო.

გუშინ "სიონში" "მადნეულის" წარმომადგენელ **გიორგი არევაძეს** დავუკავშირდით და ჭორმართალში გარკვევა ვცადეთ.

*"ჩვენი სატკივარი ყველამ კარგად ვერ გაიგო. დასამალი არაფერია, მიმდინარე სეზონში "სიონის" გამოსვლით ძალიან უკმაყოფილო ვართ. გადავხედოთ სატურნირო მდგომარეობას და კალენდარს, სავალალო პოზიციაზე ვიმყოფებით და რაც მოსაგები გვქონდა, ყველა ის შეხვედრა წავაგეთ. "სპარტაკთან" მარცხმა ჩვენი მოთმინების ფიალა აავსო, ფეხბურთელები გავაკრიტიკეთ და "მადნეულში" მოითხოვეს პასუხი, რა სჭირს გუნდს და რატომ თამაშობდა "სიონი" ასე უჯიგროდ? ბოლოს და ბოლოს, ცხინვალელების მიმართ ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, "სპარტაკი" არც "დინამოა", არც "ზესტაფონი" და არც "ოლიმპი", რეალურად ჩვენი დონის კლუბია, რომელთანაც არ უნდა ვაგებდეთ, მით უფრო ასეთი ანგარიშით. მაგრამ "ზლაპრულად" ვითამაშეთ და სამი ქულა უჯიგრო ფეხბურთით დავთმეთ.*

*მწვრთნელების შეცვლას არ ვაპირებთ, პრეტენზიები ფეხბურთელებთან გვაქვს, მათ უნდა შეცვალონ საქმისადმი დამოკიდებულება. არასპორტულ საქციელს და მწვრთნელთან კონფლიქტსაც არავის ვაპატიებთ. ამის გამო დავითხოვეთ ლევან სანიკიძე. ყველას უნდა განაცხადში მოხვედრა, მაგრამ წინა შეხვედრაში თავს რომ ვერ გამოავლენ, ხვალ რატომ უნდა გათამაშო?*

*არც ის გამიგია, კონტრაქტის პირობები ცალმხრივად მხოლოდ კლუბმა უნდა შეასრულოს, ფეხბურთელს კი ვალდებულება არ გააჩნია? არ მსურს ყველა ერთ "ქვაბში" მოვათავსო, მაგრამ დაკვირვებული ვარ: მოსამზადებელ ეტაპზე, როდესაც გასასინჯად მოდიან, ფეხბურთელები თავს იკლავენ, მაგრამ იწყება ჩემპიონატი, კონტრაქტებს გაინაღდებენ და მათი 80 პროცენტი საქმეს უგულოდ ეკიდება. შესაძლოა, ფეხბურთის უბადლო მცოდნე არ ვარ, დეტალებშიც ბოლომდე ვერ ვერკვევი, მაგრამ ადამიანის ფსიქოლოგიას ვიცნობ და ასეთ რამეს ვერავინ გამომაპარებს. 4 წელი პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი და სტუდენტისა და ფეხბურთელის ფსიქოლოგია გარკვეულწილად ერთმანეთს ჰგავს, კარგად ვიცი, როდის ცდილობდნენ საქმის ჩაფარცხვას და როდის ეკიდებიან სწავლას თუ თამაშს გულიანად.*

*მხოლოდ ეს წაგება არ გამხდარა უსიამოვნო ლაპარაკის მიზეზი. თუ ფეხბურთელები ჯიგრით არ ითამაშებენ და მოედანზე თავს არ დადებენ, "მადნეულს" ფულის ტყუილად გადაყრა არ სურს. თანაც, ლაპარაკია არა ას და ორას ლარზე, კომპანია გუნდში წლიურად მილიონ ლარს ხარჯავს. მეც მშვენივრად ვიცი, გუნდში რაზე ანერვიულდნენ, კლუბის დირექტორმა ნუგზარ ლომთაძემ გასაგებად თქვა, თუ ასე გააგრძელებთ, "მადნეული" დაფინანსებას შეგიწყვეტთო. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ ფეხბურთელთა გამოსაფხიზლებლად და შესაშინებლად იყო ნათქვამი, კომპანია გუნდის ალალბედზე მიტოვებას და ფეხბურთიდან განზე დგომას არ აპირებს, მაგრამ ფეხბურთელებიც უნდა მიხვდნენ, რომ საქმისადმი ასე უგულო დამოკიდებულებას არავის ვაპატიებთ"* - გვითხრა არევაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# ამისულაშვილი კრასნოდარის კაპიტანი?

წინასწარ ვერავინ იტყვის, სეზონის მსვლელობის დროს რა მოხდება, მაგრამ "კრასნოდარში" ახლახან ჩარიცხული **ალექსანდრე ამისულაშვილი** კლუბში დიდი პატივით მიიღეს. ამის დასტურად "კრასნოდარის" მიერ თურქულ შეკრებაზე ჩატარებული ბოლო საკონტროლო შეხვედრებიც მეტყველებს.

ბოლო ორ შეხვედრაში 24 თებერვალს "კრასნოდარმა" ჯერ ნოვოსიბირსკის "სიბირს" 3:1 სძლია, 27 თებერვალს კი ოდესის "ჩერნომორეცს" - 1:0. რუსეთში სეზონის დაწყებამდე ეს კრასნოდარელთა გენერალური რეპეტიცია იყო, ამისულაშვილმა ორივე მატჩი ძირითადში ითამაშა, მაგრამ ძველ ამბავს არ მოგიყვებოდით, რომ არა მნიშვნელოვანი ფაქტი: "კრასნოდარის" ოფიციალურმა ვებგვერდმა მატჩის ფოტორეპორტაჟი გუშინ გამოაქვეყნა და სურათებზე ალმოვაჩინეთ, რომ რუსეთის პრემიერლიგის დებიუტანტი მოედანზე კაპიტნის სამკლავურით სწორედ ამისულაშვილმა გაიყვანა. ასევე იყო "სიბირთან" მატჩის დროსაც.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტად ჩავთვალეთ, რადგან რუსულ პრემიერლიგაში ქართველი ფეხბურთელების კაპიტნობა იშვიათი მოვლენაა. ამისულაშვილს გუშინ დავუკავშირდით და ინფორმაცია გადავამოწმეთ.



*"კრასნოდარის" კაპიტნად ოფიციალურად ჯერ არ დავნიშნულვარ, მაგრამ ჩასვლისთანავე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სლოვოლიუბ მუსლინმა დამიბარა და მითხრა, რომ "სიბირთან" და ოდესის "ჩერნომორეცთან" გუნდს მოედანზე მე გავიყვანდი. გუნდში ძალიან კარგად მიმიღეს, მაგრამ ამხელა პატივი ჩემთვის მოულოდნელი იყო და მწვრთნელის ნდობამ ძალიან გამახარა. როგორც ვამჩნევ, წლეულს ასეც გაგრძელდება და გუნდს მე ვუკაპიტნებ"* – გვითხრა ამისულაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

საკლუბო რეიტინგი

# ქართული ოთხეული

ისტორიისა და სტატისტიკის მსოფლიო ფედერაციის (IFFHS) მორიგ საკლუბო რეიტინგში საქართველო ოთხი კლუბითაა წარმოდგენილი. ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიუხედავად, თბილისის "დინამომ" პოზიცია გაიუმჯობესა და 127-ედან 122-ე ადგილზე აინაცვლა; საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი "ზესტაფონი" 212-ედან 215-ე საფეხურამდე დაქვეითდა, "ვიტ ჯორჯია" 357-ედან 349-ე ადგილზე ავიდა, რუსთავის "ოლიმპი" კი 366-ედან 358-ე პოზიციამდე დაწინაურდა.

საუკეთესო ათეულში განსაკუთრებული ცვლილებები არ მომხდარა. ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა ჩემპიონთა ლიგის მოქმედმა გამარჯვებულმა მილანის "ინტერმა".

მოწინავე ათეული ასე გამოიყურება: **1. ინტერი (იტალია), 2. ბარსელონა (ესპანეთი), 3. რეალი (ესპანეთი), 4. ბაიერნი (გერმანია), 5. ინტერნასიონალი (ბრაზილია), 6. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), 7. ესტუდიანტესი (არგენტინა), 8. ლივერპული (ინგლისი), 9. პორტუ (პორტუგალია), 10. ჩელსი (ინგლისი).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი

# ვოლგას ქართველები მადაზე მოდიან

ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ქართველი ფეხბურთელები სეზონისწინა მოსამზადებელ ეტაპზე ფორმაში შედიან და გუნდის წამყვან ძალად ყალიბდებიან. ბოლო საკონტროლო შეხვედრებში მოედანს უგოლოდ არ ტოვებს თბილისის "დინამოს" ყოფილი თავდამსხმელი **მათე ვაწაძე**.

**ომარ თეთრაძის** გუნდმა მოსამზადებელი ეტაპი ესპანეთში, მარბელიაში დაასრულა: ბოლო საკონტროლო შეხვედრა "ვოლგამ" ესპანეთის დაბალი დივიზიონის "ალაურინ დე ლა ტორესთან" 5:0 მოიგო.

მართალია, ქართველებს ერთზე მეტი გოლი არ გაუტანიათ, მაგრამ ნიჟნინოვგოროდელთა ოთხ შედეგიან კომბინაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

ანგარიში **გოგიტა გოგუასა** და **ოთარ მარცვალაძის** წამოწყებული კომბინაციის შედეგად **ანტონ ხაზოვმა** გახსნა. მეორე გოლი მთლიანად მარცვალაძის დამსახურება იყო: მეკარე მოატყუა და ბურთი კარის წინ მარტო დარჩენილ რუმინელ **მიხაიტა პლესჩანს** გადააწოდა. გოგუა-მარცვალაძე მონაწილეობდნენ მესამე გოლშიც, მეოთხე კი 76-ე წუთზე ვაწაძემ გაიტანა.

"ვოლგას" ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს **გია გრიგალავამ**, გოგუამ და მარცვალაძემ, ვაწაძე და **გოჩა ხოჯავა** კი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდნენ. თეთრაძემ მხოლოდ **ლაშა სალუქვაძე** დაასვენა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ სანდრო კობახიძესთან



# არსენალს კობახიძის გამოსყიდვა სურს

## ვფიქრობ, საჩემო გუნდს მივაგენი

**თებერვლის ბოლოს სანდრო კობახიძე კიევის "არსენალის" ფეხბურთელი გახდა. კიეველთა მთავარმა მწვრთნელმა იური ბოკალოვმა უკრაინელ "მეთოფეებში" ქართველი შემტევი ნახევარმცველის ჩარიცხვა ლამის ერთთვიანი დაკვირვების შემდეგ გადაწყვიტა. 23 წლის კობახიძე, რომლის ტრანსფერიც დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" ეკუთვნის, "არსენალში" ექვსი თვე იჯარით ითამაშებს.**

**სანდროს ჩარიცხვამდე, ბოკალოვმა უკრაინულ "სპორტ-ექსპრესთან" ჩვენებური ასე დაახასიათა:** *"კობახიძემ შეკრებაზე თავი არც ისე ურიგოდ წარმოაჩინა. მის სამომავლო ბედს კლუბის პრეზიდენტთან ერთად განვიხილავთ. პირადად მსურს, რომ სანდრო "არსენალში" დარჩეს და ვფიქრობ, ასეც მოხდება".*

**როდესაც საბოლოოდ გადაწყდა, გასასინჯი ფეხბურთელებიდან ვის დაიტოვებდა, ბოკალოვმა ახალწვეულებით კმაყოფილება არ დამალა და, ცხადია, მათ შორის, კობახიძეც იგულისხმა:** *"ვფიქრობ, აბსოლუტურად ყველა ახალწვეული გუნდს კარგად შეეწყო. ბიჭებმა კარგად გაიგეს, რას ვითხოვ და გუნდსაც ასევე კარგად შეეწყვნენ. არადა, ყველა სხვადასხვა კლუბიდან დავიმატეთ და განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობდნენ. დარწმუნებული ვარ, ისინი "არსენალს" ძალიან წაადგებიან".*

**სანდრომ "მეთოფეების" შემადგენლობაში რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და ყველგან აქტიური და სასარგებლო თამაშით გამოირჩეოდა. რაც მთავარია, "არსენალი" სოლიდური გუნდია, რაც სანდროს ნაკრებში დაბრუნების იმედს უძლიერებს. კობახიძეს გუშინ კიევში დავუკავშირდით.**

**- მხოლოდ იჯარაზეა ლაპარაკი, თუ "არსენალს" შენი საბოლოო გამოსყიდვა სურს?**

- ჯერჯერობით შეთანხმება იჯარაზეა, მერე კი ვითარების შესაბამისად მოიქცევიან. თუმცა, მწვრთნელი დაინტერესებულია, იჯარის დასრულების შემდეგ, საბოლოოდ "არსენალის" საკუთრება გავხდე.

**- რადგან აგიყვანა, გენდობა და თამაშის იმედიც გექნება.**

- რა თქმა უნდა, იმედიანად ვარ, მაგრამ ასპროცენტიან გარანტიას ვერავინ მომცემს, რადგან "არსენალში" საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები არიან, ყველა პოზიციაზე დიდი კონკურენციაა და ყოველ ტურში მომიწევს იმის დამტკიცება, რომ თამაშს ვიმსახურებ.

თუმცა ორი დღის წინანდელმა საუბარმა ძალიან დამაიმედა. საქმე ისაა, რომ იური ბოკალოვმა დამიბარა და მითხრა, მომწონს შენი თამაში და ყველა შეხვედრისთვის განსაკუთრებული მონდომებით მოემზადე, თავის გამოჩენის შანსს აუცილებლად მოგცემო. ნდობას შეკრებაზეც ვგრძნობდი, მაგრამ როდესაც ამ ყველაფერს მწვრთნელი პირადად გეუბნება, დიდი სტიმულია.

**- ზავაროვის მწვრთნელობის დროიდან მოყოლებული, "არსენალი" უკრაინელებისთვის არატიპურ, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობდა. გუნდს სტილი დღემდე არ შეუცვლია?**

- დიახ, ტექნიკურ და კომბინაციურ ფეხბურთს ვთამაშობთ და ეს ძალიან მახარებს. გამოცდილი ფეხბურთელები გვყავს და მართალია, პირველი წრის შემდეგ გუნდი მეშვიდე ადგილზეა, მაგრამ ევროთასებზე გასვლის საკმაოდ დიდი შანსი გაგვაჩნია.

**- "არსენალის" სტილზე შეგნებულად გკითხე, ვფიქრობ, შენნაირი ფეხბურთელისთვის ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია.**

- სხვათა შორის, ბოლო წლებში უკრაინაში ლობანოვსკის სტილში, ფაქტობრივად, ალარავინ თამაშობს. გუნდების უმრავლესობა ტექნიკურ ფეხბურთს აჩვენებს, რადგან ამ ქვეყნის ჩემპიონატის დონე ძალიან გაიზარდა. "არსენალი" კი, რაც მახსოვს, სულ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობდა.

იმავეს ცდილობდა იური მაქსიმოვი „კრივბასში", მაგრამ მის სათამაშო სქემაში განაპირა ნახევარმცველების ადგილი არ იყო და ამიტომაც ვერ მოძებნა შემადგენლობაში ჩემი ადგილი. ეტყობა, თვლიდა, რომ ჩემნაირი მოთამაშე "კრივბასისთვის" სასარგებლო ვერ ვიქნებოდი, თუმცა სეზონის დასაწყისში სისტემატურად მათამაშებდა.

**- ეთანხმები აზრს, თითქოს ბოლო წლებში ქართული ფეხბურთის კრიზისმა მის მიმართ უცხოეთში აგდებული დამოკიდებულება ჩამოაყალიბა და ეს ბევრ ჩვენს მოთამაშეს თავის დამკვიდრებაში ხელს უშლის?**

- შესაძლოა, ასეთი რამ მართლაც ხდება, მაგრამ "არსენალში" არ აინტერესებთ, რომელი ქვეყნიდან ხარ, მთავარია, გახვიდე მოედანზე და ითამაშო. ყოველ შემთხვევაში, მე ქართველობის გამო ხელი არ შემშლია.

**- "არსენალში" ხომ ფლანგზე გათამაშებენ?**

- დიახ, მარცხენა ფლაგზე ვთამაშობ.

**- ანუ, "არსენალი" შენთვის ყველანაირად მისალები გუნდია?**

- რალა დაგიმალოთ და ვფიქრობ, საჩემო გუნდს მივაგენი. თუმცა ნაადრევად ლაპარაკი მაინც არ მინდა, დრო ყველაფერს უკეთესად გამოაჩენს.

**- გუნდს ადვილად შეეწყვე?**

- უპრობლემოდ, მწვრთნელებსაც და ფეხბურთელებსაც, ერთმანეთს იოლად ვუგებთ.

**- უკრაინული მედია წერდა, სერბულ "იაგოდინასთან" საკონტროლო მატჩში მეტოქემ კობახიძეს ცხვირი გაუტეხეაო, არადა, ერთ კვირაში ითამაშე. მოედანს ასე სწრაფად როგორ დაუბრუნდი?**

- სისხლი წამომივიდა და მაგრად მეტკინა, მაგრამ ალმოჩნდა, რომ ცხვირი გატეხილი არ მქონდა. თან სერბებთან შეხვედრის შემდეგ შეკრება დაგვიმთავრდა, დასვენების დროს ვიმკურნალე და ერთ კვირაში ვარჯიში ამიტომაც დავიწყე.

**- მოსამზადებელ ეტაპზე ყველაზე დასამახსოვრებელი რომელი შეხვედრა იყო?**

- ბოლო საკონტროლო მატჩი ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებთან, რომელიც რამათ-განის ცენტრალურ სტადიონზე ვითამაშეთ და 3:0 კი მოვიგეთ, მაგრამ ებრაელი ახალგაზრდები ძალიან მომეწონა, პერსპექტიული ბიჭები ჰყავთ, თამაშს საკმაოდ ბევრი ხალხიც დაესწრო და შეხვედრაც ლამაზი და დაძაბული გამოდგა.

ისრაელის პირველი ლიგის კლუბ თელ-ავივის "შემშონთან" მატჩიც დამამახსოვრდა, რომელიც პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ჩხუბის გამო ჩაიშალა. 2:1-ს ვიგებდით, მასპინძლებს არაფერი გამოსდიოდათ და ძალიან უხეშობდნენ. არადა, შეხვედრას ადგილობრივი მსაჯობდა და ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. პირველი ტაიმის ბოლოს მცველი ჩემს გუნდელს კიდევ ერთხელ ეუხეშა, მანაც ვერ მოითმინა, წაკინკლავდნენ და ეს ბოლოს დიდ გუნდურ ჩხუბში გადაიზარდა. ამას ვინ ჩივის, ხალხი ტრიბუნებიდან ჩამოვარდა და ჩვენს მწვრთნელს შეეშინდა, უარესი არ მოხდესო და თამაში ჩაიშალა, მის გაგრძელებას აზრი არც ჰქონდა.

**- „არსენალში" თებერვლის დასაწყისში დაიმატეს მეკარე ვლადისლავ ჩანგელია, რომელიც ერთი ხანობა „ამერში" ირიცხებოდა. ასეთი კარგი მეკარეა?**

- დიახ, საკმაოდ ნიჭიერი მეკარეა და ვუთხარი კიდეც, საქართველოში ფეხი როგორ ვერ მოიკიდე-მეთქი. ეს მართლა ძალიან მიკვირს, ალბათ, იმ დროს ხელი რალაცამ შეუშალა, მაგრამ ფაქტია, რომ ძლიერი და პერსპექტიული მეკარეა.

**- "არსენალის" დუბლების ფეხბურთელის ირაკლი მამფორიას თამაში თუ გინახავს?**

- პირადად არ ვიცნობ, მაგრამ "არსენალში' ყველა აქებს, ნიჭიერი ბავშვი არისო. მე მხოლოდ ერთხელ ვნახე მამფორიას თამაში და მართლა ძალიან მომეწონა, საკმაოდ ტექნიკური გამთამაშებელია. თუმცა "არსენალის" დუბლებისთვის გადაიზარდა და სათამაშო პრაქტიკისთვის პირველლიგელ ახტირკის "ნეფტიანიკში" იჯარით გაუშვეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# მაკარიძემ 109 წუთი გაძლო

წუხელ საფრანგეთის თასზე ლიგა 2-ის ლიდერი „ლე მანი" „პარი სენ ჟერმენს" ენვია. სტუმართა კარს 20 წლის ქართველი **გიორგი მაკარიძე** იცავდა. ჩვენებურმა კარგად ითამაშა და კარი მშრალადაც შეინახა, თუმცა 0:0-ის შემდეგ თამაში დამატებით დროში გაგრძელდა, სადაც პარიზელებმა 109-ე და 117-ე წუთებზე ორი გოლი გაუტანეს გიორგის. „ფუტბოლ 365"-მა მაკარიძეს 7-იანი დაუწერა, ამაზე მაღალი შეფასება არავის მიულია თამაშში (კიდევ 4-მა ფეხბურთელმა მიიღო 7-იანი). თურმე, პარიზელებს ძირითადი დროის ბოლო წუთებზე ნამდვილი შტურმი მოუწყვიათ ქართველის კართან, რომელმაც 81-ე, 84-ე, 88-ე და 93-ე წუთებზე მოიგერია პსჟ-ს ფორვადთა დარტყმები.

**ზურაბ ხიზანიშვილი** და მისი „რედინგი" ინგლისის თასის მეოთხედფინალში გავიდნენ, მას მერე, რაც ლივერპულში პრემიერლიგის „ევერტონი" 1:0 დაამარცხეს. ზურაბი დიდი ხნის შესვენების შემდეგ პირველად გამოჩნდა სასტარტო შემადგენლობაში. მან შეუცვლელად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ზურაბ ხიზანიშვილი (მარჯვნივ)

# ჩელებაძე იანკაუსკასთან

## ლომაია ფაკელიდან წამოვიდა

**გიორგი ჩელებაძე** ვორონეჟის "ფაკელის" ფეხბურთელი გახდა – იუწყება რუსული კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. 19 წლის ჩელებაძე წლეულს რამდენიმე კლუბში ისინჯებოდა: ერევნის "ბანანცში", "კრასნოდარში", მახაჩყალის "ანჟიში"; საბოლოოდ კი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი შემტევი ნახევარმცველი რუსეთის პირველი ლიგის კლუბში ჩაირიცხა. მან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

ოდესღაც საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის მონაწილე ვორონეჟის "ფაკელი" გასულ სეზონში მეორე დივიზიონში გამოდიოდა, მაგრამ კლუბის მთავარმა მწვრთნელმა, რუსეთში გავლენიანმა **კონსტანტინე სარსანიამ** იმდენი მოახერხა, გუნდი პირველ ლიგაში გადაიყვანა.

"ფაკელში" ისინჯებოდა "ვიტ ჯორჯიას" ცენტრალური მცველი **დავით ლომაიაც**, მაგრამ ის საქართველოში დაბრუნდა – ესეც ვორონეჟელთა ვებგვერდის ინფორმაციაა. სავარაუდოდ, ლომაია კვლავ "ვიტ ჯორჯიაში" ითამაშებს.

სხვათა შორის, "ფაკელთან" კონტრაქტი ლიტვის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა **ედგარას იანკაუსკასმაც** გააფორმა, რომელიც უკვე 36 წლის არის და კარიერის საუკეთესო წლები ("რეალ-სოსიედადში", ლისაბონის "ბენფიკასა" და "პორტუში" უთამაშია) უკან ჩამოიტოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერანი ფეხბურთელები სამძიმარს უცხადებენ ვეტერან ფეხბურთელს სოსო ფრუიძეს დედის გარდაცვალების გამო.**

## გუნდი ზესტაფონი

## მწვრთნელი გია გეგუჩაძე



გაუარესებული კლიმატური პირობების გამო უმაღლესი ლიგის გუნდებმა თებერვალში არათანაბარი რაოდენობის მატჩები ჩაატარეს; ყოველივე ამან კი, რაღა თქმა უნდა, ჩემპიონატის კალენდარზეც ზეგავლენა იქონია და... ჩვენს ტრადიციულ რუბრიკაზეც! დავაკონკრეტებთ: თებერვლის ცხრილს თუ გადახედავთ, აღმოაჩენთ, რომ გასულ თვეში ერთდროულად ოთხმა გუნდმა („ვიტ ჯორჯიამ“, „ზესტაფონმა“, „ბაიამ“, „ოლიმპმა“) სხვებზე უკეთ იასპარეზა და ერთნაირი რაოდენობის ქულაც დააგროვა. თუმცა, XXII ჩემპიონატის რეგლამენტის გარდა, სხვა ფაქტორებიც არის გასათვალისწინებელი: კერძოდ, „ზესტაფონმა“ და „ბაიამ“ ერთით ნაკლები მატჩი ჩაატარეს და აქედან გამომდინარე, პოტენციურად უფრო მეტი ქულის მოგროვებაც შეეძლოთ; ამას გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ „ზესტაფონმა“ და „ბაიამ“ თებერვალში („ვიტ ჯორჯიასა“ და „ოლიმპისგან“ განსხვავებით) წაუგებლად იასპარეზეს. არაფერს ვამბობთ მეტოქეთა ფაქტორზეც: „ზესტაფონს“ გასულ თვეში სამი ურთულესი მატჩის ჩატარებამ მოუწია (უშუალო კონკურენტებთან — „დინამოსთან“ და „ოლიმპთან“ და ამ ბოლო დროს საგრძნობლად მოყოჩაღებულ „სპარტაკთან“) და ყოველივე ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენს არჩევანზეც. თუმცა, ნურც „ვიტ ჯორჯიასა“ და „ბაიას“ წარმატებულ თამაშს დავივიწყებთ: **მერაბ კოჭლაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ვეტერინარებმა“ ბოლო სამ მატჩში შვიდი ქულა მოაგროვეს და ამ კლუბისთვის შეუფერებელ სახიფათო ზონას, ალბათ, საბოლოოდ დაშორდნენ; თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ მეორე ეტაპის წინ „ვიტ ჯორჯია“ ორმა ლიდერმა, **ჯაბა ლიპარტიამ** და **ირაკლი კლიმიაშვილმა** დატოვა. არანაკლებ ქებას იმსახურებს ზუგდიდის „ბაიაც“: მოკრძალებული ფინანსური პირობების მიუხედავად, **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდმა თებერვალში წაუგებლად იასპარეზა და ასე მოტივირებულად თუ გააგრძელა თამაში, წესითა და რიგით, უმაღლეს ლიგაში დაქვეითების საფრთხეც არ უნდა დაემუქროს. კიდევ ერთი შვიდქულიანი გუნდი რუსთავის „ოლიმპია“ და, ერთის მხრივ, ჩემპიონის წარმატებული ასპარეზობა მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ამ გუნდის ქომაგთა ნაწილი გარკვეული ეჭვით უცქერდა „ოლიმპის“ დებიუტანტი თავკაცის, ახალგაზრდა სპეციალისტის **თორნიკე მაისურაძის** სამწვრთნელო შესაძლებლობებს. თანაც, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „ოლიმპში“ რამდენიმე ახალი სახეც გამოჩნდა, ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის მანამდე უცხონი რომ იყვნენ; ამ ყველაფრის მიუხედავად, „ოლიმპი“ კვლავაც მხოლოდ მაღალი მიზნებისათვის ბრძოლას აგრძელებს და ამ გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებსაც ტიტულის შენარჩუნება სწადიათ.

ახლა კი, ალბათ, დროა, გასული თვის საუკეთესო გუნდზე, „ზესტაფონზეც“ ვთქვათ. პირველ ყოვლისა, ის უნდა აღვნიშნოთ, რომ გუნდი სრულიად ამართლებს ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის სტატუსს; რაც მთავარია, „ზესტაფონმა“ თითქმის 100 პროცენტით შეინარჩუნა პირველ ეტაპზე მოასპარეზე შემადგენლობა, გუნდის ორ წამყვან ფეხბურთელთან (**ნიკოლოზ გელაშვილი, გიორგი ხიდეშელი**) დაკავშირებული გაუგებრობაც (ასე დავარქვათ) წარსულს ჩაბარდა და საერთოდაც, ამ სეზონში ყველაზე სტაბილურად სწორედ იმერული კლუბი ასპარეზობს. არაფერს ვამბობთ თამაშის ხარისხსა თუ სანახაობრივ მხარეზე: ამ მხრივ კი „ზესტაფონი“, მართლაც, უკონკურენტოა!

„ზესტაფონის“ კიდევ ერთი პლუსი მწვრთნელის ფაქტორიც არის: **გია გეგუჩაძეს** გუნდში ისეთი კონტინგენტი ჰყავს, საკუთარი იდეების რეალიზება რომ არ გაუჭირდება; რა თქმა უნდა, ნებისმიერი მწვრთნელისთვის ფუფუნებაა, როცა თითქმის თანაბარი ძალის ორი შემადგენლობა გეყოლება; მაგრამ, არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთარი რესურსის ეფექტიანად გამოყენებაც და გეგუჩაძეც ჯერჯერობით, ამ მხრივ უშეცდომოდ მოქმედებს. სხვათა შორის, ჩემპიონობის ფავორიტთაგან ერთადერთი სწორედ „ზესტაფონია“, „ორივე ფრონტზე“ ბრძოლას რომ აგრძელებს; ჰოდა, შემადგენლობის სწორი როტაციაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი უნდა აღმოჩნდეს ჩემპიონატისა თუ სათასო პაექრობების თავისთვის სასურველი შედეგით დამთავრებისათვის. ამას გარდა, „ზესტაფონის“ ქომაგთა მსგავსად, ამ გუნდის შემადგენლობაში სამი ახალწვეულის გამოჩენის მოლოდინში, არ დავმალავთ და, ჩვენც ვართ: **ზურაბ მენთეშაშვილი, გიორგი ფოფხაძე** და **გორან გრუიცას** დამატებით იმერული კლუბის საჩემპიონო ამბიციაც, ალბათ, ერთი-ორად გაიზრდება...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 2. ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 3. ბაია | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 4. ოლიმპი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 5. სპარტაკი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 6. ტორპედო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 7. სიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 8. კოლხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 3 |
| 9. დინამო | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 10. სამტრედია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

ცხრილის შედგენისას ვხელმძღვანელობთ საქართველოს 2010/11 წლების XXII ჩემპიონატის რეგლამენტით; ანუ, თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპებით: 1. მოგებათა მეტი რაოდენობა; 2. უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები; 3. ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა; 4. ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა; 5. ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა და ასე შემდეგ.

## თებერვლის სიმბოლური ნაკრები




## განსაკუთრებული ფაქტები

ისე როგორც ნოემბერ-დეკემბრის საფეხბურთო მოვლენების შეფასებისას, ამჯერადაც მხოლოდ დადებითსა თუ გამოსარჩევ ფაქტებზე გავამახვილებთ ყურადღებას. ოღონდ, თანამიმდევრობას დავარღვევთ და თებერვლის დასაწყისშივე მომხდარი განსაკუთრებული ფაქტებით კი არ დავიწყებთ, არამედ... ცხრილს „გამოვყვებით“. ანუ, ისევ და ისევ, „ზესტაფონის“ ირგვლივ „ვიტრიალებთ“ და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ ამ გუნდის შესაშურ შედეგიანობას. თანაც, იმერული კლუბის ორი ფორვარდი **რატი წინამძღვრიშვილი** და **ნიკოლოზ გელაშვილი** ბომბარდირთა სიასაც ლიდერობენ და თებერვალში პირადი მიღწევებითაც გაახარეს თავიანთი ქომაგები. წინამძღვრიშვილმა „სპარტაკთან“ მატჩში ამ სეზონის მეთერთმეტე გოლი გაიტანა და როგორც წინა ათ შემთხვევაში, ამჯერადაც შეცვლაზე შემოსულმა გამოიჩინა თავი! უკვე მომდევნო ტურში კი ნიკოლოზ გელაშვილმა „ზესტაფონის“ მაისურით 49-ე გოლი გაიტანა და კლუბის ისტორიაში საუკეთესო რეკორდსმენიც გახდა!

...ახალგაზრდა „ვეტერინართა“ წარმატებულ ასპარეზობაზე ზემოთ ვსაუბრობდით და ისიც უნდა ვთქვათ, რომ გასული თვე გამორჩეულად ჩაატარა გუნდის ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა **გიგა ბეჟვაიამ**; ეგ კი არა, „ვიტ ჯორჯიას“ ახალმა კაპიტანმა ზედიზედ ორ შეხვედრაში შეძლო გოლის გატანა და თანაგუნდელ **გიორგი ჯანელიძესთან** ერთად „თებერვლის სიმბოლურ ნაკრებში“ ადგილიც დაიმსახურა; სახეშეცვლილი „ბაიადან“ კი ორი ფეხბურთელი გვინდა გამოვარჩიოთ: საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოთამაშე, 35 წლის **როინ ონიანი** და 18 წლის ფორვარდი **ირაკლი ქობალია**. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩი გოლით აღნიშნა, შემდეგ კი მომდევნო ტურშიც მოახერხა თავის გამოჩენა...

არაერთი დებიუტანტი ჰყავდა ქვეყნის ჩემპიონსაც: **გიორგი მურველაშვილმა** და **ირაკლი მაისურაძემ** თავი მართლაც ჩინებულად წარმოაჩინეს; ამ ორი ახალგაზრდის გარდა, „ოლიმპში“ კიდევ სამი ახალწვეულიც გამოჩნდა: **სანდრო იაშვილი, ილია პავლიაშვილი** და **ზურაბ ქურდობაძე.**

...გასული თვის კიდევ ერთი სასიამოვნო მოულოდნელობა ცხინვალის „სპარტაკის“ ასპარეზობა იყო: **ბადრი კვარაცხელიას** გუნდმა ჯერ „დინამოსთან“ ითამაშა ფრედ, მერე მინიმალური სხვაობით დამარცხდა „ზესტაფონთან“, ბოლოს კი დიდი ანგარიშით „სიონი“ გაანადგურა! „სპარტაკის“ ასეთი აღმავლობა გუნდის ლიდერების, ვეტერანი მეკარის **სოსო გრიშიკაშვილისა** და ახალგაზრდა გამთამაშებლის, **ვალერი ბოლქვაძის** ჩინებული თამაშითაც იყო განპირობებული. აღარაფერს ვამბობთ „თებერვლის აღმოჩენაზე“ — „სპარტაკის“ ახალწვეულმა **ზვიად მეტრეველმა** თავის ძველ-ახალ გუნდში მხოლოდ ოთხი მატჩი ჩაატარა და ოთხი გოლი გაიტანა. საინტერესო სტატისტიკაც გვინდა შემოგთავაზოთ: პირველ ეტაპზე მეტრეველმა „დინამოს“ შემადგენლობაში ჩემპიონატის 12 მატჩი ითამაშა და ვერც ერთხელ შეძლო გოლის გატანა; ახლა კი, „სპარტაკში“ გადავიდა თუ არა, პირველსავე შეხვედრაში თავი გამოიჩინა (მეტოქე კი... „დინამო“ იყო); ამის შემდეგ მეტრეველმა დისკვალიფიკაციის გამო „ზესტაფონთან“ მატჩი გამოტოვა და „დასვენებულმა“, მომდევნო მეტოქის კარში 3 გოლი გაიტანა! „სპარტაკზე“ საუბარს გუშინვე ნახსენები ფაქტით დავასრულებთ და უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩის ჩატარებას კიდევ ერთხელ მივულოცავთ ამ გუნდის ახალწვეულს, 18 წლის **ვალერი კილასონიას.**

... ახალწვეულები „ტორპედოს“ რომ ჰყავს, ერთდროულად რამდენიმე გუნდს „ეყოფოდა“; თუმცა, ისე როგორც პირველ ეტაპზე, ჯერჯერობით ვერავინ იტყვის, რომ ამ გუნდის თამაშს წარმატებულიც ეთქმის და სანახაობრივიცაო; მაგრამ, ამ შემთხვევაში მართლაც „დროის ფაქტორთან“ გვაქვს საქმე და ადრე თუ გვიან, „ტორპედოს“ ქომაგებიც გაიხარებენ. რაც მთავარია, უამრავ ახალწვეულთაგან ორმა უკვე მოახერხა გოლების გატანა: **ლევან ქებაძემ** და **გიორგი მეგრელაძემ**. ისე, ამ უკანასკნელს სეზონში უკვე 7 გოლი აქვს გატანილი და დიდი ალბათობით, საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაშიც ჩაერევა...

...თებერვალში „სიონმა“ უსიამოვნო სერია შეწყვიტა — თითქმის ოთხთვიანი პაუზის შემდეგ გიორგი ყიფშიძის გუნდმა გამარჯვების გემო გაიხსენა; ახალვეულებმა (**ირაკლი ჩირიკაშვილი, რევაზ ჯიქია**) „სიონის“ მაისურით პირველი გოლებიც გაიტანეს, ახალგაზრდა **საბა ადამაშვილს** უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჰქონდა, მაგრამ ბოლო ტურში ბოლნისელების თამაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა...

... „კოლხეთმა“ თვე წარმატებულად დაიწყო, მაგრამ ზედიზედ სამმა წაგებამ გუნდი კვლავაც სახიფათო ზონაში დააბრუნა. არ დავმალავთ და ფოთელთა საყვარელი გუნდის მომავალს, ცოტა არ იყოს, პესიმისტურად ვუცქერთ: „კოლხეთს“ ზედიზედ სამი „საშინელი“ მატჩი ელოდება ჩემპიონატის ფავორიტებთან („დინამოსთან“, „ზესტაფონთან“, „ოლიმპთან“); დაახლოებით კი არა, უფრო მძიმე „სურათია“ „სამტრედიასთან“ დაკავშირებითაც: ფინანსურად გაჭირვებულმა გუნდმა თებერვალში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება მოახერხა, მარტში კი ჩემპიონობის სამივე ფავორიტს უნდა შეხვდეს და პლუს ამბიციურ „ტორპედოს“...

## თვის იმედგაცრუება

... დარჩა ერთი გუნდი, რომლის ასპარეზობაც მხოლოდ და მხოლოდ ერთი სიტყვით უნდა შეფასდეს — იმედგაცრუება! ჰო, ამას კი მართლაც ვერავინ წარმოიდგენდა, ერთობ ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდისა და არანაკლებ ნაყოფიერი უცხოური შეკრების შემდეგ „დინამო“ თებერვალში... ორ ქულას რომ მოაგროვებდა! აღარაფერს ვამბობთ კლუბისა თუ გუნდის ხელმძღვანელობაში განხორციელებულ მართლაც „ხმაურიან“ და, რაც მთავარია, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ერთგულ ქომაგთათვის დამაიმედებელ ცვლილებებზე. იმაზე ხომ, საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი, როგორი აქტიური სატრანსფერო კამპანია აწარმოა ჩვენმა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა; არადა, დღესდღეობით რეალობა ასეთია: გუნდში მოსული ათამდე ახალწვეულიდან, მეტ-ნაკლებად დადებითი შთაბეჭდილება, ალბათ, ორმა-სამმა თუ დატოვა. რა თქმა უნდა, სეზონის ბოლომდე დრო საკმარისზე მეტია, ტრავმირებული ფეხბურთელებიც მომჯობინდებიან, ახალწვეულები ადაპტაციის პრობლემასაც გადაჭრიან, შეთამაშების „ყბადაღებული“ საკითხიც, ალბათ დავიწყებას მიეცემა და მაშინ უკვე საჩემპიონო რბოლაში „დინამოს“ ჩართვაც აღარავის უნდა გაუკვირდეს; უფრო ზუსტად, გასაკვირი ის იქნება, ასე რომ არ მოხდეს, მანამდე კი საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო მატჩების ჩამტარებელი „დინამოს“ ფეხბურთელებიც ვახსენოთ: **მარკო მაროვიჩი, სემირ ჰაჯიბულიჩი, ირჟი ჰომოლა, პეტარ ელიჩი;** ამათ გარდა, გასულ თვეში „დინამოს“ შემადგენლობაში ქართველი ახალწვეულებიც გამოჩნდნენ: **დიმიტრი ტატანაშვილი, ნიკა კვეკვესკირი, ზურაბ არზიანი, თორნიკე ზარქუა...**

## გადადებული მატჩები

**ზესტაფონი–ტორპედო**
Bwin: 1.30 4.40 8.75
03.03. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
**15:00**

არბიტრი: გ. ვადაჭკორია; ასისტენტები: ი. უკლება, ზ. ბერულავა;
მეოთხე მსაჯი: შ. ქუხილავა
დისკვალიფიკაცია: გ. დათუნაიშვილი (ტორპედო)

**სპარტაკი–სამტრედია**
Bwin: 1.80 3.40 3.75
03.03. თბილისი. შატილი/ნ.დინამო
**15:00**

არბიტრი: ჯ. ხორავა; ასისტენტები: ზვ. ერქვანია, ა. კოკაია;
მეოთხე მსაჯი: ლ. კვარაცხელია
დისკვალიფიკაცია: ბ. კვარაცხელია (სპარტაკის მთავარი მწვრთნელი. ვერ დაჯდება სათადარიგოთა სკამზე)

გვერდი მოამზადა გია **ტუხაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# სტემფორდბრიჯული ვნებანი

## კაცი სააბაზანოს ფანჯრიდან



მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დავიდ ლუიზი აღიარეს

„ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გადადებულმა შეხვედრამ, რომელიც სამშაბათს ლონდონელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა, იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ექოც გვარიანი მოჰყვა. „სანის“ მიმომხილველმა **სტივენ ჰოვარდმა**, რომლის მოსაზრებები „ლელოს“ მკითხველისთვის ადრეც გვითარგმნია, ყურადღება მატჩის საუკეთესო ფეხბურთელზე, **დავიდ ლუიზზე** გაამახვილა. მან სტატია ასე დაიწყო: „ის გახლავთ ადამიანი, რომელიც სააბაზანოს ფანჯრიდან შემოძვრა“ რა იგულისხმა ჰოვარდმა? ის, რომ ბრაზილიელი მცველი პრემიერლიგაში, კერძოდ კი „ჩელსიში“ ამ ზამთარს საპარადო შესასვლელიდან არ შებრძანებულა — სადარბაზო **ფერნანდო ტორესს** ჰქონდა დაკავებული. ლისაბონის „ბენფიკადან“ ლუიზის ინგლისში ჩასვლა მაინცდამაინც არავის შეუმჩნევია, რადგან ყველა ტორესის ტრანსფერზე ლაპარაკობდა — არადა, „ჩელსის“ მასში, არც მეტი, არც ნაკლები, 23 მილიონი ფუნტი ჰქონდა გადახდილი. ჰოვარდი წერს:

*„და ვინ წარმოიდგენდა, რომ პრემიერლიგის ჩემპიონთა ახალი შენაძენებიდან 50 მილიონად ნაყიდ ტორესზე ადრე გოლს ლუიზი გაიტანდა.*

*ვინ წარმოიდგენდა, რომ, ეს იქნებოდა გოლი, რომელმაც ჩემპიონატში ახალი ეტაპი დაიწყო, „არსენალის“ თავკაც არსენ ვენგერს კი სახეზე ფართო ღიმილი მოეფინებოდა.*

*ვინ იფიქრებდა, რომ აღელვებული ალექს ფერგიუსონი ყველაზე მეტად მასზე გაამახვილებდა მთელ ყურადღებას, იტყოდა, რომ ხავიერ ერნანდესისა და უეინ რუნის წაქცევისთვის ლუიზს გაძევება და მსაჯ მარტინ ატკინსონთან ერთად, ალბათ დახვრეტაც ეკუთვნოდა.*

*ასეა თუ ისე, „ჩელსიმ“ აშკარად იპოვა რიკარდო კარვალიუს შემცვლელი, ფეხბურთელი, რომლის გვერდში ყოფნითაც ჯონ ტერიმ ამოისუნთქა“.*

ამის შემდეგ ჰოვარდი ლუიზის თამაშის სტილს აანალიზებს და წერს, რომ კარვალიუს მსგავსად ის ძალიან წინააღმდეგობრივი ფეხბურთელია: ორთაბრძოლებში უკომპრომისო და დაუნდობელი, ბურთთან კი გასაოცრად მსუბუქი და რბილი. გარდა ამისა, თუ იმ ეპიზოდით ვიმსჯელებთ, როდესაც მან „ჩელსი“ თავისი გოლით *„იმ ქვეყნიდან დააბრუნა“*, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლუიზი კარვალიუზე სწრაფია.

### ატკინსონმა ატკინა

თუკი სტივენ ჰოვარდი დავიდ ლუიზის თამაშით მოიხიბლა, ფიფას ყოფილმა მსაჯმა **გრემ პოლმა** თამაშს პროფესიული კუთხით უყურა და მსაჯის **მარტინ ატკინსონის** ნამუშევარი შეაფასა. თავისი მოკლე წერილი პოლმა იმით დაიწყო, რომ ხალხს მსაჯები დიდ მატჩებში მიღებული სკანდალო გადაწყვეტილებებით ამახსოვრდება (მაგალითად, თავად 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გულშემატკივარს იმით დაამახსოვრა თავი, რომ ხორვატიისა და ავსტრალიის შეხვედრაში **იოსიპ შიმუნიჩს** სამჯერ აჩვენა ყვითელი ბარათი და მხოლოდ მერე მიხვდა, რომ ხორვატი მოედნიდან უნდა გაეგდო), ატკინსონმა კი ორშაბათს „სტემფორდ ბრიჯზე“ პრინციპული შეცდომები დაუშვა, რაც „მანჩესტერ იუნაიტედს“ სამ ქულად დაუჯდა.

*„პირველ ტაიმში, როდესაც ჯონ ტერიმ შორიდან დარტყმული ბურთი ხელით შეაჩერა, მანჩესტერელები პენალტს იმსახურებდნენ. სანამ ტერიმდე მივიდოდა ბურთმა კარგა ხანს იფრინა, ასე რომ, ფეხბურთელმა ხელით განზრახ გადაუღობა გზა. ბურთი მას ახლოდან, უცბად, არ მოხვედრია - აშკარა დარღვევა იყო.*

*მეორე ნახევარში კი, როდესაც ატკინსონმა „იუნაიტედის“ კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნა, იური ჟირკოვს შეეძლო კრის სმოლინგის გამოწეულ ფეხს არ წამოსდებოდა. მსაჯმა იყოყმანა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მაინც დაუსტვინა მასპინძელთა სასარგებლოდ. ამ ეპიზოდში ფეხბურთელებს შორის მსუბუქი კონტაქტი იყო და ამდენად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ არბიტრმა სწორად იმოქმედა.*

*ხოლო დავიდ ლუიზისა და უეინ რუნის მომენტი მეტისმეტად აშკარა იყო. მცველმა უბურთო თავდამსხმელს სარმა გამოსდო და, რასაკვირველია, დასჯას იმსახურებდა. ატკინსონს ის უნდა გაეძევებინა. ცოტა ხნის შემდეგ მან ნემანია ვიდიჩის მიმართ სიმკაცრე გამოიჩინა და მისთვის წითელი ბარათის ჩვენება არ მორიდებია.*

*აღსანიშნავია, რომ წინა ტურში, „უიგანთან“ თამაშის შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა მაიკ ფილანმა ინტერვიუში თქვა მსაჯის გადაწყვეტილებასთან კამათი შეუძლებელიაო (შეგახსენებთ, რომ იმ დღეს რუნიმ „უიგანის“ ნახევარმცველ **ჯეიმს მაკარტის** სახეში იდაყვი მიარტყა, მაგრამ ის მოედნიდან არ გააძევეს). ალექს ფერგიუსონი, დღეს, საკუთარ თანაშემწეს, ალბათ, აღარ ეთანხმება“.*



**გრემ პოლი: ატკინსონს დავიდ ლუიზი უნდა გაეძევებინა.**

- **„მანჩესტერ იუნაიტედმა“ „სტემფორდ ბრიჯზე“ ბოლო 9 მატჩიდან 6 წააგო და 3 ფრედ ითამაშა**
- **მატჩის ყველაზე უხეში ფეხბურთელები ნემანია ვიდიჩი (მანჩესტერი) და ბრანისლავ ივანოვიჩი (ჩელსი) არიან - 4-4 ჯარიმა.**

არსენალი

**რ**ობინ ვან პერსის უთხრეს, რომ მის მკურნალობას შესაძლოა ექვსი კვირა დასჭირდეს — სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთში „არსენალის“ მდგომარეობა, მოულოდნელად, დამძიმდა. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა კვირას, „ქარლინგის“ თასის ფინალში გოლი გაიტანა, მაგრამ ამ გოლმა „მეთოფეებს“ ვერ უშველა - მათ სამარცხვინოდ და სამწუხაროდ ჯილდო პრემიერლიგის ცხრილში 14 ადგილით დაბლა მდგომ „ბირმინგემს“ დარჩა. ვან — „ქარლიგის“ თასის ფინალში გუნდმა სწორედ მისი და მეკარე **ვოიცეხ შჩესნის** უხეში შეცდომის გამო წააგო.

თუმცა, ცუდ ამბებთან ერთად არის კარგი ამბებიც — საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** ორთავა კუნთს მოიშუშებს და თავის მშობლიურ „ბარსელონასთან“ სათამაშოდ მზად იქნება. და მაინც, „მეთოფეთა“ ბანაკში მიიჩნევენ, რომ ჩამოთვლილ ამბავთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ვან პერსის დაშავებაა.

# რობინ ცუდი



WorldSoccer

**ელეგანტური, მაგრამ ხშირად ტრავმიანი ჰოლანდიელი**

**რობინ ვან პერსიზე**

პერსისთვის კი ეს შეხვედრა ორმაგად სამწუხარო გამოდგა, რადგან ის დაშავდა და, როგორც გაირკვა, დიდი შანსია შუა აპრილამდე ფეხბურთს ტრიბუნიდან ადევნოს თვალი.

არადა „მეთოფეებს“ შემდეგ სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩი ელით ბარსელონაში. შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაში „არსენალმა“ 2:1 გაიმარჯვა. უკვე ცნობილია, რომ იმ შეხვედრაში მათ ვან პერსის გარდა **თეო უოლკოტიც** არ ეყოლებათ. მუხლი სტკივა **ალექს სონგსაც**, **ლორან კოშელნის** კი ფსიქოლოგიური პრობლემა აქვს

*„სამწუხაროდ, ნატკენი მუხლის სკანირებამ გვაჩვენა, რომ საქმე ცუდად არის —* თქვა „არსენალის“ თავკაცმა **არსენ ვენგერმა** — *„ბარსელონასთან“ თეოს თამაშიც გამოირიცხა. ჩვენმა ექიმებმა ყველა ღონე იხმარეს მის მწყობრში ჩასაყენებლად, მაგრამ ჩანს, ამ საქმიდან არაფერი გამოვა. სესკის დაბრუნება კი ნამდვილად არ არის გამორიცხული. მისი გამოჯანმრთელების საქმე კარგად მიდის, ფაბრეგასი ყოველდღე უკეთ გრძნობს თავს.*

*რაც შეეხება შჩესნისა და კოშელნის ეპიზოდს, მათგან მომხდარი ლორანმა უფრო განიცადა და დასვენება სჭირდება“*

სამზადისი

# ენდი ქეროლი: დებიუტი მანჩესტერთან

**ენდი ქეროლი** უკვე სრულყოფილ ვარჯიშზე გადავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ლივერპულში“ მისი დებიუტის დღე ახლოვდება. მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელმა ბარძაყი ჯერ კიდევ ძველ გუნდში, „ნიუკასლ იუნაიტედში“ „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ თამაშის დროს იტკინა და ამის გამო მერსისაიდელთა წითელი მაისურით ჯერ არ უთამაშია. შეგახსენებთ იმასაც, რომ ქეროლი ნიუკასლიდან ლივერპულში იანვრის სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღეს გადავიდა, მასში 35 მილიონი ფუნტი გადაიხადეს.

კვირას „ლივერპულს“ დიდი მატჩი ელის — „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობს. მანჩესტერელებმა სამშაბათს ლონდონში „ჩელსისთან“ წააგეს და „ენფილდ როუდზე“ დაჭრილი ცხოველის განწყობით ჩადიან. „ლივერპულისთვის“ სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭების ჯობნა ძალიან ძნელი საქმე იქნება და ამდენად, **კენი დალგლიშმა** ახალგამოჯანმრთელებული ქეროლისთვის ძირითად შემადგენლობაში ადგილი შეიძლება ვერც ნახოს.

და მაინც, მილვუდის საწვრთნელ ბაზაზე მის პირველ სრულყოფილ ვარჯიშს ბევრი ჟურნალისტი დაესწრო. გაზეთებმა დაწერეს, რომ ფორვარდმა, რომელიც 28 დეკემბრის შემდეგ მოედანზე აღარ გასულა, საწვრთნელ შეხვედრაში, სადაც ერთმანეთის პირისპირ მცირერიცხოვან გუნდებად დაყოფილი ლივერპულელები იდგნენ, ჩინებულად ითამაშა. თან, დალგლიშმა ის მეორე ახალშენაძენთან **ლუის სუარესთან** ერთად ათამაშა. ინგლისელსა და ურუგვაელს მშვენივრად გამოსვლიათ პარტნიორობა.

ერთი სიტყვით, 22 წლის ვარსკვლავი „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ სასტარტო შემადგენლობაში, ალბათ, ვერ მოხვდება, მაგრამ დიდი შანსია სათადარიგოებში იჯდეს და თუ საჭირო იქნება, თამაშში ჩაერთოს კიდეც. ცნობილია, რომ ქეროლი მთელი ამ ხნის განმავლობაში დიდი მონდომებით ვარჯიშობდა, ხოლო დალგლიში მისი დამოკიდებულებითა და გარჯით ძალიან კმაყოფილია.



„ლივერპულის“ მწვრთნელი თავდამსხმელის ყიდვის პირველივე დღიდან ამბობდა, რომ მისი მოედანზე დაბრუნების პროცესს ხელოვნურად არ დააჩქარებდა. მიუხედავად იმისა, რომ ქეროლის ოსტატობა „ლივერპულს“ ძალიან აკლდა, მოვლენათა ნაძალადევი ფორსირება მწვრთნელს სარისკოდ მიაჩნდა, თუმცა, მეორე მხრივ, ყველა გათვლა იქით იყო მიმართული, რომ ყოფილ „კაჭკაჭს“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ეთამაშა. დღეს, ქეროლი საამისოდ მზად არის და თუ უახლოეს დღეებში, მისმა ბარძაყმა დიდ დატვირთვებს გაუძლო, შეიძლება ითქვას, რომ ამოცანა შესრულებულია. ქეროლის დამატება კი „წითლების“ თავდასხმას მრავალმხრივს გახდის.

მოვიშველიოთ სტატისტიკა: პრემიერლიგის ბოლო ოთხ შეხვედრაში „ლივერპულმა“ მხოლოდ ხუთი გოლი გაიტანა, რომელთაგან სამი ნახევარმცველმა, **რაულ მეირელეშმა** შეაგდო, მაგრამ პორტუგალიელმა, ბოლო ტურში, „ვესტ ჰემთან“ 3:1 წაგების დროს მუხლი იტკინა. დალგლიშის ასისტენტი **სტივ კლარკი** იმედოვნებს, რომ მეირელეში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრამდე ტრავმის მოშუშებას მოასწრებს. „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ მოედანზე არ იყვნენ **ფაბიო აურელიო** და **დანიელ აგერი**, რომლებიც დიდი შანსია, „იუნაიტედის“ წინააღმდეგ სათამაშოდ მზად იყვნენ.

*„რაულს მუხლზე პატარა პრობლემა ჰქონდა და ამიტომაც გავიყვანეთ წინა შეხვედრაში მოედნიდან მეორე ტაიმის დასაწყისშივე. თავი დავიზღვიეთ. ახლა მან იმკურნალა, ნატკენი ადგილი მოიშუშა და იმედი გვაქვს, რომ „იუნაიტედის“ წინააღმდეგ თამაშის დროს აღარაფერი შეაწუხებს“* — თქვა კლარკმა.

მაგრამ, არც ქეროლის მწყობრში დაბრუნებას და არც სხვა სამზადისს აზრი არ ექნება თუ „ლივერპული“ სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდთან შეხვედრაში ისევე შეცდება, „აპტონ პარკზე“ რომ ცდებოდა. რაც დალგლიში „წითლების“ თავკაცია გუნდს ასე უსუსურად არ უთამაშია. „კოპის მეფე კენიმ“ თქვა:

*„ჩვენ იმდღევანდელი შეცდომები უნდა გავითვალისწინოთ და აღარ გავიმეოროთ. მთავარია ზუსტად მივხვდეთ, რაში შევცდით. ყველაზე კარგი ის არის, რომ ჩემი ფეხბურთელები გამალებით ვარჯიშობენ და დიდი ჟინი ეტყობათ. იმ დღესაც, ბოლო 20 წუთი ძალიან კარგად ვითამაშეთ. ერთობლივი ძალისხმევით ყველაფერს მოვახერხებთ“.*

დოსიე

**ენდრიუ ქეროლი**

22 წლის

191 სმ, 79 კგ

ყოფილი კლუბი:

**ნიუკასლი**

დებიუტი პრემიერლიგაში:

**25 თებერვალი 2007 წ.**

**უიგანი-ნიუკასლი 1:0.**



გვერდი მოამზადა

**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ამბები

## ლივერპულს მუსა უნდა

„ლივერპული" მზად არის ფრანგი ნახევარმცველის **მუსა სისოკოს** გადასაბირებლად ბრძოლაში ჩაერთოს და „ტოტენჰემსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" აჯობოს. სისოკო ინგლისური კლუბებისთვის ახალი აღმოჩენა არ გახლავთ. ის 21 წლისაა და „ტულუზში" თამაშობს. მასთან პირველი პროფესიული კონტრაქტის გაფორმებას „ლივერპული" და „ბოლტონი" ჯერ კიდევ მაშინ ცდილობდნენ, ის არასრულწლოვანი რომ იყო, მაგრამ მან ისინი უარით გამოისტუმრა. ბოლო წლებში სისოკოს მიმართ ყველაზე დიდ ინტერესს „ტოტენჰემი" იჩენდა და წელიწად-ნახევრის წინ მის შეძენასთან ახლოსაც იყო, მაგრამ 18 მილიონი ფუნტი ებევრა და თავი შეიკავა.

დღეს, „სფურზის" ყოფილი კვაჭი დირექტორი, ფრანგი **დანიელ კომოლი**, მოგეხსენებათ, „ლივერპულში" მუშაობს და ახლა სისოკოს „ენფილდზე" გადაყვანას ცდილობს. ამბობენ, რომ ის „ტულუზის" შეფებს წინასწარ თანხაზე უკვე შეუთანხმდა კიდეც. ინგლისურმა ტაბლოიდებმა ფეხბურთელის მეგობრებისგან შეიტყვეს, რომ ის მათთან უკვე ლაპარაკობს, რომ მომავალ სეზონში ლივერპულელი გახდება.

*„ინგლისის რამდენიმე კლუბთან მაქვს კონტაქტი - ამბობდა ნახევარმცველი რამდენიმე დღის წინ - ყველაზე მეტად „ლივერპული" აქტიურობს, მაგრამ მე ყველაფერს ჩემს „ტულუზში" დარჩენა მირჩევნია. „ტულუზი" ჩემთვის ბევრს ნიშნავს, სწორედ აქ ვისწავლე ფეხბურთის თამაში და აქ ავიდგი ფეხი, როგორც პროფესიონალმა".*

**ილია ბაბუნაშვილი**

## ბრიჯი ავრამს აქებს

**უეინ ბრიჯმა** „ვესტ ჰემის" მწვრთნელის, ებრაელი სპეციალისტის **ავრამ გრანტის** კრიტიკოსებს შეუტია. არსებობს სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც გრანტი ფლეგმატური, უემოციო კაცია, რომელიც მაინცდამაინც არც კი დაგიდევთ, მოიგებს მისი გუნდი თუ არა. ბრიჯმა, რომელიც „აპტონ პარკზე" „მანჩესტერ სიტიდან" გადავიდა, თქვა:

*„ავრამი ძლიერი პიროვნებაა. როდესაც გუნდის შეკრებებზე ვზივარ და მას ვუსმენ, ვხვდები, რომ ჩემ წინაშე განსაკუთრებული მწვრთნელი და ადამიანია. ის ყველაფერს აკეთებს, რათა ფეხბურთელებმა მოედანზე შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნონ. მას უნდა ყველამ ლაღი, შემტევი ფეხბურთი ითამაშოს".*

**ილია ბაბუნაშვილი**

## ფელაინისთვის სეზონი დასრულებულია

"ევერტონის" ბელგიელმა საყრდენმა ნახევარმცველმა **მარუან ფელაინიმ** ფეხის ტერფის მძიმე ტრავმა მიიღო და გუნდს სეზონის ბოლომდე დააკლდება. აღნიშნული დაზიანება ფეხბურთელმა "სანდერლენდთან" შეხვედრაში (2:0 "ევერტონის" სასარგებლო) მიიღო. ფელაინი ორშაბათს "რედინგთან" სათასო შეხვედრაში არ გამოჩენილა, რის გამოც მატჩის შემდეგ **დევიდ მოიესს** ჟურნალისტებთან ახსნა-განმარტების მიცემა მოუხდა. შოტლანდიელმაც ყველაფერი გულწრფელად განაცხადა. ეს უკვე ზედიზედ მეორე სეზონია, რომელსაც ფელაინი ტერფის ტრავმის გამო ნაადრევად ასრულებს.

თასიდან გამოვარდნის შემდეგ ლივერპულელებს ისღა დარჩენიათ, მთელი ყურადღება პრემიერლიგისკენ მიმართონ, სადაც ისინი ამჟამად მე-11 ადგილს იკავებენ და საიდანაც მათ გასავარდნ ზონას სულ რაღაც 5 ქულა აშორებთ.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ლეგენდა



# რაიან გიგზი
# დიდების 20 წელიწადი

"ჩელსისთან" გამოტოვებულ შეხვედრაში იუნაიტედელი **რაიან გიგზი** "20 წლის გახდა", უფრო სწორად ამდენი ხანი გავიდა მისი მანჩესტერული დებიუტიდან. გუშინწინდელი შეხვედრაც "ჩელსისთან" ისეთივე შედეგით დასრულდა, როგორც სულ პირველი "ევერტონთან" - მარცხით. უელსელ ლეგენდას ზურგს უკვე 863 შეხვედრა უმაგრებს ალისფერი მაისურით. ეს 20 წელიწადი არის სრულყოფილებისა და გამარჯვებებისკენ სწრაფვის ეპოქა.

**ჟოზე მოურინიომ** გიგზს ორიგინალური კომპლიმენტი უძღვნა და მას "პროფესიონალი მედლებში" უწოდა. მართლაც, 1991 წლის შემდეგ რაიანმა ინგლისის ჩემპიონის ტიტული 8-ჯერ მოიპოვა, ხოლო ჩემპიონთა ლიგა 2-ჯერ, რისი წყალობითაც ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი შეიქნა. სერ **ალექს ფერგიუსონმა** მას პრემიერლიგის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშე უწოდა, ხოლო "მანიუს" ფანობამ მას ისეთი ტიტული უბოძა, რომელზე მეტსაც ფეხბურთელი ვერასოდეს მიიღებს. ინტერნეტგამოკითხვამ გიგზი "მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელად დაასახელა. უელსელი ჭეშმარიტი ვარსკვლავია და ამის გაგონებაზე დაიმორცხვა, არ მჯერა, რომ გულშემატკივრებმა **ჯორჯ ბესტსა** და **ბობი ჩარლტონზე** წინ დამაყენესო. "ევერტონის" კაპიტანმა, ექსიუნაიტედელმა **ფილ ნევილმა** ბრძანა: *"ის ჩემი გმირია. ვიცი, რომ "მანიუს" ისტორიაში ბევრი დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ სწორედ გიგზმა შეძლო ყველაფერის მოგება და ამიტომაც ვაყენებ მას ყველაზე მაღლა. ის ალბათ ყველა დროის ყველაზე დიდი ფეხბურთელების სიაშიც შედის".*

ხანგრძლივმა და სტაბილურმა კარიერამ რასაკვირველია ხელი შეუწყო მას, რათა ჯორჯ ბესტი, **ერიკ კანტონა** და **კრიშტიანო რონალდო** ჩამოეტოვებინა, რომელთა სახელები თავის დროზე უფრო ხმამაღლა ქუხდნენ "ოლდ ტრეფორდზე" ვიდრე უელსელი ჯადოქრისა, მაგრამ მათი სახელები შედარებით ცოტა ხანს იყო "ოლდ ტრეფორდის" ცის კაბადონზე. *"ჩვენ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანები ვართ, - განუცხადა პრესას ერიკ კანტონამ. – როდესაც რამე საქმეს ვკიდებ ხელს, ის ძალიან სწრაფად მიყვარდება, მალევე მბეზრდება კიდეც. გამიმართლა, რომ ასეთი სიყვარული ცხოვრებაში ბევრი მქონდა. ის, რომ ერთი საყვარელი საქმის შემდეგ ხელი მეორისთვის მომეკიდა, ამის პრობლემა არასოდეს მქონია. ამის მიუხედავად ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი რაიანის ტიპის ადამიანებით. ის ხომ ფეხბურთს დღემდე ვნებით თამაშობს. კიდევ ვიმეორებ, აღფრთოვანებული ვარ თუნდაც იმიტომ, რომ ჩემგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანია. ასეთივეა პაოლო მალდინიც".*

მალდინი პროფესიონალიზმის ის მოდელია, რომელმაც ორ ათეულ წელიწადს გაუძლო და ვისი შედარებაც შეიძლება გიგზთან. ამ დროს ალბათ არავის გაახსენდება, რომ მილანელს მსოფლიოს 4 ჩემპიონატზე აქვს ნათამაშები, ხოლო უელსელს არასოდეს უასპარეზია დიდ სანაკრებო ტურნირებზე. მას შეეძლო თავის დროზე არჩევანი ინგლისზე გაეკეთებინა და **ბრაიან რობსონი** (მისი ბავშვობის კერპი) მას ამისკენ მოუწოდებდა კიდეც, მაგრამ კარდიფში დაბადებული ბიჭის სული და გული უელსისთვის ფეთქავდა. გიგზს არჩევანი მისმა რამდენიმე თანამემამულემაც არ მოუწონა. ისე მართლა საინტერესოა, რა მოხდებოდა მას ინგლისელთა სახელით რომ ეთამაშა. "მას ისევე ეამაყებოდა თავისი ვალიური ფესვების, როგორც მე, - განუცხადა ჟურნალისტებს **კლეიტონ ბლექმორმა**, უელსის ნაკრებში მისმა ყოფილმა პარტნიორმა. - მაგრამ მას ინგლისელთა სახელით რომ ეთამაშა, ალბათ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელებდნენ. აღნიშნულ საკითხზე თავად ლეგენდარულ ფეხბურთელს კომენტარი უამრავჯერ აქვს გაკეთებული, სადაც სულ ერთსა და იმავეს აცხადებს, რომ კარიერის ადრეულ ეტაპზე მიღებულ გადაწყვეტილებას არ ნანობს".

**ლევან ბიბილაშვილი**



### რაიან ჯოზეფ გიგზი

დაიბადა კარდიფის გარეუბან კანტონში
37 წლის; 180 სმ.
მანჩესტერ იუნაიტედშია 1990/01 წლების სეზონიდან
პრემიერლიგაში 606 თამაში, 110 გოლი
უელსის ნაკრებში: 64 თამაში, 12 გოლი

**ტიტულები**

ბრიტანიის იმპერიის ორდენოსანი
პრემიერლიგის 11-გზის გამარჯვებული
ინგლისის ასოციაციის თასი: 4
ლიგის თასი: 4
ქომუნითი შილდი: 8
ჩემპიონთა ლიგა: 2
უეფას სუპერთასი: 1
საკონტინენტთაშორისო თასი: 1
ფიფას საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი: 1

● ფეხბურთი და ფინანსები

# ასტონ ვილამ ზარალი დაითვალა




უმთავრესი გამოწვევები, რაც კი "ასტონ ვილას" მომავალში ელის, ეს ბიუჯეტის მკვეთრი შემცირება და ამასთან მინდორზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება იქნება, რადგან კლუბის ფინანსური დოკუმენტაციის აუდიტორული შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 2010 წლის 31 მაისისთვის საბიუჯეტო დეფიციტი 37 მილიონი ფუნტი იყო. ბიუჯეტის შესამცირებლად კლუბს რომელიმე (უარეს შემთხვევაში რამდენიმე) წამყვან ფეხბურთელთან გამოთხოვება კიდევ მოუწევს. გამაოგნებელია, რომ თურმე "ვილას" საერთო ბიუჯეტის 88% ფეხბურთელების ხელფასებზე იხარჯება, მაშინ როცა ნორმალურ შემთხვევაში ეს ციფრი შეიძლება 50-დან 60-მდე მერყეობდეს.

ყველაფრის მიუხედავად "ვილა პარკზე" პანიკას არავინ მისცემია. კლუბის ოფიციოზს ეჭვი არ ეპარება, რომ ისინი მალე შეძლებენ უეფას მიერ დადგენილი ფინანსური რეგლამენტის დაცვას, რომელიც კლუბს ავალდებულებს საკუთარი შემოსავლების იმედად იარსებოს და ნაკლებად იყოს დამოკიდებული კლუბის მეპატრონის ნება-სურვილზე. იქამდე, ვიდრე უეფა ამ წესს შემოიღებდა, "ასტონ ვილას" მმართველი დირექტორები სწორედ ანალოგიურის მიღწევისკენ ილტვოდნენ. მართალია, კლუბის ამერიკელი მესაკუთრის **რენდი ლერნერის** ფინანსური ინიექციები მაინც ყოველწლიურად საჭირო ხდებოდა, მაგრამ მათი მხრიდან მცდელობას კი ნამდვილად ჰქონდა ადგილი.

ბუნებრივია, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ჟერარ ულიემ** ყველაფერი იცოდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მან ბირმინგემელთა წინადადებაზე თანხმობა განაცხადა. სწორედ მრავალჭირნახული ფრანგი მწვრთნელის დახმარებით სურს კლუბის მენეჯმენტს იმ ფეხბურთელების გამოვლენა, რომელთა ხელფასსა და მათ მიერ გუნდისთვის მოტანილ ეფექტს შორის თვალში საცემი დისბალანსია. იანვარში კლუბმა საამისოდ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა, როცა **ჯონ კარეუ, სტივ სიდუელი, სტივენ აირლენდი** და **კერტის დევისი** გაუშვა, მათ ადგილას კი **დარენ ბენტი, ჟან მაკუნი** და **მაიკლ ბრედლი** მიიყვანა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სატრანსფერო ამბები და არა მარტო

**მიმდინარე სეზონში, „მილანის" ასპარეზობა მთლიანობაში დადებითად უნდა შევაფასოთ. მასიმილიანო ალეგრის გუნდი სერია A-ს სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას და ჯერჯერობით, არც ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნილა. მართალია, მერვედფინალური ეტაპის პირველ შეხვედრაში საშინაო მარცხი იწვნია, მაგრამ ლომბარდიული გრანდის ჩამოწერა მაინც არ შეიძლება. პირიქით, „როსონერის" ბანაკში საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ნაპოლი" ერთი ამოსუნთქვით დაამარცხეს. „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტისა და მასიმილიანო ალეგრის დიალოგი ამის ნათელი დადასტურებაა...**


ფილიპ მექსე

# მილანი ლიგას, სკუდეტოს და მექსეს უმიზნებს

## რომას ფეხბურთელებზე ტაციაობაა

**- ყველაზე მეტად რა გახარებთ?**

- ის, რომ ტრავმირებული ფეხბურთელები გვიბრუნდებიან და ლაზარეთი ცარიელდება. შემადგენლობის შერჩევისას გაცილებით უფრო დიდი არჩევანი მაქვს, ვიდრე თუნდაც ერთი თვის წინ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. „ნაპოლისთან" პაექრობაში ერთ-ერთი საუკეთესო კევინ პრინც ბოატენგი იყო, რომელიც მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში და გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. არადა, განელი ტრავმირებული იყო და კარგა ხანს ვერ გვეხმარებოდა. სწორედ ამაზე მაქვს საუბარი და იმედია, სეზონის დარჩენილ ნაწილში ტრავმები აღარ შეგვაწუხებს

**- ჩემპიონთა ლიგა თუ სკუდეტო?**

- ჩემპიონთა ლიგა ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირია ევროპაში და ამით ყველაფერია ნათქვამი. მაგრამ, მეორე მხრივ, „მილანს" დიდი ხანია, რაც სკუდეტო არ მოუგია და ეს მიზანი ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია. მჯერა ჩემი გუნდის და ვთვლი, რომ ორივე ფრონტზე შეგვიძლია წარმატების მიღწევა. სერია A-ს სატურნირო ცხრილს სათავეში ვუდგავართ და ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული - პრინციპში, ისევე როგორც ლიგაში, სადაც რთული, მაგრამ რეალური ამოცანის გადაჭრა მოგვიწევს. „ტოტენჰემთან" განცდილი საშინაო მარცხისგან სწორი დასკვნები გამოვიტანეთ და მერწმუნეთ, ლონდონში სულ სხვა „მილანს" იხილავთ.

■ ■ ■

ამ ორი კითხვით შემოვიფარგლოთ და „მილანის" თემა სხვა მიმართულებით განვავრცოთ. ექსპერტების აზრით, გუნდის ყველაზე სუსტი რგოლი მიმდინარე სეზონში მაინც დაცვის ხაზია. **ტიაგო სილვასა და ალესანდრო ნესტას** ტანდემს თითქოს არაფერი უჭირს, მაგრამ ხან ერთია ტრავმირებული და ხან მეორე. განსაკუთრებით ეს ნესტაზე ითქმის, რომელიც უკვე ასაკშია და წელის ქრონიკული ტკივილები აწუხებს. დაშავებულს ხან **დანიელე ბონერა** ცვლის და ხან **მარიო იესპესი** - დაგვეთანხმებით, არც ერთი არ არის იმ დონის უკანახაზელი, რომ უმაღლესი დონის შეხვედრებში ბოლომდე ენდო. გულშემატკივრები ვერც **ნიკოლა ლეგროტალიეს** ტრანსფერმა დააწყნარა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ექსიუვენტინო უკვე 34 წლის გახლავთ. არსებული ვითარება კარგად ესმით კლუბის მესვეურებსაც და ამად არის, რომ ცენტრალური მცველის ძიებაში არიან. სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის საუბრები იმის შესახებ, რომ ლომბარდიელები ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში **ფილიპ მექსეს** გადაბირებას შეეცდებიან. უკვე არაერთი წელია ამაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, მხარეები ასე ახლოს არასდროს ყოფილან შეთანხმებასთან.

დიდია შანსი, „რომა" ჩემპიონთა ლიგის მილმა დარჩეს, რაც სრულიად საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ფილიპ მექსეს „მილანში" გადაბარგების სურვილი გაუჩნდეს. ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის გარეშე დარჩენა ისედაც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში მყოფ „რომას" კიდევ უფრო გაალარიბებს და წესით, მცველის გასხვისების წინააღმდეგ დედაქალაქელები არ უნდა წავიდნენ. მით უმეტეს, „მილანი" მზადაა ფეხბურთელში თხუთმეტი მილიონი ევრო გადაიხადოს და ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმოს. აქვე გეტყვით, რომ მექსე 28 წლის გახლავთ და თუ შეთანხმება შედგა, ალბათ კარიერის ბოლომდე „როსონერიში" დარჩება. ამაზე თავად ფრანგის სიტყვები მიუთითებს:

*„რომში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და წასვლის სურვილი არ მაქვს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ასეც მოხდეს. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული და შესაძლოა თვითონ კლუბი იყოს ჩემი გასხვისებით დაინტერესებული. ნებისმიერ შემთხვევაში, მე არ განვეკუთვნები იმ მოთამაშეთა კატეგორიას, რომლებსაც გარემოს ცვლა სიამოვნებას ანიჭებთ და თუ სადმე გადავალ, აუცილებლად ხანგრძლივვადიან ხელშეკრულებას გავაფორმებ. მეტსაც გეტყვით, მსურს ისეთ კონტრაქტს მოვაწერო ხელი, რომელიც ჩემს საფეხბურთო კარიერასთან ერთად ამოიწურება".*

ზემოთაც აღვნიშნეთ და კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ დიდია შანსი, „რომა" ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩეს. ასეთ შემთხვევაში, კლუბის მესვეურებს ძალიან დიდი შრომა დასჭირდებათ იმისთვის, რომ მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი თვალსა და ხელს შუა არ დაეშალოთ - მექსეს ამბავი უკვე გითხარით და ორიოდე სიტყვა **არნე რიისეს** შესაძლო ტრანსფერზეც ვთქვათ. საქმე იმაშია, რომ ნორვეგიელი მცველის გადაბირებით ინგლისური „ნიუკასლია" დაინტერესებული და მასში საკმაოდ დიდი თანხის გადახდასაც აპირებს. რომაელებს შესაძლოა არც კი ეთმობათ სკანდინაველი, მაგრამ მისი გასხვისება მაინც მოუწიოთ. საქმე ის არის, რომ რიისეს იტალიურ კლუბთან 2012 წლის ივნისამდე აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის გახანგრძლივებასაც არ ჩქარობს - ანუ, თუ რომაელებმა რიისე კიდევ ერთი სეზონით სულ ძალით შეინარჩუნეს და ამ პერიოდში ვერც ახალი კონტრაქტი გაუფორმეს, რიისეს ისე შეელევიან, რომ მასში ცენტსაც ვერ აიღებენ. ღირს კი ერთი სეზონით ფეხბურთელის შენარჩუნება 15-17 მილიონ ევროდ? - სწორედ ამ თანხის გაღებას აპირებენ „კაჭკაჭები" ნორვეგიელში.

**ლაშა წიკლაური**

● იუვენტუსი



მოჰამედ სისოკო

# სისოკო მძიმედ დაშავდა

## იუვე ორი ფეხბურთელით დაინტერესდა

ისედაც კრიზისში მყოფ „იუვენტუსს" ტრავმები მოეძალა და კიდევ უფრო დაუმძიმდა მდგომარეობა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **მოჰამედ სისოკომ** საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და საფრანგეთში გაემგზავრა ოპერაციის გასაკეთებლად. ექიმების ვარაუდით, საყრდენი ნახევარმცველი მინიმუმ სამ თვეს დაისვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის სეზონი უკვე დასრულებულია. აქვე ვთქვათ, რომ ამ დღეებში „იუვენტუსის" კიდევ ორი ფეხბურთელი დაშავდა: **ფაბიო გროსომ** ფეხის კუნთი დაიჭიმა და ათი დღით იუქმებს, **ჰასან სალიჰამიჯიჩმა** კი მუხლის ტრავმა გაირთულა და მინიმუმ ორი კვირა ლაზარეთში იქნება. გროსო და სალიჰამიჯიჩი იქით იყოს და სისოკოს მძიმე ტრავმა მართლაც სერიოზული პრობლემაა. **ლუიჯი დელ ნერი** მხოლოდ ორი ცენტრალური ნახევარმცველის ამარა დარჩა, ერთი **ალბერტო აკვილანი** გახლავთ, მეორე კი **ფელიპე მელო**. ერთ-ერთს რომ რამე დაემართოს, „იუვეს" მწვრთნელი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. არადა, სენიორ ლუიჯი მუდმივად კლასიკური 4-4-2 ტაქტიკით ათამაშებს გუნდს და შუახაზელები ჰაერივით სჭირდება.

„იუვენტუსთან" დაკავშირებით კიდევ არაერთი საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება. „ტუტოსპორტის" მტკიცებით, ტურინელებმა ინგლისის პრემიერლიგას გახედეს და ორ ფეხბურთელს დაადგეს თვალი. ლაპარაკია „არსენალის" ბრაზილიელ ნახევარმცველ **დენილსონსა** და „ევერტონის" განაპირა მცველ **ბეინსზე**. უფრო დიდი ყურადღება მაინც „მეთოფეთა" 23 წლის ფეხბურთელს ეთმობა, რომელმაც ვერ დაიმკვიდრა ადგილი „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში და დიდი სურვილი აქვს, რომ გარემო გამოიცვალოს. არ არის გამორიცხული, ამ ტრანსფერში ფელიპე მელოც ჩაერთოს, რომლის დიდი მოტრფიალეც **არსენ ვენგერი** ყოფილა. ასეთ შემთხვევაში, უკვე ლონდონელებს მოუწევთ ჯიბეზე ხელის გაკვრა, რადგან რაც არ უნდა იყოს, მელო ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია და სახელიც მსოფლიოს მასშტაბით აქვს გაგდებული. ვნახოთ, უახლოეს დღეებში შეიძლება ახალი დეტალები გამოიკვეთოს.

**ლაშა წიკლაური**

● ამბები

## ჟერვინიო ჰამბურგში გადავა

"ლილის" განაპირა ნახევარმცველმა **ჟერვინიომ** შესაძლოა ზაფხულზე კლუბი მიატოვოს და კარიერა "ჰამბურგში" განაგრძოს, გვამცნობს გერმანული "ბილდი". ამავე გამოცემის მტკიცებით, ჩრდილოგერმანელები სეზონის დასრულების შემდეგ არა ერთ და ორ წამყვან ფეხბურთელს დაკარგავენ. ლაპარაკია, რომ კლუბს განსაკუთრებით **პეტრიჩის, ელიასა** და **გერეროს** შენარჩუნება გაუჭირდება. ხოლო ის, რომ **ვან ნისტელროი** უეჭველად წავა, ამას რა ხანია, ყველა შეეგუა. ამ ხმებს ფრანგული პრესაც აჰყვა და გვაცნობა, რომ თურმე ჰამბურგელები ივუარელის შესაძენად 12 მილიონ ევროს ამზადებენ. თავად ფეხბურთელისა და ლიგა 1-ის ლიდერის წარმომადგენელთა რეაქციის შესახებ ჯერჯერობით არავინ არაფერს წერს. აქვე გეტყვით, რომ ჟერვინიომ მიმდინარე სეზონში 24 თამაშში 11 გოლის გატანა შეძლო, რაც საფრანგეთის ჩემპიონატის სპეციფიკიდან გამომდინარე საკმაოდ კარგი შედეგია.

## ვალბუენას ტრავმა არასერიოზული აღმოჩნდა

"მარსელის" შემტევმა ნახევარმცველმა **მატიო ვალბუენამ** უკვე განაახლა ვარჯიშები საერთო ჯგუფთან ერთად, გვამცნო "ეკიპმა". ფეხბურთელს მუხლი არცთუ დიდი ხნის წინ უკვე აწუხებდა და ექიმებს ტრავმის რეციდივის შიში ჰქონდათ. თუმცა მათი ვარაუდი არ დადასტურდა. მარსელელთა თავკაცმა **დიდიე დეშამმა** უკვე განაცხადა, რომ არ იცის, ვალბუენას "მანჩესტერ იუნაიტედთან" საპასუხო შეხვედრაში ძირითადში დააყენებს თუ არა, მაგრამ 18 კაცში რომ მოხვდება, ამის გარანტია უკვე არსებობს. აღნიშნული შეხვედრა 15 მარტს "ოლდ ტრეფორდზე" გაიმართება.

## ჟიული რჩება

"პარი სენ-ჟერმენის" 34 წლის ნახევარმცველმა სურვილი გამოთქვა, ახალი კონტრაქტი გააფორმოს. *"თუ კი კლუბის ხელმძღვანელობა ამას მიზანშეწონილად ჩათვლის და ახალ კონტრაქტს შემომთავაზებს, წინადადებას სიხარულით დავთანხმდები. თუმცა მესმის, რომ მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდი დაგვჭირდება. ეს ყველაფერი ჩემი სურვილია, კონკრეტულად კი ვერაფერს მოგახსენებთ. მესმის ისიც, რომ საყოველთაო კრიზისის პირობებში კლუბს ჩემთვის ხელფასის დაკლება სურს. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ჩემს აგენტთან უნდა შევათანხმო. იმის გათვალისწინებით, რომ ვეტერანი ვარ, ამ ვარიანტზე დათანხმება ლოგიკურად მიმაჩნია. დამიჯერეთ, ფული არ არის ის, რისთვისაც ფეხბურთს ვთამაშობ. ასე რომ ყოფილიყო, ჯერ კიდევ შარშან ყატარში ან ამერიკაში წავიდოდი ბურთის საგორებლად. მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ შემიძლია სერიოზულ დონეზე ფეხბურთის თამაში. მაგალითად პსჟ-ს შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში თამაში ჩემთვის მშვენიერი პერსპექტივაა".*

## იუვეს მძიმე დღეები

მიმდინარე სეზონის პირველ ნაწილში "იუვენტუსის" ფინანსურმა ზარალმა 39,5 მილიონი ევრო შეადგინა. ამის შესახებ თავად კლუბის საიტი იუწყება. შემოსავალმა სულ 88,8 მილიონი შეადგინა, რაც შარშანდელთან შედარებით თითქმის 1/3-ით ნაკლებია. ამას დაუმატეთ ის, რომ რიგი მიზეზების გამო კლუბის გასავალმა 16,8%-ით მოიმატა და 100,1 მილიონი ევრო შეადგინა. ეს ყველაფერი ლოგიკის ჩარჩოებში ადვილად ჯდება, რადგან "ბებერი ქალბატონი" წელს არ მონაწილეობდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში და პლუს კლუბს მძიმე ტვირთად დააწვა ახალი სტადიონის მშენებლობის ხარჯები.

**ლევან ბიბილაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

● გერმანიის თასი. 1/2 ფინალი

# რაულმა შალკე ფინალში გაიყვანა!

**ბაიერნი–შალკე 0:1**

**ბაიერნი (4-2-3-1):** კრაფტი - ლამი, ტიმოშჩუკი (59. კროოსი), ბრენო, პრანიჩი - ლუის გუსტავო (82. ვან ბუიტენი), შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი (77. კლოზე), რიბერი - გომესი.

**შალკე (4-3-1-2):** ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, შარპეი (82. შმიტცი) - კლუგე, მატიპი, ანანი (89. პაპადოპულოსი) - ხურადო (61. დრაქსლერი) - რაული, ფარფანი.

**გოლი:** 0:1 რაული (15)

**გაფრთხილება:** რობენი, ლამი - უჩიდა, ანანი

**მაყურებელი:** 69 000

მიუნხენის „ბაიერნს" ასეთი რამ ბოლოს ათი წლის წინ დაემართა - ზედიზედ ორი საშინაო თამაშის წაგებას ვგულისხმობთ. დორტმუნდის „ბორუსიას" შემდეგ, რეკორდმაისტერი გუშინ „შალკემაც" გაამწარა და ამრიგად, ხუთი დღის ინტერვალში **ლუის ვან გაალის** გუნდმა ჯერ გერმანიის ჩემპიონობის შანსი დაკარგა, მერე კი გერმანიის თასიდანაც გავარდა. დავნაძლევდეთ, რომ თუ ბავარიელები მილანის „ინტერთანაც" დამარცხდებიან და ჩემპიონთა ლიგასაც გამოეთიშებიან, ვან გაალი უმუშევარი დარჩება? ფაქტი ის არის, რომ „ალიანს არენაზე" გუშინვე გაჩნდა ტრანსფარანტები ჰოლანდიელი სპეციალისტის გაშვების მოთხოვნით.

მიუნხენურ გრანდს ერთადერთი გოლი მატჩის დასაწყისში, კერძოდ მე-15 წუთზე **რაულმა** გაუტანა. ვეტერანი ესპანელის გოლის შემდეგ, „ბაიერნი" ბევრს უტევდა, მაგრამ ძალიან ერთფეროვნად - ვან გაალის გუნდის ყველა შეტევა გამოცნობადი იყო (ყოველ შემთხვევაში, **ფელიქს მაგათის** შეგირდებისთვის). ამრიგად, „შალკემ" გერმანიის თასის ნახევარფინალში შარშან განცდილი მარცხისთვის შური იძია და გელზენკირხენულ კლუბს ტიტულამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

და რაკი ფინალში „შალკეს" მეტოქე მეორებუნდესლიგელი „დუისბურგი" იქნება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაგათის გუნდი ბერლინში 21 მაისს გასამართი ფინალის ტოპ-ფავორიტია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თასის მოგებით „შალკე" ევროპის ლიგის საგზურს მოიპოვებს. შეგახსენებთ, გელზენკირხენელებს ბუნდესლიგის ცხრილის ხუთეულში მოხვედრის შანსი ფაქტობრივად აღარ აქვთ და მათთვის ევროპაში გასვლის ერთადერთი შანსი გერმანიის თასის მოგებაა.

**გოტფრიდ ლენცი**

# ზებრები ბერლინში მიდიან!



**დუისბურგი-კოტბუსი 2:1**

**დუისბურგი (4-2-3-1):** იელდელი - ბ. კერნი, ბრუნო სუარესი, ბაჟიჩი, ვეინაუ - ბანოვიჩი, სუკალო - შაჰანი, ტროიანი (79. რაიხე), ბალიაკი (91. ილმაზი) - მაიერჰოფერი (89. შეფლერი).

**კოტბუსი (4-2-2-2):** კირშბაუმი - ბიტროფი (73. როჯერი), ჰიუნემაიერი, ბრჟენსკა, ციბიგი - კურთი (46. რაიმერინკი), კრუშკა - შაო, ადლუნგი (66. კრონაფეტერი) - პეტერსენი, იულა.

**გოლები:** 1:0 მაიერჰოფერი (24), 2:0 ბალიაკი (54), 2:1 პეტერსენი (78-პენ)

**გაფრთხილება:** სუკალო, ტროიანი, ილმაზი - კრუშკა, კრონაფეტერი, შაო

**გაძევება:** ბრუნო სუარესი (77. დუისბურგი)0

**მაყურებელი:** 31 500

თვითონ ის ფაქტი, რომ მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენლები გერმანიის თასის ნახევარფინალში გავიდნენ, უკვე დიდი სენსაცია იყო. ამას დავუმატოთ ისიც, რომ წილისყრამ „დუისბურგი" და „კოტბუსი" ნახევარფინალში ერთმანეთს შეახვედრა, რაც იმის გარანტია გახლდათ, რომ ერთ-ერთი მათგანი ფინალში გავიდოდა. ბრმა წილისყრის პარადოქსულობაც სწორედ ამაშია: ერთ მხარეს „დუისბურგი" და „კოტბუსი", მეორე მხარეს კი „ბაიერნი" და „შალკე"...

დუისბურგელები „კოტბუსის" დამარცხების შემდეგ ისე ზეიმობდნენ, თითქოს გერმანიის თასის მფლობელები გახდნენ - ბერლინის საგზურის განაღდება „ზებრებისთვის" უდავოდ გრანდიოზული მოვლენაა. გარდა იმისა, რომ „დუისბურგს" გერმანიის თასის მოგების უნიკალური შანსი აქვს, ევროპის ლიგაში გასვლაც შეუძლია, რაც არაელიტური კლუბისთვის მხოლოდ გერმანიის თასიდანაა ხოლმე შესაძლებელი.

თამაში ზანტად დაიწყო და პირველი გოლი „კოტბუსის" დაცვის ხაზის შეცდომის წყალობით გავიდა: **შაჰანის** ჩაწოდების შემდეგ, „ენერგის" მცველ **ჰიუნემაიერს** ბურთის უკეთ მოგერიება მართებდა, მაგრამ პირდაპირ „დუისბურგის" ერთადერთ ფორვარდ **მაიერჰოფერს** მოარტყა (სახეში), რის შემდეგაც ბურთი **კირშბაუმის** კარში შევარდა - 1:0. „ზებრებმა" გოლი ძალიან ემოციურად იზეიმეს და წარმატება გუნდის ლიდერ **იულიან კოხს** მიუძღვნეს, რომელმაც პარასკევს მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და თანაგუნდელებს სეზონის უმნიშვნელოვანეს მატჩში ვერ ეხმარებოდა.

მეორე გოლი კი დუისბურგელებმა 54-ე წუთზე გაიტანეს: ხეირიანი კონტრშეტევა **ბალიაკმა** მშვენივრად დააგვირგვინა. შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, „ზებრები" 2:0-ს იგებდნენ და ვინც იფიქრა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო, მწარედ შეცდა: ბოლო 12 წუთში ვითარება ისევ მაგრად დაიძაბა. კერძოდ, 78-ე წუთზე **სუარესმა რაიმერინკი** საჯარიმოში მოცელა, დუისბურგელი მცველი მოედნიდან გააძევეს, „კოტბუსმა" კი თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მიიღო, რომელიც „ენერგის" გოლეადორმა **პეტერსენმა** გოლად გადააქცია. ამის შემდეგ, კოტბუსელებმა კაცნაკლული „დუისბურგი" წნეხის ქვეშ მოაქციეს. ჯერ ჰიუნემაიერს ჰქონდა ანგარიშის გათანაბრებისა და თამაშის დამატებით დროში გადაყვანის შანსი, მერე კი **შაოს** თავური დარტყმისას, ბურთი **იელდელის** კარის ძელს მოხვდა. მოგვიანებით, „დუისბურგის" კიპერმა იმავე შაოს დარტყმა ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია.

ჰიუნემაიერის საგოლე შანსზე კი უფრო დეტალურად უნდა შევჩერდეთ, რადგან კოტბუსელები მიიჩნევენ, რომ „დუისბურგის" მარცხენა მცველმა **ვეინაუმ** ბურთი კარიდან მას მერე გამოიტანა, როცა კარის ხაზი უკვე გადაკვეთილი იყო. „კოტბუსის" მწვრთნელმა **ვოლიტცმა** თქვა, თვითონ ვეინაუმაც აღიარა, რომ ბურთს კარის ხაზი გადაკვეთილი ჰქონდაო.

ვითარება კი მატჩის წინაც ძალიან დაძაბული იყო: დუისბურგელმა ულტრასებმა „კოტბუსის" ავტობუსს ქვებითა და პეტარდებით შეუტიეს, რის გამოც კოტბუსელები სტადიონზე დაგვიანებით მივიდნენ...

### როცა სუსტები ბერლინში მიდიოდნენ...

ალბათ გაინტერესებთ, რამდენად ხშირად მოუხერხებია არაპირველბუნდესლიგელ კლუბს გერმანიის თასის ფინალში გასვლა. ეს სულ 12-ჯერ მოხდა. რამდენჯერ მოახერხეს მათ ფინალის მოგება?..

1997 წელს გერმანიის თასის ფინალში რეგიონალლიგის წარმომადგენელმა „კოტბუსმა" გააღწია და გადამწყვეტი მატჩი „შტუტგარტთან" წააგო. „ენერგის" მაშინდელი თავდამსხმელი **ტორალფ კონეტცკე** დღესაც სიამოვნებით იხსენებს ბერლინში გამართულ საოცნებო ფინალს, რომელიც წაგების მიუხედავად, მისი კარიერის საუკეთესო მოგონებაა. *„დღესაც ყველა იმ თამაშს მახსენებს. მაშინ რიგით მესამე ლიგაში ვთამაშობდით და ნამდვილი ზღაპარი იყო ის, რომ გერმანიის თასის ფინალში გასვლა მოვახერხეთ,"* - ამბობს დღეს უკვე 38 წლის ექსფეხბურთელი. დღეს კონეტცკე ავტომექანიკოსია და პროფილაქტორიუმში მუშაობს.

მოკრძალებული კლუბები გერმანიის თასის ფინალში - აღსანიშნავია, რომ 12 შემთხვევიდან, ხუთი 90-იან წლებში დაფიქსირდა. 1992 წელს იმხანად მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელმა „ჰანოვერმა" ფინალის მოგება შეძლო, დაამარცხა რა მიონხენგლადბახის „ბორუსია" პენალტების სერიაში ანგარიშით 4:3. „წითლების" გამარჯვება მეკარე **იორგ ზიფერსის** დამსახურება იყო, რომელმაც პენალტების სერიაში ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია. ზიფერსი დღეს 45 წლისაა და ისევ „ჰანოვერში" მუშაობს.

**ყველა ფინალი არაპირველბუნდესლიგელი კლუბების მონაწილეობით**

| წელი | ფინალი | შედეგი |
|---|---|---|
| 1965 | ალემანია-ბორუსია (დ) | 0:2 |
| 1968 | ბოხუმი-კიოლნი | 1:4 |
| 1970 | ოფენბახი-კიოლნი | 2:1 |
| 1983 | ფორტუნა (კ)-კიოლნი | 0:1 |
| 1987 | შტუტ. კიკერსი-ჰამბურგი | 1:3 |
| 1992 | ჰანოვერი-ბორუსია (მ) | 4:3 (პ.ს.) |
| 1993 | ჰერტა II-ლევერკუზენი | 0:1 |
| 1994 | ესენი-ვერდერი | 1:3 |
| 1995 | ვოლფსბურგი-ბორუსია (მ) | 0:3 |
| 1997 | კოტბუსი-შტუტგარტი | 0:2 |
| 2001 | უნიონი-შალკე | 0:2 |
| 2004 | ალემანია-ვერდერი | 2:3 |

***შენიშვნა:*** *გამუქებულია ის გუნდები, რომლებიც პირველ ბუნდესლიგას არ წარმოადგენდნენ*

● დორტმუნდის ბორუსია

# დიდი ზეიმისთვის მზადება დაიწყო!

## ბორუსიას შეფებმა დორტმუნდის თავისუფლების მოედანი დაჯავშნეს



დორტმუნდელები „ბორუსიას" ჩემპიონობას თავისუფლების მოედანზე ზეიმობენ ხოლმე, ეს ფოტო კი ბოლო საჩემპიონო ზეიმზე, 2002 წლის მაისშია გადაღებული

მას მერე, რაც დორტმუნდის „ბორუსიამ" გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი „ბაიერნი" დაამარცხა (3:1) და მოქმედ ჩემპიონს 16 ქულით გაასწრო (მეორეადგილოსან „ლევერკუზენს" 12 ქულით უსწრებს), დორტმუნდში საჩემპიონო ზეიმისთვის მზადება უკვე ოფიციალურად დაიწყეს. დორტმუნდის მერიის წარმომადგენლის, **ჰანს-ვერნერ რიქსეს** განცხადებით, მერიამ უკვე შეასრულა „ბორუსიას" ოფიციალური მოთხოვნა და ქალაქის მთავარი, თავისუფლების მოედანი საზეიმო ცერემონიისთვის დაუჯავშნა.

იმისათვის, რომ „ბორუსია" გერმანიის ჩემპიონი ვერ გახდეს, სასწაული უნდა მოხდეს და თუ ეს სასწაული არ მოხდება, დორტმუნდელები 2002 წლის შემდეგ პირველ ჩემპიონობას ბოლო ტურის მატჩის (აინტრახტთან) შემდეგ, 14 მაისს იზეიმებენ. დორტმუნდის მერია თავისუფლების მოედანზე მინიმუმ 150 000 გულშემატკივარს ელის, იქ კი ამდენი ვერ დაეტევა...

*„უკვე ვიცით, რომ ზეიმზე მინიმუმ 150 000 ფანი მოვა, მოედანი კი ამდენს ვერ დაიტევს. შესაბამისად, მოედნის ახლოს მდებარე ქუჩების გადაკეტვაც მოგვიწევს,"* - აცხადებს რიქსე და იქვე დასძენს, რომ უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად იქნება მიღებული, რადგან არაა გამორიცხული, რომ „ბორუსიას" მოსისხლე მტრის, „შალკეს" ფანებმა ზეიმის ჩაშლა გადაწყვიტონ. რიქსეს თქმით, „შალკეს" ვერც ერთი ფანი დორტმუნდის თავისუფლების მოედანზე ვერ შეაღწევს. თუ როგორ აპირებს დორტმუნდის მერია იმის გაკონტროლებას, ზეიმზე დასწრების მსურველი ადამიანი „შალკეს" ფანია, თუ არა, რიქსე ამას არ ამხელს.

### ოვომოიელა, კელი და დედე წავლენ?

ამასობაში, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დიდია შანსი, რომ ზაფხულში „დორტმუნდი" ისეთმა გამოცდილმა ფეხბურთელებმა დატოვონ, როგორებიც არიან მარჯვენა მცველი **პატრიკ ოვომოიელა**, მარცხენა მცველი **დედე** და გუნდის კაპიტანი **სებასტიან კელი**. ოვომოიელა ტრავმირებულია, მაგრამ მისი შემცვლელი **ლუკაშ პიუჩეკი** იმდენად კარგად გამოიყურება, რომ ფაქტია, გერმანიის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება ძალიან გაუჭირდება. კაპიტანი კელი გამოჯანმრთელდა, მაგრამ „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** მას სასტარტოში არ ათამაშებს, რადგან **ნური შაჰინი** და **სვენ ბენდერი** ბრწყინვალედ ასპარეზობენ. რაც შეეხება დედეს: ყველაზე „ძველი დორტმუნდელი" ახალგაზრდა **მარსელ შმელცერმა** დიდი ხანია, ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო.

არადა, BVB სამივეს საკმაოდ მაღალ ხელფასებს უხდის. კელის წლიური ჯამაგირი 3 მილიონი ევროა, დედესი 2.5 მილიონი, ხოლო ოვომოიელა კი წელიწადში 2.2 მილიონს იღებს. ამას ისიც ემატება, რომ ოვომოიელასა და დედეს „ბორუსიასთან" კონტრაქტები ზაფხულში უმთავრდებათ, კელს კი ხელშეკრულება მხოლოდ 2012 წლამდე აქვს გაფორმებული.

კლოპს გუნდში კიდევ ერთი „ძალიან მაღალანაზღაურებადი" და ამავე დროს უსარგებლო მოთამაშე ჰყავს: საუბარია ნახევარმცველ **ფლორიან კრინგეზე**, რომელსაც იურგენი საერთოდ აღარ აქცევს ყურადღებას. „ბილდის" ინფორმაციით, კრინგე წელიწადში 2.8 მილიონ ევროს იღებს, რაც ნამდვილად მეტისმეტია ისეთი ფეხბურთელისთვის, რომელსაც BVB არაფერში იყენებს. კლუბის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ სასურველი წინადადების მიღების შემთხვევაში კრინგეს უყოყმანოდ დათმობენ.

### ვაიდენფელერი ბრუნდება

„ბორუსიას" ძირითადმა მეკარემ **რომან ვაიდენფელერმა** „ბაიერნთან" ტრავმის გამო ვერ ითამაშა. მართალია, მისმა შემცვლელმა, გამოუცდელმა **მიტჩელ ლანგერაკმა** ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ 30 წლის ვაიდენფელერი უკვე გამოჯანმრთელდა და ხვალ, „კიოლნთან" მორიგ კალენდარულ შეხვედრაში აუცილებლად იასპარეზებს.

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# შალკე ადასტურებს: მანჩესტერს ნოიერი უნდა!

დამთხვევა ნამდვილად არ არის ის, რომ გელზენკირხენის „შალკეს" ბოსმა **კლემენს ტიონიესმა** ზუსტად „ბაიერნთან" მატჩის წინ დაადასტურა ის, რაც აქამდე სპეკულაცია იყო. მან თქვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" „შალკესა" და გერმანიის ნაკრების მეკარე **მანუელ ნოიერის** შეძენა უნდა. მოგეხსენებათ, ნოიერისთვის ბრძოლას მიუნხენური გრანდიც აპირებს და ამ განცხადებით ტიონიესი შეეცადა, რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები აელეწვებინა, რაც მოახერხა კიდეც.

*„საერთაშორისო საფეხბურთო აგენტი დამიკავშირდა და მითხრა, რომ „მანჩესტერის" ხელმძღვანელები სერიოზულად ფიქრობენ მანუელ ნოიერის შეძენაზე. თუკი „იუნაიტედი" ოფიციალური წინადადებით მოგვმართავს, მათ წინადადებას აუცილებლად განვიხილავთ,"* - უთხრა „ბილდს" გელზენკირხენული კლუბის 54 წლის შეფმა.

ნოიერს „შალკესთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ამ სეზონში გელზენკირხენულ კლუბთან ახალ ხელშეკრულებას არ გააფორმებს, გაისად „შალკეს" უფასოდ დატოვება შეეძლება, რაც „ხუმარებს" ნამდვილად არ აძლევთ ხელს. ცნობილია, რომ მანჩესტერში 40 წლის **ედვინ ვან დერ სარის** შემცვლელს ეძებენ და არაერთხელ გაჟღერებულა ცნობა იმის შესახებ, რომ სერ **ალექს ფერგიუსონს** ჰოლანდიელი მეკარის შემცვლელად სწორედ ბუნდესმეკარე ნოიერი ესახება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ამბები



ანატოლი ტიმოშჩუკი ბაიერნიდან წასვლას აღარ აპირებს

## ანატოლიმ გადაიფიქრა
### ტიმოშჩუკი მიუნხენში დარჩება

უკრაინელი საყრდენი ნახევარმცველი **ანატოლი ტიმოშჩუკი** მიუნხენის „ბაიერნში" 2009 წლის ზაფხულში გადავიდა და რეკორდმაისტერმა სანკტ პეტერბურგის „ზენიტს" მაშინ 11 მილიონი ევრო გადაუხადა. უკრაინელისთვის პირველი მიუნხენური სეზონი ცუდად წარიმართა - ტიმოშჩუკი „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 9-ჯერ ათამაშეს. შესაბამისად, 2010 წლის ზაფხულში მას „ბაიერნიდან" წასვლა უნდოდა, მაგრამ მერე მაინც გუნდში დარჩენა გადაწყვიტა და როგორც გამოჩნდა, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან მიმდინარე სეზონში, აგერ უკვე 17 ტურია, სასტარტო შემადგენლობის წევრია. შესაბამისად, უკრაინელმა მიუნხენიდან წასვლა გადაიფიქრა.

„ძალიან კარგი შემოთავაზებები მქონდა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელებმა დამარწმუნეს, რომ „ბაიერნს" ვჭირდები. მეც ვგრძნობ, რომ ასეა, რადგან ბოლო დროს ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობ. მერე რა, რომ ლუის ვან გაალმა ნახევარდაცვიდან დაცვაში გადამიყვანა, ჩემთვის მთავარია, ვთამაშობდე და მზად ვარ, გუნდს იმ პოზიციაზე დავეხმარო, სადაც ყველაზე მეტად ვჭირდები. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ „ბაიერნში" დავრჩები. აქ თავს უკვე ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში," - უთხრა 31 წლის ტიმოშჩუკმა „ბილდს".

ამ სეზონში უკრაინელს მცველის რანგშიც კი ძალიან კარგი სტატისტიკა აქვს: ორთაბრძოლების 60 პროცენტი მოიგო და მისი პასების მხოლოდ თერთმეტმა პროცენტმა არ მიაღწია ადრესატამდე. „მირჩევნია, ნახევარდაცვაში ვთამაშობდე, რადგან თავს ყველაზე უკეთ მოედნის ცენტრში ვგრძნობ, მაგრამ მცველობას უკვე მივეჩვიე და პრობლემა არ მაქვს," - ამბობს ტიმოშჩუკი.

## ჰიიპია დაბერდა, შემცვლელს ეძებენ

ლევერკუზენის „ბაიერის" სპორტულ დირექტორ **რუდი ფიოლერს** ბუნდესლიგის მეორეადგილოსანთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და კლუბის სხვა ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ „რუხი მგელი" ახალ ხელშეკრულებას მალე გააფორმებს, რათა ახალი სეზონის დაგეგმვა დროულად მოხდეს. ფიოლერს არაერთხელ უთქვამს, რომ „ლევერკუზენი" მისთვის იდეალური გუნდია და რომ „ბაიერთან" განშორებას არ აპირებს.

ზაფხულში „ფარმაცევტების" უმთავრესი საზრუნავი ახალი ცენტრალური მცველის ყიდვა იქნება, რადგან ფინელი **სამი ჰიიპია** უკვე 37 წლისაა. „ის იდეალური მცველია, მაგრამ უკვე ისეთ ასაკშია, რომ ყველა ვხვდებით, მომავალ სეზონში ისე ველარ დავტვირთავთ, როგორც საჭიროა. ამიტომაც, ფაქტია, რომ ზაფხულში ახალი ცენტრალური მცველი დაგვჭირდება," - ეს „ლევერკუზენის" მთავარი მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესის** სიტყვებია.

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVI ტური

# თითქმის ჩემპიონები

## მესიმ ბარსას 10 ქულა აჩუქა, საკუთარ თავს 27 გოლი

„მესტალიაზე" თამაშის 77-ე წუთზე **ლეო მესიმ** სეზონში „ბარსელონას" 77-ე გოლი გაიტანა და „ბლაუგრანას" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა მესამეადგილოსან „ვალენსიასთან" - 0:1. ამ 77 გოლიდან 27 (!) მესის პირად ანგარიშზეა. სულ მცირე, დღის ბოლომდე ჩემპიონი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთადერთ კონკურენტ „რეალს" 10 ქულით უსწრებს. მოკლედ, თუკი დღეს **ჟოზე მოურინიო მანუელ პელეგრინის** გუნდს ვერ მოუგებს, ჩათვალეთ, რომ ყველაფერი დასრულდა, გადასაწყვეტი კი მარტო ის იქნება, დაეწევა, თუ არა **კრიშტიანო რონალდო** „პიჩიჩისთვის" (რაც ალბათ, 90%-ით „ოქროს ბუცსაც" ნიშნავს ამ სეზონში) ბრძოლაში არგენტინელ სუპერვარსკვლავს, ახლა მას უკვე 3 გოლით ჩამორჩება.

მესი მარცხენა ფლანგიდან **ადრიანოს** ჩაწოდებულს გამოეხმაურა და საჯარიმოს ცენტრიდან გაიტანა „ვალენსიას" კარში მატჩის ერთადერთი გოლი. თუმცა აქამდე, პირველ ტაიმში, მას ორჯერ მართებდა გატანა, ერთხელ ზედიზედ სამი დარტყმა დასჭირდა, მაგრამ მცველებსა და მეკარეს ვერა და ვერ აჯობა, მეორედ კი **გუაიტასთან** პირისპირ გასულმა მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ ველარ მოზომა და კარსაც გადააცილა. პირველ ტაიმში ერთი გოლი კი გავიდა, თუმცა ამაში მას მეტოქის საყრდენი ნახევარმცველი **სებასტიან ეგურენი** დაეხმარათ, რომელმაც პირველივე ტაიმში საჯარიმოში წააქცია **ლუიშ ფაბიანო**, რისთვისაც „სპორტინგი" 10 კაცის amara დატოვა, ბრაზილიელმა ფორვარდმა პენალტის ნიშნულიდან გაიტანა სეზონში მე-10 გოლი.

ამის შემდეგ ასტურიელებს, შეიძლება ითქვას, ბურთი სანატრელი გაუხდათ, მაგრამ ანგარიში კატასტროფული იმიტომ არ გახდა, რომ ანდალუსიელთა ფორვარდები ბევრს სცოდავდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ხან კი მეკარე ყოჩაღობდა. 35-ე წუთზე **დიეგო პეროტიმ**, როგორც იქნა გაასწორა მიზანი, რამდენიმე აცილების შემდეგ „სევილიას" მარცხენა ნახევარმცველი თავისი ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და შორეულ კუთხეში გაიტანა.

მეორე ტაიმში „სევილიამ" აშკარად დაინდო მეტოქე, რომელიც ეგურენის გაძევების შემდეგ მაგრად დაჩაგრა (ბურთის ფლობის 76% I ტაიმში). 65-ე წუთზე **ივან რაკიტიჩის** პასით **ალვარო ნეგრედომაც** გაიტანა სეზონში მე-10 გოლი. სხვათა შორის, მისმა მეწყვილე ლუიშ ფაბიანომ, რომელმაც უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ „სევილიადან" მიდის, „სპორტინგთან" თამაშის შემდეგ დაურთო, რომ ახლა ბრაზილიაში დაბრუნებისთვის იდეალური დროა.



მართალია, ამ ეპიზოდში ვერ გაიტანა, მაგრამ ბარსას სწორედ მესიმ მოაგებინა

თანაც „ბარსას" კარში, მაგრამ საეჭვო სიტუაციაში თანამსაჯმა ალამი აწია და ბურთიც არ ჩაითვალა.

დაბოლოს, კაცი, რომელიც მატჩამდე საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო, რომლის დაბრუნებაზეც ბევრს წერდნენ - **დავიდ ვილია** ჩრდილში მოექცა და მისთვის უჩვეულოდ ინერტული იყო, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მატჩში სწორედ „ელ გუახე" იყო სტუმართა შემადგენლობის უსუსტესი წერტილი.

სამშაბათს „სევილიამ" ის გუნდი დაამარცხა, რომელმაც თებერვალში „ბარსელონასა" და „ვალენსიას" დააკარგვინა ქულები - ხიხონის „სპორტინგი", თან დაამარცხა დამაჯერებლად - 3:0. ამ მოგების შემდეგ ისევ შეიძლება საევროპო შანსებზე ფიქრი. ვგონებთ, **გრეგორიო მანსანო** ნელ-ნელა გაერკვა ანდალუსიური კლუბის ხლართებში და გუნდი გამარჯვებებისკენ მომართა. ერთია, ამასობაში ბევრი ქულა დაიკარგა და გუნდი ევროპის ლიგიდანაც გავარდა. „სევილიამ" ფანტასტიკურად ითამაშა,

**გრეგორიო მანსანო** (სევილია): „გუნდმა კარგად ითამაშა „ვისენტე კალდერონზე" მიღწეულ ფრეს ძალიან იოლი გამარჯვება მივაყოლეთ. მეტოქის ფეხბურთელის გაძევების შემდეგ მოედანზე ყველაფერი გამოგვდიოდა. ჩვენი მიზანი ლა ლიგაში მე-4 ადგილის დაკავებაა, რაც აღარ ჩანს ფანტასტიკურად".

სამშაბათის მეორე მატჩზე, უფრო ზუსტად კი 26-ე ტურის პირველ შეხვედრაზე, „ესპანიოლსა" და „მალიორკას" შორის გუშინვე მოგითხრეთ - **მიქაელ ლაუდრუპის** გუნდმა ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა ბარსელონაში, რასაც კამერუნელ ფორვარდ **პიერ ვებოს** უნდა უმადლოდეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### მომდევნო ტური

**5 მარტი:** მალიორკა-ვალენსია, ბარსელონა-სარაგოსა, ატლეტიკო-ვილიარეალი.
**6 მარტი:** ერკულესი-ალმერია, ლევანტე-ესპანიოლი, მალაგა-ოსასუნა, სპორტინგი-ხეტაფე, ბილბაო-სევილია, რასინგი-რეალი.
**7 მარტი:** დეპორტივო-რეალ სოსიედადი.

### ესპანიოლი-მალიორკა 1:2

**ესპანიოლი (4-4-2):** კამენი - ჩიკა, ამატი, გალანი, ხ. ლოპესი - ლ. გარსია (65. მოლინა), დუშერი (86. რუი ფონტე), ვერდიუ (76. დატოლო), კალეხონი - ა. ვასკესი, ს. გარსია.
**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ნუნიეში, რამისი, აიოსე - ჟოაო ვიქტორი, ტეხერა (83. პინა) - ნსუე, გ. კასტრო (79. იენაგა), პერეირა - ვებო (91. რუბენი).
**გოლები:** 1:0 ა. ვასკესი (18), 1:1 ვებო (62), 1:2 ნსუე (82)
**გაფრთხილება:** ამატი, ლ. გარსია, დუშერი, ს. გარსია, ოლინა, ჩიკა - აიოსე, სენდროსი, ტეხერა
**კუთხური:** 0-9; **ჯარიმა:** 18-18; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 10-16 (3-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 17 000

### სევილია-სპორტინგი 3:0

**სევილია (4-4-2):** ვარასი - დაბო, ფასიო, ესკუდე, ფ. ნავარო - ხესუს ნავასი, მედელი (79. რენატო), რაკიტიჩი, პეროტი (72. კაპელი) - ლუიშ ფაბიანო (66. კანუტე), ნეგრედო.
**სპორტინგი (4-2-3-1):** კუელიარი - სასტრე (46. დე ლას კუევასი), გრეგორი, ერნანდესი, კანელია - ეგურენი, ლორა - ნაჩო ნოვო, კარმელო, აიოსე (67. მორანი) - სანგოი (68. ბილიჩი).
**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (28), 2:0 პეროტი (35), 3:0 ნეგრედო (65)
**გაფრთხილება:** ესკუდე, ნეგრედო - სასტრე
**გაძევება:** ეგურენი (27)
**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 16-3 (8-0); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.
**მაყურებელი:** 36 000

### სარაგოსა-ბილბაო 2:1

**სარაგოსა (4-2-3-1):** დობლასი - ლანსარო (80. და სილვა), იაროშიკი, კონტინი, ობრადოვიჩი - გაბი, პონსიო - ბერტოლო, ანდერი, ბუტაპარი (93. წ'დავი) - უჩე (76. სინამა-პონგოლე).
**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, ბალენზიაგა - სუსაეტა (69. დ. ლოპესი), ორბაისი (77. ინიგო პერესი), ხ. მარტინესი, გაბილონდო (57. მუნიაინი)- ტოკერო, ფ. ლორენტე.
**გოლები:** 0:1 ფ. ლორენტე (18), 1:1 იაროშიკი (48), 2:1 უჩე (55)
**გაფრთხილება:** გაბი, პონსიო, იაროშიკი, კონტინი - ხ. მარტინესი, ბალენზიაგა
**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 18-9 (5-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.
**მაყურებელი:** 18 000

### ხეტაფე-ატლეტიკო 1:1

**ხეტაფე (4-4-2):** კოდინა - მ. ტორესი, დიასი, რაფა, მანე (30. მარკანო) - მანუ, ვ. სანჩესი (65. ბოატენგი), პარეხო, გავილანი - კოლუნგა (77. კასკერო), მიკუ.
**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - ვალერა, პერეა, გოდინი, ა. ლოპესი - რეიესი, რ. გარსია (63. მ. სუარესი), ტიაგო (82. ხუანფრანი), კოკე (66. ელიასი) - ფორლანი, აგუერო.
**გოლები:** 1:0 მანუ (3), 1:1 ელიასი (81)
**გაფრთხილება:** მანე, ვ. სანჩესი, რაფა, დიასი - აგუერო, პერეა
**კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 9-8; **კარში დარტყმა:** 11-13 (3-3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.
**მაყურებელი:** 13 000

### ვილიარეალი-ერკულესი 1:0

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - მარიო, გონსალო, მარჩენა, კაპდევილა - კასორლა, ბ. ვალერო, ბრუნო, კანი (71. ვაკასო) - ნილმარი (82. მუსაჩიო), როსი (77. მარკო რუბენი).
**ერკულესი (4-2-3-1):** კალატაიუდი - კორტესი, პასი, პამარო, ხუანრა - აგილარი, ფრიტცლერი (78. კრისტიანი) - ტიაგო გომეში (58. კიკო), ტოტე, პორტილიო (70. ტომერი) - ტრეზეგე.
**გოლი:** 1:0 როსი (21)
**გაფრთხილება:** კასორლა, რუბენი - პამარო, ტოტე
**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 8-18; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 18-6 (7-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.
**მაყურებელი:** 18 000

### ოსასუნა-დეპორტივო 0:0

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ნელსონი, სერხიო, ლოლო, მონრეალი - პუნიალი, ნეკუნამი - სეხუდო (59. სორიანო), კამუნიასი, მასუდი (37. კორომინასი) - ლეკიჩი (78. კიკე სოლა).
**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - ლაურე, ლოპო, კოლოტო, მორელი - ხ. როდრიგესი, ტომასი - ადრიანი (85. ლასადი), მიჩელი, გუარდადო (55. პ. ალვარესი) - სანდი (63. რიკი).
**გაფრთხილება:** ლოლო, მონრეალი - ლოპო, როდრიგესი
**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 19-5 (6-3); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.
**მაყურებელი:** 15 000

### რეალ სოსიედადი-ლევანტე 1:1

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - ესტრადა, ანსოტეგი, დემიდოვი, დე ლა ბელა - რივასი, არანბურუ - ჩაბი პრიეტო, ზურუტუზა, გრიზმანი (68. სუტილი) - ტამუდო (72. აგირეჩე).
**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, დელ ორნო, ხუანფრანი (33. ნანო) - ხ. ტორესი, იბორა (72. რ. სუარესი) - ვალდო (60. მონტერო), მუნიოსი, ხუანლუ - სტუანი.
**გოლები:** 1:0 ზურუტუზა (53), 1:1 დელ ორნო (77)
**გაფრთხილება:** სუტილი - ხუანფრანი, მუნუა, ვენტა, ბალესტეროსი
**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 15-20; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 14-11 (1-1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.
**მაყურებელი:** 15 000

### ვალენსია-ბარსელონა 0:1

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - სტანკევიჩუსი, რ. კოშტა, დეალბერტი, ალბა - ბანეგა, ტ. კოსტა (84. ისკო) - ხოაკინი (46. სოლდადო), პ. ერნანდესი, მატიო (81. ჟონასი) - მატა.
**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დ. ალვეში, პიკე, აბიდალი, ადრიანო (81. მაქსველი) - ჩავი, ბუსკეტსი, მასკერანო (62. პედრო) - ვილია, მესი, ინიესტა (85. კეიტა).
**გოლი:** 0:1 მესი (77)
**გაფრთხილება:** ალბა, პ. ერნანდესი, ტ. კოსტა, სოლდადო - მესი
**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 18-6; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 7-20 (1-8); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.
**მაყურებელი:** 52 250

ალმერია-რასინგი დღეს
რეალი-მალაგა დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 26 | 23 | 2 | 1 | 77-13 | 71 |
| 2. რეალი | 25 | 19 | 4 | 2 | 55-19 | 61 |
| 3. ვალენსია | 26 | 15 | 6 | 5 | 40-27 | 51 |
| 4. ვილიარეალი | 26 | 15 | 5 | 6 | 45-26 | 50 |
| 5. ესპანიოლი | 26 | 13 | 1 | 12 | 35:38 | 40 |
| 6. ბილბაო | 26 | 12 | 2 | 12 | 40-38 | 38 |
| 7. სევილია | 26 | 11 | 5 | 10 | 41-40 | 38 |
| 8. ატლეტიკო | 26 | 10 | 5 | 11 | 36-34 | 35 |
| 9. სოსიედადი | 26 | 11 | 2 | 13 | 37-42 | 35 |
| 10. მალიორკა | 26 | 10 | 4 | 12 | 27-35 | 34 |
| 11. ხეტაფე | 26 | 9 | 6 | 11 | 36-39 | 33 |
| 12. რასინგი | 25 | 7 | 8 | 10 | 23-35 | 29 |
| 13. ლევანტე | 26 | 8 | 4 | 14 | 27-38 | 28 |
| 14. დეპორტივო | 26 | 6 | 10 | 10 | 21-35 | 28 |
| 15. სარაგოსა | 26 | 6 | 9 | 11 | 24-38 | 27 |
| 16. ოსასუნა | 26 | 6 | 8 | 12 | 26-32 | 26 |
| 17. ერკულესი | 26 | 7 | 5 | 14 | 24-39 | 26 |
| 18. სპორტინგი | 26 | 5 | 10 | 11 | 23-34 | 25 |
| 19. მალაგა | 25 | 6 | 5 | 14 | 34-51 | 23 |
| 20. ალმერია | 25 | 4 | 9 | 12 | 25-43 | 21 |

**ბომბარდირები:** 27 - ლეო მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 17 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 15 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 13 - პედრო როდრიგესი (ბარსელონა), ჯუზეპე როსი (ვილიარეალი); 11 - ნილმარი (ვილიარეალი); 10 - ფელიპე კაისედო (ლევანტე), ლუიშ ფაბიანო (სევილია), ალვარო ნეგრედო (სევილია), დავიდ ტრეზეგე (ერკულესი).

### სეგუნდა დივიზიონი

XXVII ტური

**ელჩე-ნუმანსია 1:0**
**გოლი:** 1:0 ანხელი (40)

**ბარსელონა B -კორდობა 4:1**
**გოლები:** 1:0 სორიანო (47), 1:1 უსერო (50), 2:1 უსერო (58 ს.კ.), 3:1 სორიანო (63), 4:1 ორიოლი (74)

**კარტახენა-ტენერიფე 1:0**
**გოლი:** 1:0 ტოჩე (66)

**სალამანკა-ვილიარეალი B 1:0**
**გოლი:** 1:0 სარმიენტო (33)

**ხირონა-გრანადა 2:0**
**გოლები:** 1:0 პერაგონი (34), 2:0 სიკეირა (88 ს.კ.)

**ხერესი-ხიმნასტიკი 1:2**
**გოლები:** 1:0 ო. დიასი (12), 1:1 პაუელი (44), 1:2 სანჩონი (53)

**რაიო ვალეკანო-ალკორკონი 1:0**
**გოლი:** 1:0 აგანსო (13)

**ალბასეტე-ვალიადოლიდი 1:1**
**გოლები:** 1:0 კალე (7), 1:1 ანტონი (63)

**ლას პალმასი-უელვა 1:1**
**გოლები:** 0:1 ვილიარი (32), 1:1 კიროგა (70)

სელტა-უესკა დღეს
პონფერადინა-ბეტისი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტა | 26 | 15 | 9 | 2 | 48-21 | 54 |
| 2. ვალეკანო | 27 | 16 | 5 | 6 | 46-30 | 53 |
| 3. ბეტისი | 26 | 15 | 4 | 7 | 49-27 | 49 |
| 4. გრანადა | 27 | 12 | 8 | 7 | 50-31 | 44 |
| 5. ხირონა | 27 | 11 | 9 | 7 | 40-32 | 42 |
| 6. ბარსელონა B | 27 | 11 | 8 | 8 | 48-41 | 41 |
| 7. კარტახენა | 27 | 12 | 5 | 10 | 35-37 | 41 |
| 8. ვილიარ. B | 27 | 12 | 5 | 10 | 32-35 | 41 |
| 9. ელჩე | 27 | 9 | 11 | 7 | 26-25 | 38 |
| 10. ხერესი | 27 | 11 | 5 | 11 | 37-39 | 38 |
| 11. ალკორკონი | 27 | 11 | 3 | 13 | 37-36 | 36 |
| 12. ვალიადოლ. | 27 | 10 | 6 | 11 | 35-34 | 36 |
| 13. კორდობა | 27 | 8 | 11 | 8 | 37-37 | 35 |
| 14. ნუმანსია | 27 | 10 | 3 | 14 | 39-41 | 33 |
| 15. უესკა | 26 | 7 | 12 | 7 | 22-24 | 33 |
| 16. უელვა | 27 | 5 | 14 | 8 | 24-27 | 29 |
| 17. ხიმნასტიკი | 27 | 6 | 10 | 11 | 22-29 | 28 |
| 18. სალამანკა | 27 | 8 | 4 | 15 | 28-41 | 28 |
| 19. ტენერიფე | 27 | 6 | 9 | 12 | 27-41 | 27 |
| 20. ლას პალმასი | 27 | 5 | 12 | 10 | 36-54 | 27 |
| 21. ალბასეტე | 27 | 5 | 10 | 12 | 19-32 | 25 |
| 22. პონფერად. | 26 | 3 | 11 | 12 | 19-42 | 20 |

**ბომბარდირები:** 19 - გეიხო (გრანადა); 17 - სორიანო (ბარსელონა), ქუინი (ალკორკონი); 15 - არმენტეროსი (რაიო ვალეკანო).

# ქართული სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენიანი ელიტაში

# აღიარება

**ლევან ახვლედიანი პლაჟის ფრენბურთში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის ტექნიკურ სუპერვაიზერად დაინიშნა**



სასიხარულო ცნობა მოვიდა ლოზანიდან. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან ახვლედიანი** პლაჟის ფრენბურთში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის ტექნიკურ სუპერვაიზერად დაინიშნა.

*"არ შეიძლება არ გაგიხარდეს, ასეთ დიდ ნდობას რომ იმსახურებ საერთაშორისო ფედერაციისაგან. მეტად საპასუხისმგებლო მისია დამეკისრა. 2002 წლიდან ვარ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოს წევრი და ბუნებრივია, კარგი კონტაქტებიც მაქვს. შარშან კლაგენფურტის ტურნირზე ასისტენტად მომიწია მუშაობამ. ჩვენი ფედერაციის ერთ-ერთი პრიორიტეტია მჭიდრო ურთიერთობა ფრენბურთის მმართველ ორგანოებთან"* - გვითხრა ლევან ახვლედიანმა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**სურათზე: ლევან ახვლედიანი (მეორე რიგში - შუაში), ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად**

## ჭადრაკი

# კონერუს სახიფათო სვლები

ღოჰაში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრანპრის გათამაშების მე-6 ეტაპის ბოლო ორ ტურში ზედიზედ ორი ქულა მიითვალა ინდოელმა **ჰამფი კონერუმ.** გუშინ მან ერთპიროვნული ლიდერი სომეხი **ელინა დანიელიანი** დაამარცხა და მასთან ქულათა სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. ასპარეზობის ბოლომდე სამი ტურია დარჩენილი და ერთქულიანი უპირატესობის აღმოფხვრა სულაც არ არის შეუძლებელი. ინდოელი დიდოსტატი პირველ ადგილზე თუ გავა, იგი 160 ქულას დაიმსახურებს და სამი საუკეთესო შედეგის ჯამით 413,33 ქულას მოაგროვებს, რითაც გრანპრის მთავარ პრიზთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ჩინელ **ჰოუ იფანთან** თამაშის უფლებასაც მოიპოვებს, თუ ძაგნიძე მე-2 ადგილს ვერ დაიკავებს. იმედია, საქმე აქამდე არ მივა, მით უმეტეს, რომ ერთდღიანი შესვენების შემდეგ ჩვეული ენერგიით ათამაშდა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი **ნანა ძაგნიძე,** რომელმაც გუშინ ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა - ამჯერად სომეხი **ლილით მკრტიჩიანი** დაამარცხა და 5 ქულით მე-4 ადგილზეა.

ბოლო სამ ტურში დანიელიანი ფიეროს, კრამლინგსა და სტეფანოვას შეხვდება, კონერუ-სიუ იუჰუას, მკრტიჩიანსა და ჟუ ჩენს, ძაგნიძე-სებაგს, ჟუ ჩენსა და ჩიბურდანიძეს, ხოლო საპრიზო ადგილების კიდევ ერთი კონკურენტი სებაგი-ძაგნიძის გარდა, ჩიბურდანიძესა და მონგონთუულს დაუპირისპირდება.

გუშინდელ მე-9 ტურში **მაია ჩიბურდანიძე** შავი ფიგურებით შვედ **პია კრამლინგს** დაუზავდა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ: **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი)-**მარი სებაგი** (საფრანგეთი), **ჟუ ჩენი** (ყატარი)-**სიუ იუჰუა** (ჩინეთი), **მარტა ფიერო** (ეკვადორი)-**ბათჰუიაგ მონგონთუული** (მონგოლეთი) 1:0.

რვა ტურის შემდეგ: დანიელიანი-6,5, კონერუ, სებაგი-5,5-5,5, ძაგნიძე-5, კრამლინგი-4,5, ჩიბურდანიძე, ფიერო-4-4, მკრტიჩიანი-3, სტეფანოვა, მონგონთუული, იუჰუა, ჟუ ჩენი-2,5-2,5 ქულა.



ნანა ძაგნიძე

დღეს მე-9 ტურში ითამაშებენ: სებაგი-ძაგნიძე, ჩიბურდანიძე,-სტეფანოვა, მონგონთუული-კრამლინგი, დანიელიანი-ფიერო, სიუ იუჰუა-კონერუ, მკრტიჩიანი-ჟუ ჩენი.

**ვაჟა დანელია**

# ლიკას ბრაზილია ერგო



ნანი უნაფქოშვილი (მარცხნივ) და ლიკა კობეშავიძე

გუშინ გაუწყეთ, რომ 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობის ვაჟთა ტურნირში ჩემპიონობა ვადამდე გაინაღდა **ირაკლი ბერაძემ,** რომელსაც 8 შესაძლებლიდან 8 ქულა ჰქონდა. გუშინ მან ბოლო პარტიაც მოიგო - **რამაზ ენდელაძე** დაამარცხა და ქულათა აბსოლუტური რაოდენობა დააგროვა, რაც ასეთ ტურნირებში, თანაც ამ ასაკში, იშვიათობაა. მეწინავეთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **შალვა ნადირაშვილი-ალექსანდრე ებრალიძე** 1:0, **გიორგი შონია-გუგა ბურდული** 1:0, **გიორგი სიბაშვილი-ნოე თუთისანი** 0,5:0,5, **თემურ ჩაიძე-ოთარ მანგიაშვილი** 0:1, **გიორგი ცხადაძე-რობერტ ტორონჯაძე** 1:0. ნადირაშვილმა გუშინდელი გამარჯვებით 7 ქულას მოუყარა თავი და მეორე ადგილზე გავიდა. იგი კონტინენტის პირველობაზე გაემგზავრება. ხუთმა მოჭადრაკემ 6-6 ქულა მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით ბრინჯაო ბურდულს ხვდა.

გოგონათა ტურნირში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან ყველაზე ახლოს იყო **ნანი უნაფქოშვილი,** რომელმაც მე-8 ტურში ერთპიროვნულ ლიდერ **ლიკა კობეშავიძეს** სძლია და ნახევარი ქულით თავად დაწინაურდა, თუმცა გადამწყვეტ ტურში მან ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა - თეთრი ფიგურებით **ნატო იმნაძესთან** დამარცხდა, კობეშავიძე კი **მარიამ ჭოლაძეს** დაუზავდა და უნაფქოშვილს წამოეწია. რადგანაც ლიკას უკეთესი კოეფიციენტი ჰქონდა, პირველობა და ბრაზილიის მსოფლიოს პირველობის საგზური მას ერგო. უნაფქოშვილი მეორე ადგილზე გავიდა - იგი ევროპელ თანატოლებს შეეჯიბრება. ასევე, 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს იმნაძემ და ნინო ხომერიკის მძლეველმა **ანა კუჭავამ.** უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილი იმნაძემ დაიკავა.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# კლასიკურშიც, ელვისებურშიც

თბილისელმა დიდოსტატმა, საქართველოს ქალთა ნაკრების მწვრთნელმა **დავით არუთინიანმა** შესანიშნავად ითამაშა საფრანგეთის ქალაქ როშფორში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე, სადაც 44 მონაწილიდან 20 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი იყო. 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი უკრაინელმა **იური სოლოდოვნიჩენკომ** დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა **დავით არუთინიანი.** 6 ქულით მესამე ადგილი უზბეკ **ალექსეი ბარსოვს** ხვდა.

მთავარი ტურნირის დამთავრების შემდეგ იქვე გაიმართა შეჯიბრება ელვისებურ ჭადრაკში. 11-დან 9 ქულით ყველას არუთინიანმა აჯობა.

**ვაჟა დანელია**

# ყაიმების ცვენა

მეშხედში (ირანი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მე-5 ტურში ლიდერთა შორის მყოფი **დავით ბენიძე** შავი ფიგურებით **სერგეი ვოლკოვს** დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ: ევგენი გლეიზეროვი-ალექსანდრ მოისეენკო, სერგეი ტივიაკოვი-მიხაილ ულიბინი, ტიგრან კოტანჯიანი-ეჰსან ჩაემი, ელშან მორადიაბადი-ბაჩანა მორჩიაშვილი, მორტეზა დარბანი-დავით მაღალაშვილი, ფარზად ბოლოურჩიფადი-კონსტანტინე შანავა; წარმატებით ითამაშეს მიხეილ მჭედლიშვილმა, მერაბ გაგუნაშვილმა, შოთა აზალაძემ და ივერი ჭილაძემ, რომლებმაც, შესაბამისად, საჰებალი ათანეჯადი, სეიდ არაბი, მერსად ხოდაშენასი და მაჰდი ფალაჰი დაამარცხეს.

ხუთი ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ერთბაშად 9 მოჭადრაკე მეწინავეობს, რომელთა შორისაა დავით ბენიძე. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს მჭედლიშვილმა, გაგუნაშვილმა, მორჩიაშვილმა და მაღალაშვილმა, ხოლო შანავას, აზალაძესა და ჭილაძეს 3,5-3,5 ქულა აქვთ.

**ვაჟა დანელია**



დავით ბენიძე

## მშვილდოსნობა

### ევროპის ზამთრის ჩემპიონატი

# მშვილდოსანთა ესპანური განაცხადი

20 მარტს ქართველ მშვილდოსან ქალთა ნაკრები ესპანურ კამბრილსში გაემგზავრება და ევროპის ზამთრის ჩემპიონატში იასპარეზებს. ნაკრების შემადგენლობა უცვლელია - **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე.** ნაკრებს გაჰყვებიან როგორც ძველი თავკაცი **თამაზ ფუტკარაძე,** ისე ახალ მთავარ მწვრთნელად შეგულებული კორეელი **ან იონ სეუნი.** არსებითად, ფუტკარაძე ჯერ ისევ რჩება ნაკრების ხელმძღვანელად, რადგან კორეელთან ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა. მოგეხსენებათ, ის საქართველოში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გრძელვადიანი პროგრამის - „ოლიმპიური სოლიდარობის“ ფარგლებში იმყოფება და მესამე ეტაპს 9 მარტს ამთავრებს. საქართველოში დარჩენაზე კორეელიც თანახმაა და მზადაა, საამისოდ საერთაშორისო ფედერაციასთანაც კი შენყვიტოს მწვრთნელ-ინსტრუქტორის სტატუსით თანამშრომლობა და მთლიანად ჩვენთან იმუშაოს, მაგრამ საქმეს სახელფასო თანხა აფერხებს. ქართული მხარის პროგრამა-მაქსიმუმია, სეუნი ლონდონის ოლიმპიადამდე დაიტოვოს, პროგრამა-მინიმუმი - 4 თვით ანუ ივლისში იტალიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატამდე, სადაც ოლიმპიური ლიცენზიებიც თამაშდება. კორეელი სოლიდარობის პროგრამით საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩამოიყვანა, თუმცა მწვრთნელად დატოვებაში უფრო მეტად სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო აქტიურობს. ახლა ფედერაცია ძირითადად მის იმედზეა - თანხას მისგან ელოდება, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, მათ ფინანსურად დასახმარებლად სეოკ-იც მზადაა.

კორეელის საქართველოში დარჩენა-არდარჩენა მაინც მომავლის საკითხია, ჯერჯერობით კი ქართულ მშვილდოსნობაში ვითარება ვერც მისმა ფაქტორმა შეცვალა - სეზონის უმთავრეს შეჯიბრებებში ჩვენგან კვლავაც მხოლოდ ქალთა გუნდი გამოდის. თანაც - ისევ ძველი სახეებით, თუმცა ის ჯადოქარი არაა და ასე მალე რადიკალურ შედეგებს ვერც მოგვიტანდა - ეს არცაა გასაკვირი. სეუნი ამბობს, რომ ცოტა შორსმიმავალ პერსპექტივაში ქართველ ვაჟებშიც ხედავს ოლიმპიადაზე მოხვედრის პოტენციალს, მაგრამ სადღეისოდ მათი შედეგები ძალზე დაბალია. ამიტომ ამ ეტაპზე მთავარ აქცენტს ქალებზე აკეთებს.

ესპანეთში შეჯიბრებები 23 მარტს დაიწყება, როცა საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართება. იმავე დღეს გაირკვევიან გუნდური ტურნირის მონაწილენიც, რომლებიც პლეი ოფის შეხვედრებს 24-ში გამართავენ. 25 მარტს პლეი ოფი უკვე პირად პირველობაში გაიმართება და როგორც გუნდურში, ახლაც მედლებისთვის მებრძოლი წყვილები გამოვლინდებიან, 26-27 მარტი კი ორივე დისციპლინაში ფინალურ შეხვედრებს დაეთმობა.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ ზამთრის პირველობები დახურულ დარბაზებში, არაოლიმპიურ დისტანციაზე ტარდება, თუმცა სეზონის მთავარი ანუ საზაფხულო სტარტების წინ მაინც მნიშვნელოვანია, როგორც სატურნირო პრაქტიკის მიღების, მოთელვისა და ძალების შემოწმების მშვენიერი შანსი. თან ჩვენებს ამ რანგის შეჯიბრებაში გარკვეული წარმატებები გააჩნიათ - ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოუპოვებიათ. იმედია, ჯილდოს გარეშე არც წლეულს დარჩებიან.

**ირაკლი თავაძე**

## სამთო თხილამურობა

# ეტაპს ბაკურიანმა უმასპინძლა

**ბაკურიანში საქართველოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპი გაიმართა. ამჯერად უამინდობას მოთხილამურეებისთვის ხელი აღარ შეუშლია.**

### გიგანტური სლალომი

#### გოგონები

1993-95 წლ. დაბ. 1. ნატაშა გავა, 2. სუსანა გავა, 3. თამარ ბაქრაძე (ყველა -ბაკურიანი).

1996-97 წლ. დაბ. 1. ნუცა ხურცილავა, 2. ნატა მგელაძე (ორივე – თბილისი), 3. მარიამ ჯაფარიძე (მესტია).

1998-99 წლ. დაბ. 1. მარიამ ჭკადუა (მესტია), 2. ანა გორდეზიანი (თბილისი), 3. სალომე კვიციანი (მესტია).

#### ბიჭები

1993-95 წლ. დაბ. 1. კოტე ვახტანგიშვილი, 2. იასონ აბრამაშვილი, 3. კახა კურტანიძე (ყველა – ბაკურიანი).

1996-97 წლ. დაბ. 1. სოსლან ბაკაევი, 2. გიორგი კურტანიძე (ორივე – ბაკურიანი), 3. გიგი ბროკიშვილი (თბილისი).

1998-99 წლ. დაბ. 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი), 2. ნიკოლოზ ცაგარელი (გუდაური), 3. ნიკა ნაქაძე (ბაკურიანი).

**ლევან ჯანეზაშვილი**

## წყალბურთი

# ოლიმპიკში გვახარიას თასისთვის

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში 4-6 მარტს 1995-1996 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა თბილისის პირველი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება სპორტის დამსახურებული ოსტატის, სხვადასხვა წლებში თბილისისა და მოსკოვის „დინამოს“, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრისა და მწვრთნელის, 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორის, ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული თამაშების ჩემპიონისა და ორგზის ვერცხლის მედალოსნის, მსოფლიოს სტუდენტთა თამაშების მეორე პრიზიორის, საკავშირო ჩემპიონატის გამარჯვებულისა და სსრკ ხალხთა სპარტაკიადის მესამეადგილოსნის **ნოდარ გვახარიას** თასზე.

შეჯიბრებაში უკრაინის, ბელარუსისა და საქართველოს ორი ნაკრები იასპარეზებს. პაექრობებში ეგვიპტელებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ იქ მომხდარი პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ თბილისში ჩამოსასვლელად ვის ცხელა. სხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მოწვევა კი ვერ მოესწრო, ამიტომ ტურნირზე საქართველო ორი გუნდით წარსდგება. ხვალ, **4 მარტს,** ითამაშებენ: ბელარუსი-საქართველო(2), უკრაინა-საქართველო(1). **5 მარტი.** უკრაინა-საქართველო(2), საქართველო(1)-ბელარუსი. **6 მარტი.** ბელარუსი-უკრაინა, საქართველო(1)-საქართველო(2).

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ბასილაშვილი განთესილთა შორისაა

ამერიკის ქალაქ ჰარლინგენში 15-ათასიან ტურნირში მე-8 ნომრად **ნიკოლოზ ბასილაშვილია** (688) განთესილი. მისი პირველი მეტოქე საკვალიფიკაციო წრის გამარჯვებული ამერიკელი **აარონ იოვანია** (1683). ჩვენებურმა წყვილთა ბადეში თამაში უკვე დაასრულა - ბულგარელ **ბაკალოვთან** დუეტში არგენტინელებთან (**ტრუნგელიტი, ორტისი**) დათმო - 1:6, 2:6.

ლიონში ძალზე წარუმატებლად იასპარეზეს ჩვენმა ქალმა ჩოგბურთელებმა. არადა, ტურნირის საპრიზო ფონდი მხოლოდ 10 ათასი დოლარი იყო და კონტინგენტიც შესაბამისი, სამიდან ორი ქართველი მაღალი ნომრით იყო განთესილი, მაგრამ... მე-3 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (280) 15 წლის ურეიტინგო **საჩია ვიკერისთან** (აშშ) უშანსოდ წააგო - 3:6, 2:6. მე-4 ნომრად განთესილმა **თათია მიქაძემ** (286) კი **იანა ბუჩინასთან** (რუსეთი, 701) დათმო - 3:6, 6:7 (3). **სოფიო ქვაცაბაიამ** (413) უშანსოდ წააგო მე-2 ნომრად განთესილ ფრანგ **კლარ ფორსტეინთან** (278) - 3:6, 0:6.

მიქაძისა და შაფათავას მე-2 ნომრად განთესილი დუეტი წყვილთა ბადეში ყოჩაღობს. მათ იტალიელები (**კარეგარო, რემონდინა**) დაამარცხეს - 6:3, 6:3 და ნახევარფინალში გავიდნენ. ქვაცაბაია კი ხორვატ **აბრამოვიჩთან** ერთად პირველ ნომრად არის განთესილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**






კარლ დამუსს საშუალოდ 1.1 დაფარება აქვს

კალათბურთი სუპერლიგა. სოხუმი

# კარლი-რიჩარდი, ფლორიდა-სოხუმი

„სოხუმში" პირველ წრეში 5 ლეგიონერი თამაშობდა: **იუჯინ ჰარისი**, ძმები **დამუსები, მაიკ მაქქერი** და **პეტრას ბალოჩკა**. მათგან მეორე წრეში სამი დარჩა, ბალოჩკა საფრანგეთში წავიდა, ხოლო მაქქერი საქართველოს ვერ შეეგუა და თავად ითხოვა გუნდიდან გაშვება.

ყველაზე ადრე „სოხუმში" კარლ და რიჩარდ დამუსები ჩამოვიდნენ და, თამამად უნდა ითქვას - სხვებზე უკეთ შეეგუვნენ როგორც აქაურ ყოფას, ასევე კალათბურთს.

*- საქართველოს შესახებ ამერიკაში ლაშა ფარლალავა გვიყვებოდა და ჩამოსვლამდე ვიცოდი, რომ საინტერესო ისტორიისა და მდიდარი კულტურის ქვეყანა გქონდათ. ამაში თბილისში ჩამოსვლის შემდეგაც დავრწმუნდი - მომხიბლა ციხე-კოშკებმა და ხალხის სითბომ,* - დაიწყო უმცროსმა ძმამ კარლმა, რომელსაც რიჩარდიც დაეთანხმა. მათი აზრი ქართულ სამზარეულოზეც ერთმნიშვნელოვანია:

*- „მაკდონალდსშიც" დავდივართ, მაგრამ განსაკუთრებულ პატივს ქართულ კერძებს ვცემთ. „სვადსა" (მწვადს) და ხინკალს არაფერი შეედრება,* - ეს უკვე რიჩარდ დამუსის სიტყვებია.

მართალია, მათ საქართველოს მოვლა ჯერ ვერ მოასწრეს, მაგრამ კარგად იციან ჩვენი კუთხეების და უახლოესი ისტორიის შესახებ:

*- „სოხუმში" თამაში ჩვენთვის დიდი პატივია. მას ხომ ქალაქ სოხუმის სახელი აქვს, რომლის შესახებ გუნდში ბევრს მიყვებიან. აფხაზეთის შესახებ მწვრთნელებისა და მოთამაშეების აზრებს დიდ პატივს ვცემთ.*

■ ■ ■

დამუსები მოედანზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯებიან. ზოგჯერ, კარლი საკუთარ თავს ერთ შეცდომასაც არ პატიობს - ემოციურად, შეძახილით გამოხატავს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამერიკელი ძმები სუპერლიგაში ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობისმოყვარენი არიან. ვერავინ გაიხსენებს, ისინი მეტოქეს თუნდაც უხეშად შეკამათებოდნენ...

ფარქვეშ „სოხუმის" მთავარი იმედი (**გიგა კვეტენაძე** და **ლუკა შანიძე** უფრო მსუბუქი ფორვარდები არიან) სწორედ ორი დამუსია. მათ თამაში ხან კარგად გამოსდით, ხან - არა. ბოლო ორ ტურში თსუ-სა და „არმიას" წინახაზელების შეჩერება გაუჭირდათ. თუმცა, ზოგადად გუნდისთვის დიდი სარგებელი რომ მოაქვთ, ეს მონაგარითაც ჩანს: რიჩარდ დამუსს საშუალოდ 13 ქულა აქვს და ლიდერთა ჩამონათვალში მე-20 ადგილზეა. იგი სუპერლიგის საუკეთესო მომხსნელია - 11.7. ამ კომპონენტში მეექვსეა კარლ დამუსი: საშუალოდ 9 მოხსნა.

ბოლო ტურის მატჩის შესახებ კარლმა მოკლედ თქვა:

*- „არმია" ძლიერი გუნდია. მის წინააღმდეგ თამაში ყველას უჭირს არც ჩვენ ვართ გამონაკლისნი. მაგრამ შაბათს დაცვაში ურიგოდ არ გვითამაშია. გუნდურად ვირჯებოდით. შეტევაში იოლად ჩასაგდები არაერთი ბურთი ვერ გამოვიყენეთ. ძალიან დაგვეტყო ჩვენი საკვანძო კალათბურთელის, ლაშა ფარლალავას არყოფნა.*

თემა რიჩარდმა თამამად განაგრძო:

*- „არმიასთან" მოგებაც შეგვეძლო. მესამე პერიოდის ერთ მონაკვეთში მეტოქეს თითქმის დავეწიეთ, მაგრამ მოწინააღმდეგის მეათე ნომერმა (ტულუშმა) რამდენიმე გადამწყვეტი ტყორცნა ზუსტად შეასრულა და „არმიაც" ისევ წინ გაიჭრა.*

ამერიკელებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს ჩემპიონატის რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი სწორედ „არმიაშია" თავმოყრილი:

*- სამხედროთა გუნდში ბევრი მაღალი კლასის მოთამაშეა. მათ შორის ტულუშს გამოვყოფ. ასევე ძლიერი მოთამაშეა ქართველი რიჩარდი - მათიაშვილი, თსუდან. შსს-ს ცენტრიც მომწონდა (დავით იმნაძე), მაგრამ მან შუა სეზონში ტრავმა მიიღო და აღარ თამაშობს. „სოხუმელთაგან" კი სამ მოთამაშეს გამოვარჩევ: ლაშა ფარლალავას, იუჯინ ჰარისსა და რიჩარდ დამუსს,* - ალბათ მიხვდებოდით, ეს სიტყვები რომელ დამუსს ეკუთვნის.

თუ კარლი კონკრეტულ გვარებს ასახელებს, რიჩარდი სუპერლიგაზე ზოგადად ლაპარაკობს:

*- საქართველოში არაერთი კარგი გუნდია. ფიზიკურად თითქმის ყველა სათანადოდაა მომზადებული, თუმცა სხვებისგან მაინც გამოირჩევა თსუ, „არმია", „პოლიცია" (შსს), „ქუთაისი"... ცხადია, მათ შორისაა „სოხუმიც".*

საინტერესოა კარლის მოსაზრება მთავარ მწვრთნელად **აინარ ბაგაცკისის** დანიშვნის შემდეგ გუნდში მომხდარ ცვლილებებზე.

*- სხვა გზით წავედით, ვარჯიშებზე ბევრს ვმუშაობთ და ვცდილობთ, ეს თამაშისას მოედანზე გადავიტანოთ. თუმცა, ყველაფრის სრულყოფილად შესასრულებლად დროა საჭირო. აშკარაა, რომ დაცვითი თამაში გამოვასწორეთ. უფრო გუნდურადაც ვირჯებით და წინ მივდივართ. ვიმედოვნებ, საბოლოოდ სასურველ შედეგსაც მივაღწევთ.*

■ ■ ■

ახლა გავარკვიოთ, საიდან მოვიდნენ დამუსები „სოხუმში"? შეიძლება ვინმემ მარტივი პასუხიც გაგვცეს - ამერიკიდანო. მაგრამ ასე არაა. ისინი „სოხუმში" ესპანეთიდან ჩამოვიდნენ. მოკლედ, მოვუსმინოთ რიჩარდ დამუსს:

*- წარმოშობით პენსაკოლადან ვართ. კალათბურთის თამაშიც ამ ქალაქში დავიწყეთ და იუნიორთა კოლეჯების ლიგაშიც „პენსაკოლას" ღირსებას ვიცავდით. ეს სასწავლებელი რომ დავამთავრეთ, სწორედ მაშინ ჩამოვიდა ლაშა ფარლალავა. დავუახლოვდით და მის თამაშებზეც ხშირად დავდიოდით. „პენსაკოლადან" მე „ტროას" კოლეჯში გადავედი, იქ, სადაც ახლა ფაცაცია თამაშობს. ჩემი ძმა, კარლი კი კალიფორნიის კოლეჯში ჩაირიცხა. სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ესპანეთში გადავედით. ჯერ ნაციონალ 1-ში გამოვდიოდით, შემდეგ ება-ში.*

დამუსებისა და ქართველთა გზები ესპანეთშიც გადაიკვეთა: „მონსონში" (ება) **კოკა ტომარაძის** გვერდით თამაშობდნენ. როგორც იცით, მიმდინარე სეზონის წინ კოკაც საქართველოში დაბრუნდა, შსს-ს ღირსებას იცავს.

ბოლოს, კარლს საქართველოს პირველობისა და EBA-ს შედარება ვთხოვეთ:

*- ეს ორი პირველობა ერთმანეთს ორი რამით ჰგავს: სათამაშო დონე თითქმის თანაბარია; როგორც აქ, EBA-შიც გუნდები ძირითადად ახალგაზრდებზეა აგებული... ქართველებსაც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გყავთ.*

**ვაჟა სიმონიშვილი**



რიჩარდ დამუსი ქუთაისელთა ფარქვეშ



**კარლ დამუსი**

**სოხუმი**

**დაიბადა:** 12.04.1984
**სიმაღლე:** 203 სმ.
**წონა:** 105 კგ.

**სუპერლიგა 2010-11**

| თ | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | 244 | 107 | 126 | 6 | 3 | 15 |
| 14 | 17.4 | 7.6 | 9.0 | 0.4 | 0.2 | 1.1 |



**რიჩარდ დამუსი**

**სოხუმი**

**დაიბადა:** 17.09.1983
**სიმაღლე:** 200 სმ.
**წონა:** 88 კგ.

**სუპერლიგა 2010-11**

| თ | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | 400 | 182 | 164 | 12 | 17 | 20 |
| 14 | 28.6 | 13.0 | 11.7 | 0.9 | 1.2 | 1.4 |

# ევროპა გრინმაც დაასრულა

ევროთასის გათამაშებას გამოეთიშა **ტორინ გრინის** „გრან კანარია" - ევროთასის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ესპანელებმა ვერაფერი მოუხერხეს ხორვატიის „ცედევიტას" (შინაც დამარცხდნენ და სტუმრადაც) და მეოთხედფინალის საგზურიც მას დაუთმეს.

„გრან კანარიასთვის" ბოლო ტურს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, წინასწარ ცნობილი იყო, რომ ჯგუფიდან რუსული „უნიქსი" და ხორვატული „ცედევიტა" გავიდოდნენ. გრინის გუნდმა სერბეთში „ჰემოფარმის" წინააღმდეგ ბოლომდე იბრძოლა და მინიმალური სხვაობით დამარცხდა - 74:75.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და ნაყოფიერად იშრომა: 24 წუთში 13 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 4 ჩაჭრა მოაგროვა. გრინმა ორქულიანები და საჯარიმოები კარგად ისროლა, სამქულიანების რეალიზებაში კი დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა: 4-დან 2 ორქულიანი, 6-დან 6 საჯარიმო, 6-დან 1 სამიანი. საყურადღებოა, რომ ტორინს ბოლო წამებზე მატჩის გადარჩენის შანსი მიეცა, მაგრამ შორეული ტყორცნა მიზანს ააცილა.

**I ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. უნიქსი | 6 | 4 | 2 | 10 |
| 2. ცედევიტა | 6 | 4 | 2 | 10 |
| 3. გრან კანარია | 6 | 2 | 4 | 8 |
| 4. ჰემოფარმი | 6 | 2 | 4 | 8 |

**ტაირონ ელისის** „ესტუდიანტესმა" მადრიდში „გალათასარაი" 71:69 დაამარცხა. თუმცა, ბოლო ტურამდეც გარკვეული იყო, რომ J ჯგუფიდან „ესტუდიანტესი" და იტალიური „კასერტა" გავიდოდნენ.

ელისმა თურქებთან მატჩში მოედანზე 18 წუთი გაატარა და სამქულიანებში ვერც მან იყოჩაღა: 5-დან 1 ჩააგდო. ელისს მეტოქის კალათის მიმართულებით არც ორიანი უსვრია, არც საჯარიმო, მატჩი 3 ქულითა და 1 პასით დაასრულა.

**J ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ესტუდიანტესი | 6 | 5 | 1 | 12 |
| 2. კასერტა | 6 | 5 | 1 | 12 |
| 3. გალათასარაი | 6 | 2 | 4 | |
| 4. ნიმბურკი | 6 | 0 | 6 | 6 |

**მეოთხედფინალში** გავიდა „კახასოლი", რომელშიც **ბექა ბურჯანაძე** თამაშობს. ქართველი ახალგაზრდა ევროთასზე არაერთი მატჩის განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე არ გასულა.

ბოლო ტურში „კახასოლმა" იტალიაში „ბენეტონთან" 68:84 წააგო. მწვრთნელს ბექა იტალიაში არ წაუყვანია.

**L ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბენეტონი | 6 | 5 | 1 | 12 |
| 2. კახასოლი | 6 | 5 | 1 | 12 |
| 3. ალბა | 6 | 1 | 5 | 7 |
| 4. პანელინიოსი | 6 | 1 | 5 | 7 |

**მეოთხედფინალში** ელისის „ესტუდიანტესი" „გრან კანარიას" მძლეველ „ცედევიტას" დაუპირისპირდება, „უნიქსი" „კასერტას" წინააღმდეგ ითამაშებს, „კახასოლის" მოწინააღმდეგე „ბუდიველნიკი" იქნება, ხოლო „ბენეტონისა" - „გოტინგენი".

**ვაჟა სიმონიშვილი**



ტორინ გრინმა ჰემოფარმს 13 ქულა ჩაუგდო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლელო წარმოგიდგენთ ქართული სპორტის ქრონიკები

## ქართული ხალხური თამაშები

# ლელო ცხენზე

ლელოს ცხენზე, ე.ი. ბურთის გატაცებას ცხენით, საქართველოში თამაშობდნენ უძველესი დროიდან. ამ ცხენოსნური თამაშისათვის იქმნებოდა ორი რიცხობრივად თანაბარი, მოწინააღმდეგე გუნდი. ლელო ტარდებოდა რომელიმე დღესასწაულის აღსანიშნავად. ინიშნებოდა თამაშის ადგილი, განსაზღვრული მანძილი; ზოგჯერ ერთი სოფლიდან მეორემდე მხედრებს უხდებოდათ უგზო-უკვლო ადგილებში ჭენება, ზოგჯერ მდინარეში გაცურვა, ღობეებზე გადახტომა. გუნდის წევრები ცდილობდნენ მოწინააღმდეგე გუნდისათვის ბურთის წართმევას. გამარჯვებულად ითვლებოდა ის გუნდი, რომელიც მოწინააღმდეგის კარში (მაყაში) ჩააგდებდა ბურთს და ცხენით გაირბენდა მაყაში.

თამაშის წესი: ცხენოსანთა ორი გუნდი ექვს-ექვსი მხედრის (ხან მეტიც) შემადგენლობით გამოდიან მოედანზე და ეწყობიან ერთიმეორის გასწვრივ.

ჩვეულებრივი ფეხბურთის სათამაშო ბურთს მსაჯი გადააგდებს შუა მოედანზე. მსაჯის ნიშანზე მოწინააღმდეგე გუნდებიდან გამოდის თითო მხედარი. ისინი ნავარდით გაიქცევიან ბურთისაკენ, ვინც მოასწრებს ცხენდაცხენ ბურთის აღებას, მიაქვს იგი მოწინააღმდეგის კარისაკენ. ბურთის მიწიდან აღებისთანავე ისევ მსაჯის ნიშანზე დანარჩენი ორივე მოწინააღმდეგე მხარის მხედრები ჩაებმებიან თამაშში და ეხმარებიან ბურთის გატანაში თავიანთი გუნდის მონაწილე მხედარს, რომელმაც ბურთი პირველად აილო. ამრიგად, მოწინააღმდეგე მხარეები ცდილობენ, ერთმანეთს წაართვან ბურთი ცხენდაცხენ და გაიტანონ ლელო. საბრძოლო მოედანი აღინიშნება სათანადო შემოხაზვით, მაყებიც დადგმულია ორივე მხარეს.

მიწაზე დავარდნილი ბურთი მხედარმა უნდა აილოს ცხენდაცხენ, აკრძალულია ცხენიდან ჩამოხტომა და ბურთის აღება. მხარეების შეთანხმებით დასაშვებია შეჯიბრების დროს მათრახის ხმარება.

საბრძოლო მოედანი ეწყობა 1500 მეტრი სიგრძით და 1000 მეტრი სიგანით. მხარეების შეთანხმებით მოედნის ფართობი შეიძლება გადიდდეს.

გამარჯვებულად ჩაითვლება გუნდი, რომელიც მეტ ბურთს გაიტანს ლელოში.



## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** ოფიციალური შეჯიბრება ძალოსნობაში საქართველოში ჩატარდა 1926 წელს. ეს იყო თბილისის ჩემპიონატი, საქართველოს პირველი ჩემპიონატი კი მხოლოდ მომდევნო წელს გაიმართა.

**პირველმა** დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ჩვენი ქვეყნის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთაგან ოლიმპიურ თამაშებში (1996, ატლანტა) იასპარეზა **ეკა აბრამიამ** (25-ე ადგილი).

**პირველად** რაგბიში ეროვნული ნაკრები ჩამოყალიბდა 1989 წელს ვეტერანი მორაგბის **დავით კილასონიას** თაოსნობით.

## იყო ასეთი შემთხვევა

# ბანკეტი და... ბანკეტი

***ბანკეტი (ინგლ. ბანკეტ; ფრანგ. Banquette - მიწაყრილი). დაბრკოლება საცხენოსნო სპორტში - მიწაყრილი (ენციკლოპედიიდან).***

საქართველოს სპორტკომიტეტში თავის დროზე სახელმწიფო მწვრთნელებად წოდებული დარგის სპეციალისტები კურირებდნენ სპორტის ცალკეულ სახეობებს. საქართველოს პირველი თანამედროვე ხუთჭიდელი **რევაზ მანჯავიძე** სპორტის ამ სახეობას და ცხენოსნობას განაგებდა. ყოველი შეჯიბრების წინ დგებოდა ხარჯთაღრიცხვა და დამტკიცებამდე ხელმძღვანელებთან ერთად იხილავდნენ.

ახლოვდებოდა ცხენოსნობაში საქართველოს ჩემპიონატი დაბრკოლებათა გადალახვაში. რევაზ მანჯავიძემ ხარჯთაღრიცხვაში, როგორც წესი, ხტომებისთვის დაბრკოლებათა დამზადებაც შეიტანა. ერთ-ერთ დაბრკოლებას ჰქვია „ბანკეტი“. როცა ბანკეტის გასწვრივ ხარჯებში 65 მანეთი ამოიკითხეს, გაოცდა ხელმძღვანელი: რას ამბობთ, რომელი რესტორანი მოგიწყობთ, ბანკეტს 65 მანეთადო...

დამსწრეებმა ფარულად ჩაიქირქილეს...

## თარიღი 3–9 მარტი

**03. 1982 წ.** თბილისის „დინამომ“ თასების თასზე მეოთხედფინალის პირველ მატჩში 1:0 მოუგო ვარშავაში ადგილობრივ „ლეგიას“.

**04. 2000 წ.** ესტონეთში ევროპის ჩემპიონატზე **ნინო სალუქვაძემ** 10 მ. პისტოლეტით სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**05. 1938 წ.** დაიბადა **ბორის ნიკიტინი** — ცურვა. გარდაიცვალა 1984 წელს.

**08. 1941 წ.** დაიბადა **გურამ პეტრიაშვილი** — ფეხბურთი.

**09. 1987 წ.** ლანჩხუთში გაიხსნა ახალი სტადიონი და გაიმართა პირველი მატჩი სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

**09. 1927 წ.** დაიბადა **მირიან ცალქალამანიძე** — თავისუფალი ჭიდაობა. გარდაიცვალა 2000 წელს.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1. რომელ წელს დაწესდა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატებში პირველ სამ ადგილზე გასული გუნდებისთვის ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები?**

ა — 1936 წელს
ბ — 1947 წელს
გ — 1954 წელს

**2. ქართველებიდან ვინ გაიტანა ყველაზე მეტი გოლი (26) სსრ კავშირის 1938 წლის ჩემპიონატში?**

ა — შოთა შავგულიძემ
ბ — ავთანდილ ღოღობერიძემ
გ — ბორის პაიჭაძემ

**3. ვინ არის ის ერთადერთი ფალავანი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი სამჯერ გახდა სხვადასხვა წონით (82, 90, 100) კატეგორიაში?**

ა — ანზორ კიკნაძე
ბ — ლევან თედიაშვილი
გ — დავით გობეჯიშვილი

**4. რომელი წლიდანაა მოსკოვის „სპარტაკში“ ჯანო ანანიძე?**

ა — 2007 წლიდან
ბ — 2008 წლიდან
გ — 2009 წლიდან

**5. რა ერქვა საქართველოში ყინულის ჰოკეიში მოზარდთა პირველ გუნდს?**

ა — „ბაკურიანი“
ბ — „ყვანჭი“
გ — „პირველი მერცხალი“

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ

## წერილი რედაქციას

# 10 ათასი უბილეთო...

60 წელიწადია, ფეხბურთს ვგულშემატკივრობ. ბევრი მატჩი მინახავს საქართველოს თუ ყოფილი სსრ კავშირის სხვა ქალაქებში. არ მახსენდება, ყველაზე უინტერესო თამაშზეც კი სტადიონი ნახევრად მაინც არ შევსებულიყო მაყურებლით. თბილისში ხომ ასეთი რამ თითქმის არ ხდებოდა. ერთხელ, ლეგენდარულმა **ბორის პაიჭაძემ** თქვა, „როგორც უნდა გაამკაცრო შესვლა „დინამოს“ სტადიონზე, ათი ათასი კაცი მაინც შევა უბილეთოდ“.

დღეს კი... 10 ათასი მაყურებელი რომ მოვიდეს სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის მატჩზე, ისტორიულ მოვლენად ჩაითვლება.

**დემურ ტორაძე**
ხონი

## სპორტსმენები საკუთარ თავზე...



„მიუხედავად იმისა, რომ კილაძე საოცარი მსროლელი გახლდათ, ტექნიკური და არასპორტული შენიშვნებით მოპოვებული საჯარიმოების სროლას მწვრთნელები მაინც მე მავალებდნენ. მაშინ, სავალდებული არ იყო არასპორტული ჯარიმა დაზარალებულს შეესრულებინა. მეც ნერვებს კარგად ვთოკავდი და არ ყოფილა შემთხვევა ასეთი ჯარიმა ამეცილებინოს. ალბათ იმიტომაც, რომ ბურთს თან მივყვებოდი, ნაგებას ძალიან განვიცდიდი“.

**გურამ მინაშვილი**

## ვინ რა თქვა

30 წლის წინათ, 1981 წლის იანვარში, „ლელოს“ კორესპონდენტს დიდმა **ეროსი მანჯგალაძემ** უთხრა: „ჰარმონიული განვითარება! კარგად ჩავუფიქრდეთ ამ სიტყვების არსს! როგორც ბალზაკი ამბობს, თანამედროვე რელიგიას თქვენ, ჟურნალისტები ჰქმნით. ჰოდა, ეს რელიგია პირდაპირ უნდა მოითხოვდეს: „იყავ ტანმრთელი, ჯანმრთელი, ივარჯიშე და კიდევ ივარჯიშე“...

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ვაჟი მოჭადრაკე, საქართველოს 2009 წლის ჩემპიონი; 4. ჭადრაკში ელვისებური თამაში; 8. ევერესტზე ასული პირველი ქართველი .... გიუტაშვილი; 9. სპორტის სახეობა; 12. ვეტერანი კალათბურთელის, გურამ აბაშიძის მეტსახელი; 13. ქართველი სპრინტერი ქალი; 14. ფირნიში, ანუ...; 15. ცნობილი ვეტერანი მძლეოსანი ... დიაჩკოვი; 16. ძიუდოისტი ... ქავთარაძე; 17. ქართველი ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი და კომენტატორი; 22. ფეხბურთში: ნახევარმცველი; 23. საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ყოფილი ამერიკელი მოთამაშე; 24. თბილისის „ამერის“ ყოფილი ფეხბურთელი; 26. საფეხბურთო სტადიონი ამიერკავკასიაში, რომლის გახსნაზე თბილისის „დინამო“ მასპინძლებს მოუგო; 27. ბოლნისის "სიონის" ნახევარმცველი.

**შვეულად:** 1. საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მაგიდის ჩოგბურთელი; 2. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟერად მინისტრის მოადგილე; 3. გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი, ამჟერად მწვრთნელი; 5. მყვინთავის ფარფლი; 6. თბილისის "დინამოს" ყოფილი მცველი ცხინვალიდან; 7. მახაჩყალის "ანჟის" ყოფილი თავდამსხმელი; 10. ვეტერანი ჩეხი ჩოგბურთელი მამაკაცი; 11. სუმოისტ ლევან ცაგურიას მეტსახელი; 16. ფრანგი სპორტული მოღვაწე, პირველი სტუდენტური თამაშების ჩატარების ინიციატორი; 18. სპორტული ნაწარმის ფირმა; 19. სინქრონული ცურვის ერთ-ერთი ფიგურა; 20. 1988 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი; 21. ვეტერანი თბილისელი მოფარიკავე იური ...; 25. სპორტული ნაგებობა სპორტის ერთ ან რამდენიმე სახეობაში სავარჯიშოდ.

## ფოტომატიანე



ქუთაისის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი 1943-47 წლებში

**გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით**

ინტერვიუ ვიქტორ კოლელიშვილთან

# გაგვიმართლა, კლერმონში რომ მოვხვდით

## დრო გვიჩვენებს, განვითარების რამდენად სწორი გეზი გვაქვს აღებული

სარაგბო კლუბ „ლელოს" აღზრდილი ვიქტორ კოლელიშვილი ქართული რაგბის ერთ-ერთი ყველაზე იმედის მომცემი მორაგბეა. „ვიტო" ახლახან საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „კლერმონის" სათადარიგოთა ანუ ესპუართა გუნდში ჩაირიცხა და რამდენიმე მატჩში თამაშიც მოასწრო. პერსპექტიულმა მესამეხაზელმა საქართველოს თითქმის ყველა ასაკობრივ ნაკრებში ითამაშა, 2009 წელს კი საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს. გასულ უქმეებზე მან ლისაბონში, პორტუგალიის ნაკრების დამარცხებაშიც შეიტანა წვლილი. თუმცა „ვიტოსთან" საუბარი მისი საკლუბო კარიერით დავიწყეთ.

- საფრანგეთში, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, სინჯებზე ჩავედი. ტესტები ჩავაბარე, რამდენიმე საკონტროლო მატჩში ვითამაშე. პირობებზე შევთანხმდით და ხელშეკრულებაც გავაფორმეთ. სამწუხარო ისაა, რომ საფრანგეთში, წესით სექტემბერში უნდა გადავბარგებულიყავი, მაგრამ სავიზო პრობლემები წარმოიქმნა და „კლერმონის" ესპუართა გუნდს მხოლოდ დეკემბერში შევუერთდი.

**- გუნდის, პირობების და ზოგადად გარემოს გამოცვლა რთული პროცესია. რამდენად იოლად გაიარე ადაპტაცია, როგორ შეეწყვე ახალ გუნდს?**

- თავიდან ცოტა გამიჭირდა, რთული იყო შეგუება. თან ძნელია, უცბად რომ მოსცილდები შენიანებს. ყველა ძალიან მენატრებოდა, ფსიქოლოგიურად ვერ განვეწყვე. ახლა ყველაფერი დალაგდა. თან ქართველი მარტო არ ვარ, ჩემთან ერთად ესპუართა გუნდში შუამარბი **გიორგი ჯიმშელაძე** და პირველხაზელი **გიორგი ჯაშიტაშვილი** თამაშობენ.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, „კლერმონის" ესპუართა გუნდში რამდენიმე მატჩში ითამაშე. გუნდი კი საფრანგეთის ჩემპიონატში ლიდერია...**

- დიახ, რამდენიმე შეხვედრაში თამაშიც მოვასწარი და გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს, კოტე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას „ტულონს" ლელოც გავუტანე. „კლერმონი" ტულონელებს კვალში მიჰყვება. ამჟამად მეორე ადგილზე ვართ. ახლა სამკვირიანი შესვენება გვქონდა. გათამაშება ამ უქმეებზე განახლდება და ვნახოთ, რა იქნება.

**- ძირითადი გუნდიდან თუ ესწრებიან თქვენს თამაშებს, გაკვირდებიან?**

- ძირითადი გუნდის მწვრთნელები ყველა თამაშს ესწრებიან და ყველას აკვირდებიან. ბოლო სამი კვირის განმავლობაში მე და ჯაშიტაშვილი ძირითად გუნდთან ერთად გვავარჯიშეს. ჯიმშელაძეს ნეკნი ჰქონდა გატეხილი, თუმცა უკვე ჯანმრთელადაა და ვარჯიშობს.

**- საფრანგეთის ჩემპიონის, „კლერმონის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ზირაქაშვილია. მასთან თუ გაქვთ ხშირი კონტაქტი?**

- როგორ არა. ერთად ვვარჯიშობთ. „ზირაქა" აქ რომ არის, ჩვენთვის დიდი სტიმულია. ის ყოველთვის გვეხმარება, გვიხსნის, გვასწავლის ამა თუ იმ სიტუაციაში როგორ მოვიქცეთ. მას კლუბში დიდი ავტორიტეტი აქვს და ეს ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა.

**- იმედია, მომავალ სეზონში უკვე ძირითად გუნდში გიხილავთ...**

- ეგ ძნელი სათქმელია. წესით, ესპუარებში თამაში ასაკით მომავალ სეზონშიც მიწევს, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, ძირითად გუნდში მოვხვდე.

**- ქართველების გარდა გუნდში კიდევ ბევრი უცხოელია?**

- არა, ჩვენ გარდა გუნდში კიდევ ორი ფიჯელი და ერთი ესპანელია, ისინი უკანა ხაზის მოთამაშეები არიან.

**- ცხადია, იმისთვის, რომ ოსტატობა დახვეწო კლუბში ყველა პირობაა შექმნილი...**

- რა თქმა უნდა, საფრანგეთში საუკეთესო სკოლა „კლერმონს" და „ტულუზს" აქვთ. ჩვენ ძალიან გაგვიმართლა, აქ რომ მოვხვდით. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს უნიკალური შანსი გამოვიყენოთ, ცოდნა გავიღრმაოთ. რაც ყველაზე მთავარია, აქ დიდი ყურადღება ეთმობა სპორტული რეჟიმის დაცვას. ყველა დონეზე უმაღლესი რანგის პროფესიონალები მუშაობენ და როგორ გამოიჩენ თავს, მხოლოდ შენზეა დამოკიდებული.

**- როგორც ვხვდები, თავისუფალი დრო ცოტა გაქვთ, მაგრამ როცა მოიცლით, რას აკეთებთ, რით ერთობით?**

- ძირითადად თანაგუნდელებთან ვიკრიბებით. მერე ერთად ქალაქშიც გავდივართ ხოლმე, ცოტა რომ განვიტვირთოთ, სხვა რამეზეც რომ ვიფიქროთ. ისე კი, თავისუფალი დრო აქ დიდი ფუფუნებაა.

**- კარგ თამაშთან ერთად იმითაც გამოირჩეოდი, რომ საკმაოდ ექსტრავაგანტური, ეფექტური ვარცხნილობა გქონდა. თავი რატომ გადაიპარსე?**

- აქ ასეთი ტრადიციაა. როცა პირველ მატჩში თამაშობ ანუ დებიუტანტი ხარ, უცნაურ ვარცხნილობას გიკეთებენ. ეს იმისთვის, რომ მოედანზე გასული სხვებისგან განსხვავდებოდე და მაყურებელი მიხვდეს, რომ ახალი ხარ, ანუ ამის მერე მაგათიანი ხდები, ერთგვარი ნათლობის რიტუალია. ჰოდა, ადგნენ და თმა ნახევრად გადამპარსეს, ნახევარი დამიტოვეს. მერე სულ ასე ხომ არ ვივლიდი, ავდექი და სულ გადავიპარსე.

**- მოდით, ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. რა მოხდა პორტუგალიაში?**

- არ ვიცი, ალბათ გუნდმა თამაშის აწყობა ვერ მოახერხა. თანაც მსაჯიც მაინცდამაინც არ გვწყალობდა. სხვა მხრივ, ვფიქრობ, მწვრთნელებს სწორი გზით მიჰყავთ ნაკრები. ერთა თასის გათამაშებაში პირველ ადგილზე ვართ. გუნდის თამაშის სტილი და ხარისხიც საგრძნობლად შეიცვალა. ყველაფერი ეტაპობრივად, ნელ-ნელა ვითარდება და საბოლოოდ, მაინც დრო გვიჩვენებს, განვითარების რამდენად სწორი გეზი გვაქვს აღებული.



ბურთით ვიქტორ კოლელიშვილი

საქართველოს თასი

# წილი ნაყარია

საქართველოში საშინაო სარაგბო სეზონი მარტის ბოლოს შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატის პირველი ეტაპით დაიწყება. 2 აპრილს კი საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება. რადგან წლეულს საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს თასზე ასპარეზობს და კალენდარი საკმაოდ გადატვირთულია, საქართველოს თასის გათამაშებაში მხოლოდ უმაღლესი ლიგის გუნდები იასპარეზებენ. რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტში ჩატარებულმა წილისყრამ გუნდები ასე დააწყვილა:

ლელო-არმაზი, აია-ხარები, ყოჩები-აკადემია, ლოკომოტივი-თსუ-ლომები

ზე რაგბი



დენი სიპრიანი

# სიპრიანი თავისას არ იშლის

ინგლისის ნაკრების ყოფილი მგეზავი **დენი სიპრიანი** თავისას არ იშლის. ზე რაგბის გათამაშების პირველ ტურში, სიპრიანის გუნდმა „მელბურნ რებლზმა" შინ სიდნეის „ვორათაზთან" მშრალი ანგარიშით წააგო - 0:43. დენიმ კაეშნის მოკვლა ნაცადი ხერხით, არყის სმით გადაწყვიტა და მელბურნის ერთ-ერთ ღამის კლუბში გვიანობამდე სვამდა. არყით გალეშილი სიპრიანი, ცხადია, ყურადღების ცენტრში მოექცა და კლუბის ხელმძღვანელთა რეაქციამაც არ დააყოვნა.

დენი სიპრიანის ჯარიმა დააკისრეს. მას ერთ მატჩზე განსაზღვრულ ანაზღაურებას არ გადაუხდიან. ეს გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელებმა, მწვრთნელებთან და მოთამაშეთა საბჭოსთან ერთად მიიღეს.

*„ჩვენ ყველანი განბილებულნი ვართ. მარცხმა ყველა გაგვანაწყენა, მაგრამ მსგავსი საქციელი არავის ჩაუდენია. მოთამაშეთა წარმომადგენლები გაგებით მოეკიდნენ ამ საკითხს და კლუბის ინტერესები დაიცვეს. ცხადია, ინციდენტის გამეორების შემთხვევაში სიპრიანის უფრო მძიმე სასჯელი ემუქრება.*

*ჩვენ დენის პირად ცხოვრებაში არ ვერევით. მას შეუძლია თავისი შეხედულებებისამებრ იცხოვროს. მაგრამ ის, ისევე როგორც გუნდის ყველა მორაგბე, ზრდასრული ადამიანია და თუ შესაფერისად არ მოიქცევა, სანქცია არ დააყოვნებს"* - თქვა „მელბურნ რებლზის" მთავარმა მწვრთნელმა **როდ მაკქუინმა.**

სიპრიანისთვის სასჯელს ხელი არ შეუშლია მომდევნო, მეორე ტურის მატჩში შესანიშნავად ეთამაშა. მან ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა და შედეგად, მელბურნელებმა ისტორიაში პირველი გამარჯვება მოიპოვეს.

*„ბოდიში მოვიხადე ჩემი საქციელის გამო. ძალიან ვწუხვარ და პირობას ვდებ, რომ მომავალში არაფერს ჩავიდენ ისეთს, რაც „მელბურნ რებლზის" სახელს შეურაცხყოფს"* - თქვა დენი სიპრიანიმ.

# ოთხი მელბურნელი და სამი სიდნეელი

ზე რაგბის გათამაშების მეორე ტურში ისტორიული შედეგი დაფიქსირდა. ახალმა გუნდმა „მელბურნ რაბლზმა" ისტორიაში პირველი გამარჯვება მიითვალა. მელბურნელებმა უმძიმეს ბრძოლაში, მინიმალური სხვაობით დაამარცხეს ბრისბენის „ბრამბიზი" - 25:24. ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ ტურის სიმბოლურ ნაკრებში ოთხი მელბურნელი მოხვდა. ამათგან ერთ-ერთი კი მატჩის გმირი **დენი სიპრიანი** გახლავთ.

წლეულს შესანიშნავად ასპარეზობს კიდევ ერთი ავსტრალიური კლუბი, სიდნეის „ვორათაზი", რომელმაც ორი მატჩიდან ორივე დამაჯერებლად მოიგო. ლოგიკურია, რომ ამ კვირაში, საუკეთესოთა შორის სამი სიდნეელი მოხვდა.

სიმბოლური ნაკრები: **15. ქართლი ბეილი (ვორათაზი), 14. ოდოვა ნდუნგანე (ნატალ შარქსი), 13. რობ ჰორნი ,12. ჯულიან ჰაქსლი (ორივე-მელბურნ რებლზი), 11. დრიუ მიტჩელი (ვორათაზი), 10. დენი სიპრიანი (მელბურნ რებლზი), 9. კარლ მაკლოიდი (ნატალ შარქსი).**

**1. ჯეიმზ მაკინტოში (ჰაილენდერზი), 2. ტატაფუ პოლოტანაუ (ვორათაზი), 3. გრეგ სომერვილი (მელბურნ რებლზი), 4. მარკ ჩისლომი (ბრამბიზი), 5. ვიქტორ მეტფილდი (ბლუ ბულზი), 6. ადამ თომსონი (ჰაილენდერზი), 7. ჯოშ სტრაუსი (ლაიონზი), 8. ეშლი ჯონსონი (ჩიტაზი).**

ექვსი ერი

# ლივერმონი არაფერს ცვლის

საფრანგეთის ნაკრები ექვსი ერის გათამაშების მორიგ, მეოთხე ტურში სტუმრად ითამაშებს იტალიის ეროვნულ გუნდთან. მესამე ტურში „თვიქენემზე" ინგლისის ნაკრებთან წაგების მიუხედავად „ლე ბლეს" თავკაცმა **მარკ ლივერმონმა** შემადგენლობაში არაფერი შეცვალა. საეჭვო იყო მხოლოდ მგეზავის, **ფრანსუა ტრინ-დუკისა** და გარემარბ **მაქსიმ მედარის** თამაში. ორივეს მიკროტრავმები აწუხებს, თუმცა ლივერმონმა ისინი შემადგენლობაში მაინც შეიყვანა.

ფრანგთა გუნდში ისევ ითამაშებს წარმოშობით ქართველი ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი.**

**საფრანგეთის ნაკრები**

შერკინება: **ნიკოლა მასი, ტომა დომინგო, ლუკ დუკალკონი, სილვენ მარკონე, ვილიამ სერვა, გიომ ჟირადო, ლიონელ ნალე, ჟულიენ პიერი, ჟერომ ტიონი, ტიერი დუსოტუარი, ჟულიენ ბონერი, იმანოლ არინორდოკი, სებასტიან შაბალი.**

უკანა ხაზი: **მორგან პარა, დიმიტრი იაშვილი, ფრანსუა ტრინ-დუკ, იანიკ ჟოზიონი, ორელიან რუჟერი, ვინსენ კლერი, იოან უგე, მაქსიმ მედარი, დამიან ტრაი, კლემან პუატრენო.**

მსოფლიო თასი

# ახალზელანდიელები გემებს ეძებენ

ახალი ზელანდიის ქალაქ ქრაისთჩერჩში გამანადგურებელმა მიწისძვრამ ამ ქალაქის ინფრასტრუქტურა საგრძნობლად დააზიანა. იმდენად, რომ ჩატარდება თუ არა სექტემბერ-ოქტომბერში მსოფლიო თასის გათამაშების შეხვედრები, ჯერაც საეჭვოა.

ახალზელანდიელები ირწმუნებიან, რომ იმ დროისთვის ინფრასტრუქტურის აღდგენას მოასწრებენ. თუ არა და, არსებობს ალტერნატივა:

*„ჩვენ მოვიფიქრეთ, რომ შეგვიძლია საკრუიზო გემები გამოვიყენოთ. ეს სავსებით შესაძლებელია. ამ გემებს ძალიან ბევრი ტურისტის, რაგბის ქომაგის მიღება შეუძლია. ისინი სასტუმროს მაგივრობას გასწევენ და კომფორტიც გარანტირებული იქნება. შესაძლოა, ეს სიამოვნება ოდნავ ძვირი დაჯდეს, მაგრამ ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ მსოფლიო თასის მატჩები ქრაისთჩერჩში ჩატარდეს"* - თქვა ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა **ჯონ ქეიმ**.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი


მაიკ ბიბი

# დერონის შემდეგ სუპერმენი

## ბიბი თითქმის მაიამიშია

„ნიუ ჯერსი ნეტსის" ხელმძღვანელობა **დერონ უილიამსის** ტრანსფერით არ კმაყოფილდება და მომავლისთვის ახალი გუნდის მშენებლობაზე ზრუნვას აგრძელებს. უილიამსმა კლუბის მფლობელ **მიხაილ პროხოროვთან** და გენერალურ მენეჯერ **ბილი კინგთან** ერთად განიხილა შემადგენლობის გაძლიერების ვარიანტები. როგორც ირკვევა, მთავარი პრიორიტეტი 2012 წელს „ორლანდოდან" სუპერცენტრის **დუაიტ ჰოვარდის** გადაბირება იქნება.

*„პროხოროვმა ამ თემაზე ბევრი ილაპარაკა და აღფრთოვანებული დავრჩი. როცა კლუბის მფლობელი ამბობს, რომ მზად არის ფული დახარჯოს და ჩემ გარშემო აპირებს ახალი გუნდის მშენებლობას, ეს მხოლოდ აღფრთოვანებას იწვევს"*, - განაცხადა უილიამსმა ერთ-ერთ გაზეთთან კომენტარისას.

■ ■ ■

თავისუფალი აგენტი **ტროი მერფი** „ბოსტონ სელტიქსში" გააგრძელებს კარიერას. ფორვარდი „გოლდენ სტეიტს" კონტრაქტის გამოსყიდვაზე მოელაპარაკა და ახლა საჩემპიონო ამბიციების გუნდში ჩაირიცხა. „ბოსტონის" გარდა მერფი „პორტლენდის", „ნიუ იორკისა" და „ორლანდოს" წინადადებებს განიხილავდა.

ტროი „უორიორზში" „ნეტსიდან" გადავიდა და იშვიათად ჰქონდა თავის გამოჩენის საშუალება. მერფის ლიგაში 639 მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ პლეი ოფში არასოდეს უთამაშია - ლიგის არც ერთ სხვა მოთამაშეს არ აქვს ასეთი უიღბლო სერია.

■ ■ ■

„მაიამი ჰიტმა" გაწყვიტა კონტრაქტი გამთამაშებელ **კარლოს აროიოსთან** - წერს სააგენტო AP. ამ ნაბიჯით ფლორიდული კლუბი ადგილს ათავისუფლებს მცველ **მაიკ ბიბისთვის**, რომელმაც ამ დღეებში კონტრაქტი გამოისყიდა „ვაშინგტონისგან".

ბიბი ცოტა ხნის წინ ტრეიდის მეშვეობით აღმოჩნდა დედაქალაქურ კლუბში - „ატლანტამ" ის **კირკ ჰაინრიხში** გაცვალა. მაიკმა უარი თქვა 6-მილიონიან კონტრაქტზე „მაიამიში" თამაშის გამო.

„ჰიტის" ლიდერის **ლებრონ ჯეიმსის** თქმით, ბიბის მის გუნდში მოუთმენლად ელიან.

■ ■ ■

„ოკლაჰომა-სიტიმ" კონტრაქტი გაახანგრძლივა ცენტრ **კენდრიკ პერკინსთან**, რომელიც „თანდერმა" „ბოსტონთან" განხორციელებული ტრეიდის მეშვეობით გადაიბირა. ამ კალათბურთელის სანაცვლოდ „ოკლაჰომას" ხელმძღვანელობამ ფორვარდი **ჯეფ გრინი** და ცენტრი **ნენად კრსტიჩი** დათმო.

გარიგების დეტალები არ ხმაურდება. ცნობილია, რომ „სელტიქსი" პერკინსს 4-წლიან და 22-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობდა, კალათბურთელი კი 30 მილიონს ითხოვდა.

*„კენდრიკ პერკინსთან თანამშრომლობის გახანგრძლივების უნიკალური შესაძლებლობა გვქონდა და მოხარულები ვართ, რომ შევძელით მისი გაფორმება. კენდრიკი ნამდვილი მებრძოლია, მისი დამოკიდებულება კლუბისადმი მთლიანად შეესაბამება ჩვენს მოთხოვნებს"*, - ამბობს „თანდერის" გენერალური მენეჯერი **სემ პრესტი**.

ამ სეზონში პერკინსმა მხოლოდ 12 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 7.3 ქულა და 8.1 მოხსნა დააგროვა.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-მონრეალი 1:3**

0:1, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 პასიორეტი-12, 0:2 ვიშნიევსკი-7 (ა. კოსტიცინი-19, დეშარნე-8), 1:2 ანტროპოვი-11 (ე. სტიუარტი-20), 1:3 ჯონტა-23 (გომესი-24, პასიორეტი-10).

**კაროლინა-ფლორიდა 2:1**

2:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 სტილმანი-9 (კოული-22, პიტკანენი-26), 2:0 ე. სტაალი-28 (სტილმანი-17, კორვო-23), 2:1 უეისი-17 (ბუტი-15, გარისონი-9).

**რეინჯერსი-ბაფალო 2:3**

0:1, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 მიერსი-10 (სტეფორდი-14, ტიმ კონოლი-19), 0:2 ბოიესი-13 (გოსტადი-12, სეკერა-13), 1:2 კრისტენსენი-9 (მაკეიბი-18, პროსპალი-4), 1:3 ჰეხტი-11 (სეკერა-14, მონტადორი-14), 2:3 ანისიმოვი-14 (კელეჰანი-17, ვოლსკი-18).

**ვაშინგტონი-აილენდერსი 2:1 (ო)**

0:0, 0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 მოულსონი-28 (პარენტო-25, ტავარესი-30), 1:1 ლეიჩი-14 (არნოტი-12, ოვეჩკინი-40), 2:1 ოვეჩკინი-25.

**სტ. ლუისი-კალგარი 0:6**

0:1, 0:0, 0:5

**გოლები:** 0:1 ტანგეი-17 (იგინლა-34), 0:2 იგინლა-26 (ბ. მორისონი-32, ტანგეი-33), 0:3 მოსი-16 (ჯორდანო-24), 0:4 იგინლა-27 (ბ. მორისონი-33, ტანგეი-34), 0:5 რეგერი-2 (ბ. მორისონი-34, ბურკი-18), 0:6 ჰაგმანი-11 (ბეკლუნდი-9).

**ედმონტონი-ნეშვილი 2:1 (ბ)**

1:1, 0:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ჯოფრიონი-1 (რ. სატერი-27, ჰალიშჩუკი-3), 1:1 ვანდერმეერი-2 (სემ განიე-25).

**ბულიტები გაიტანეს:** ებერლე (ედმონტონი), უმარკი (ედმონტონი).

**ფინიქსი-დალასი 2:3**

0:1, 0:0, 2:2

**გოლები:** 0:1 უენდელი-5 (პეტერსენი-3), 0:2 ლაგნებრუნერი-8 (ოტი-14, ბარიში-5), 1:2 კლესლა-4 (ტარისი-10, დოუნი-30), 2:2 რეი უიტნი-12 (დოუნი-31), 2:3 ბენი-14 (ლ. ერიქსონი-38, რიბეირო-40).

**ვანკუვერი-კოლამბუსი 2:1 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 რეიმონდი-11 (კესლერი-25, სალო-3), 1:1 აშოლი-17 (პალსონი-9, დორსეტი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** ნეში (კოლამბუსი), რეიმონდი (ვანკუვერი), ვერმეტი (კოლამბუსი), ბაროუზი (ვანკუვერი), ტორესი (ვანკუვერი).

**სან ხოსე-კოლორადო 2:1 (ბ)**

0:0, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ე. ჯონსონი-7, 1:1 ჯ. ტორნტონი-16 (დემერსი-18, სეტოგუჩი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** ქლოუ (სან ხოსე).

**ოტავა-ბოსტონი 0:1**

0:0, 0:0, 0:1

**გოლი:** 0:1 ჰორტონი-18 (მარჩანდი-16, მაკუეიდი-11).

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# პარკერის გარეშე არ გამოდის

გუშინდელი დღის ცენტრალური მატჩი იყო აღმოსავლეთის მეოთხე და მეექვსე გუნდების - „ორლანდოსა" და „ნიუ იორკის" დაპირისპირება. ამ შეხვედრას ინტრიგა მატჩის წინ გავრცელებულმა ჭორებმაც დაუმატა - თითქოს 2012 წელს **დუაიტ ჰოვარდი** „ნიქსში" გააგრძელებს კარიერას.

„ნიუ იორკის" სამწვრთნელო შტაბმა ჯერ ვერ დაალაგა შემადგენლობა. გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **დონი უოლშმა** ტრეიდების შემდეგაც ვერ მოისვენა და შემადგენლობიდან დაითხოვა **კელენა აზუბუიკე** და **კორი ბრიუერი**, შემდეგ თავისუფალი აგენტების ბაზრიდან აიყვანა „შარლოტიდან" გაშვებული **დერიკ ბრაუნი** და **ჯარედ ჯეფრიზი**, რომელმაც „ჰიუსტონში" თავისი კონტრაქტი გამოისყიდა.

დუაიტ ჰოვარდმა თავიდანვე დაანახვა მეტოქეს, რომ ის და მისი გუნდი სერიოზულად იყვნენ განწყობილნი - „სუპერმენმა" პირველ მეოთხედში 17 ქულა მიითვალა, აქედან 10 ქულა 14:0 გაქცევას მოხმარდა. სასტარტო 12 წუთის შემდეგ „ორლანდო" 32:12-ს იგებდა, მაგრამ მეორე მეოთხედი მთლიანად ჩააგდო. „ნიქსი" აგრესიულად ათამაშდა და პირველ როლებზე გამოვიდნენ **ბილაპსი** და **სტაუდმაიერი**. სწორედ ამ დუეტის წყალობით სტუმრებმა მეორე მეოთხედი 37:15 მოიგეს. თანაც მასპინძლებმა ერთი კალათბურთელი დაკარგეს. **ჰედო თურქოგლუმ** სათადარიგოთა სკამიდან რაღაც დაუყვირა მსაჯს და მეორე ტექნიკური პერსონალური მიიღო, რის გამოც გასახდელში მოუწია გამგზავრებამ.

„ორლანდო" გონს მხოლოდ მესამე მეოთხედის ბოლოსკენ მოვიდა. მიზანი გაასწორა **რაიან ანდერსონმა**, ხოლო **ჯამირ ნელსონმა** მეორე ტაიმში 23 ქულის დაგროვება მოასწრო. „ორლანდო" ისევ გაიქცა - 19:4 და ცხრა წუთით ადრე კვლავ წინ გავიდა. იმავე ბილაასისა და **ენტონის** მონდომებით „ნიქსმა" დროებით დაიბრუნა ლიდერობა, მაგრამ ბოლოს ვერაფერი მოუხერხა ჰოვარდისა და ნელსონის შეწყობილ თამაშს. „ნიქსს" ვერ უშველა ბილაპსის კარგმა თამაშმა, რომელმაც კარიერაში ყველაზე მეტი - 20 საჯარიმო შეასრულა და აქედან 18 გამოიყენა.

■ ■ ■

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ „სან ანტონიო სპურსმა" ორი-ოთხი კვირით დაკარგა ძირითადი გამთამაშებელი **ტონი პარკერი**. ფრანგი მცველის გარეშე რეგულარული ჩემპიონატის ლიდერს პირველივე მატჩში გაუჭირდა და გუნდის მწვრთნელებს მოუწევთ იმაზე ფიქრი, როგორ გამოვიდნენ ამ რთული სიტუაციიდან.

„სან ანტონიომ" „მემფისთან" მატჩში 22 შეცდომა დაუშვა და მასპინძლებმა ეს კარგად გამოიყენეს. საერთოდაც, „გრიზლისმა" ბოლო პერიოდში ძალიან კარგად დაიწყო დაცვაში თამაში და **რუდი გეის** უთამაშებლობის მიუხედავად, პრობლემები მოაგვარა. „მემფისს" საკმარისად ჰყავს ისეთი მოთამაშეები, რომლებმაც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაისროლონ. „სან ანტონიოსთან" შეხვედრაში ბრწყინვალედ მოქმედებდა **ტონი ალენი**, რომელმაც ცხრიდან რვა ტყორცნა გამოიყენა, **ზაკ რენდოლფმა** ორმაგი დუბლი შეასრულა და ოთხი ჩაჭრა მიითვალა, მხოლოდ რეზერვისტმა **დარელ არტურმა** 31 წუთში 21 ქულის მოპოვება შეძლო.

რაც შეეხება „სან ანტონიოს", ამ გუნდის რიგებში სასტარტო ხუთეულის ვერც ერთმა წევრმა ვერ გადალახა 10-ქულიანი ზღვარი, ხოლო **დანკანი**, **ჯინობილი** და **ბლეირი** მეოთხე მეოთხედში საერთოდ არ გამოჩენილან მოედანზე. მატჩის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე მასპინძლების უპირატესობა 25 ქულა იყო და „მემფისმა" შინ ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას მიაღწია.

■ ■ ■

ოთხმატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა „დალასი" „ფილადელფიას", თუმცა ამ შეხვედრაში ფავორიტად სტუმარი „მავერიქსი" მიიჩნეოდა - ჯერ ერთი იმიტომ, რომ ტეხასელები ფანტასტიკურ ფორმაში შევიდნენ და ბოლო 18 მატჩში 17-ჯერ გაიმარჯვეს, თანაც „ფილადელფიას" შესაშური სტაბილურობით ამარცხებენ. ამ გუნდების ბოლო ექვსი შეხვედრა სწორედ „დალასის" გამარჯვებით დასრულდა.

ამჯერადაც არავის შეუტანია ეჭვი ფავორიტის უპირატესობაში. სტუმრებს არც იმან შეუშალა ხელი, რომ მეორე მეოთხედის სტარტზე ფეხის ტრავმა მიიღო ძირითადმა ცენტრმა **ტაისონ ჩენდლერმა** (დაზიანების ხარისხი და აღდგენის ვადები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა თავად კალათბურთელმა თავის „ტვიტერზე" დაწერა, რომ სერიოზული არაფერია). **დირკ ნოვიცკიმ** თამაშიდან 15-ჯერ ისროლა და ცხრაჯერ ჩააგდო, **ჯეისონ ტერიმ** სეზონში შედეგიანობის პირადი რეკორდი გააუმჯობესა, ხოლო უბერებელმა **ჯეისონ კიდმა** კარიერაში 107-ე სამმაგი დუბლი შეასრულა, თანაც ბოლო ორი მოხსნა უკანასკნელ 25 წამში მოიხვეჭა.

■ ■ ■

მოიგო „სან ანტონიოს" კიდევ ერთმა კონკურენტმა, მოქმედმა ჩემპიონმა „ლეიკერსმა", თუმცა „მინესოტასთან" მატჩი კალიფორნიელებისთვის არც ისე იოლი ყოფილა. „მგლები" დიდ შესვენებამდე ფლობდნენ ინიციატივას. მართალია, ფარქვეშ ბრძოლა პირწმინდად წააგეს, მაგრამ მაინც მოახერხეს გასახდელში ხუთქულიანი უპირატესობით გასვლა - 45:40.

მეორე ტაიმში სტუმრებმა დაცვა გამოასწორეს (24 წუთში მხოლოდ 34 ქულა დააგროვებინეს მეტოქეს) და მიზანიც გაასწორეს. მესამე მეოთხედში **კობი ბრაიანტმა** შვიდიდან ხუთი ბურთი ჩააგდო და 12 წუთში 12 ქულა დააგროვა. მოხსნებზე შესანიშნავი იყო **პაუ გასოლი**, რომელსაც 17 მოხსნა დაუგროვდა, თუმცა თამაშიდან მხოლოდ 3 ბურთი (ათიდან) ჩააგდო. „ლეიკერსი" სწორედ მესამე მეოთხედში გავიდა პირველად წინ და საფინალო სირენამდე აღარ გაუშვია ხელიდან უპირატესობა. ჩემპიონმა მოიგო ტყორცნების რეალიზაციის ძალიან დაბალი პროცენტის მიუხედავად (თამაშიდან 37.5 პროცენტი, სამქულიანები - 33.3 პროცენტი). ცნობისთვის, „მინესოტას" ლიდერმა **კევინ ლავმა** ზედიზედ 47-ე ორმაგი დუბლი შეასრულა.

■ ■ ■

„ჰიუსტონმა" სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს ორი კალათბურთელი გაუშვა, რომლებიც ფანებში პოპულარობით სარგებლობდნენ - **შეინ ბეტიე** და **აარონ ბრუქსი**. გულშემატკივრები გენერალური მენეჯერის **დერილ მორის** კრიტიკისთვის გაემზადნენ, მაგრამ გუნდმა თავისი თამაშით აიცილა თავიდან მრისხანება. „როკეტსმა" სტუმრად მოგებათა სერია 6 (!) მატჩამდე აიყვანა, როცა ჯერ „ნიუ ორლეანი" და გუშინ კი „პორტლენდი" დაამარცხა - გუნდები, რომლებიც ტრადიციულად ძლიერები არიან საკუთარ მოედანზე. „ბლეიზერსის" დამარცხება განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო: სტუმრებმა ოთხივე მეოთხედი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს.

**ინდიანა-გ. სტეიტი 109:100**

29:19, 14:27, 37:25, 29:29

**ი:** გრეინჯერი (27+7 მოხსნა), ჰენსბრო (14+6 მოხსნა), კოლისონი (13), ჰიბერტი (12), ჯორჯი (12), ჯონსი (10).

**გ-ს:** უილიამსი (25), ლი (19+11 მოხსნა), ელისი (13).

**ორლანდო-ნიუ იორკი 116:110**

32:21, 15:37, 32:26, 37:26

**ო:** ჰოვარდი (30+16 მოხსნა+5 დაფარება), ნელსონი (26), ანდერსონი (16+5 მოხსნა), რედიკი (12), რიჩარდსონი (10+5 მოხსნა).

**ნ-ი:** ბილაპსი (30+6 მოხსნა+6 პასი), სტაუდმაიერი (30), ენტონი (25).

**ფილადელფია-დალასი 93:101**

22:23, 22:28, 33:28, 16:22

**ფ:** მიქსი (16), იგუოდალა (15+7 მოხსნა), ჰოლიდეი (14+7 მოხსნა+6 პასი), იანგი (13+7 მოხსნა), ბრენდი (12+6 მოხსნა).

**დ:** ტერი (30), ნოვიცკი (22+6 მოხსნა), კიდი (13+13 პასი+10 მოხსნა), მერიონი (10+10 მოხსნა).

**ტორონტო-ნიუ ორლეანი 96:90**

27:20, 30:22, 15:20, 24:28

**ტ:** კალდერონი (22+16 პასი+7 მოხსნა), დეროზანი (17), ბარნიანი (14), უიმსი (14), დ. ჯონსონი (13+5 მოხსნა), ა. ჯონსონი (8+10 მოხსნა+7 დაფარება).

**ნ-ო:** უესტი (19+10 მოხსნა), ლენდრი (17), ჯეკი (17), ბელინელი (13), არიზა (10).

**მილუოკი-დეტროიტი 92:90**

28:20, 23:28, 21:25, 20:15

**მ:** ჯენინგსი (21+5 მოხსნა), დელფინო (16+10 მოხსნა), სალმონსი (14), დულინგი (12), მაგეტი (11+5 მოხსნა).

**დ:** სტაკი (25+7 მოხსნა+5 პასი), მონრო (13+9 მოხსნა), ვილანუევა (12+9 მოხსნა), გორდონი (10+5 მოხსნა), ჰემილტონი (10).

**მინესოტა-ლეიკერსი 79:90**

21:18, 24:22, 16:25, 18:25

**მ:** ჯონსონი (20+8 მოხსნა), ბიზლი (14), ლავ (13+11 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (24), ბინუმი (14+7 მოხსნა), გასოლი (12+17 მოხსნა), ოდომი (12+11 მოხსნა).

**მემფისი-სან ანტონიო 109:93**

32:30, 29:22, 22:15, 26:26

**მ:** რენდოლფი (21+10 მოხსნა+5 პასი), არტური (21+8 მოხსნა), ალენი (20), კონლი (18+9 პასი).

**ს-ა:** ნილი (14).

**პორტლენდი-ჰიუსტონი 87:103**

26:30, 16:23, 26:30, 19:20

**პ:** ბატუმი (22), უოლასი (14+10 მოხსნა), ოლდრიჯი (14+5 პასი), მილერი (13+6 პასი).

**ჰ:** ლოური (21+11 პასი), სკოლა (21+6 მოხსნა), მარტინი (20), ბადინგერი (14+5 მოხსნა), ლი (10).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


კიდმა სამმაგი დუბლი შეასრულა

● ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# საფინამ ნავსი გატეხა


დინარა საფინა

ამ კვირის ტურნირების მეორე დღის მიმოხილვა ისევ კუალა ლუმპურიდან უნდა დავიწყოთ. წინა დღეს დამარცხებული **ფრანჩესკა სკიავონესგან** განსხვავებით, განთესვის მეორე ნომერმა **მარიონ ბარტოლიმ** წარმატებული სტარტის აღება შეძლო. ფრანგი ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა **მარია-ელენა კამერინის** წინააღმდეგ. ბარტოლიმ იტალიელს 72 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო, გამოიყენა ცხრა ბრეიკ-პოინტიდან შვიდი და მეტოქეზე ზუსტად ორჯერ მეტი გათამაშება მოიგო.

კუალა ლუმპური დატოვა დამსახურებულმა ვეტერანმა **კიმიკო დატემ**, რომელიც ქალთა ტურის მეორე ასაკოვან ჩოგბურთელს **ანა კრემერს** ხვდებოდა. მოთამაშეები ორი საათის განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს და ყველაფერი მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც ლუქსემბურგელი დატეზე ოდნავ იღბლიანი აღმოჩნდა.

ამ მატჩის გადამწყვეტი პარტია ძალიან საინტერესო გამოვიდა. კრემერი 4:1-ს იგებდა, ხოლო 5:4-ზე მატჩბოლის გამოყენება ვერ მოახერხა. შემდეგ დაინიშნა ტაი-ბრეიკი, სადაც კიმიკო დატეს ორი ქულა აკლდა საბოლოო გამარჯვებამდე, მაგრამ 35 წლის კრემერმა ზედიზედ რამდენიმე გათამაშება მოიგო და მეორე წრეში გავიდა.

როგორც იქნა ნავსი გატეხა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **დინარა საფინამ**. რუსმა 2010 წლის სექტემბრის შემდეგ პირველი ოფიციალური შეხვედრა მოიგო. ამ უსიამოვნო სერიის შესაწყვეტად საფინას იოლი მეტოქე ჰყავდა ჩინელი **ჰან ქსინიუნის** სახით. საინტერესოა უფრო ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ როგორ იმოქმედებს ერთ დროს ძლიერი რუსი ჩოგბურთელი.

კიმიკო დატესი არ იყოს, „ბერდება" ცნობილი ტაილანდელი ჩოგბურთელი **ტამარინე ტანასუგარნი**. ეს ვეტერანი იმ დღის დამარცხებულებს შორის ყველაზე უსუსურად გამოიყურებოდა - ტანასუგარნი 42 წუთში გაანადგურა მერვე ნომერმა **ბოიანა იოვანოვსკიმ**.

■ ■ ■

ასევე პირველი წრე დასრულდა მონტერეიში და აქაც დღეს საინტერესო მატჩების გარეშე არ ჩაუვლია. ტურნირს გამოეთიშა მეოთხე ნომრად განთესილი **იულია გორჯესი** - მან ორ სეტში წააგო რუს **ქსენია პერვთაკთან**.

პრინციპული უნდა გამოსულიყო ფედერაციის თასზე ამერიკის ნაკრების ორი წევრის - **ვანია კინგისა** და **მელანი ოუდინის** შეხვედრა. მაგრამ ბრძოლა არ შედგა - კინგმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ 13 ორმაგი შეცდომით გამოიჩინა თავი. შედეგად გამარჯვება უფრო ახალგაზრდა ოუდინს ერგო. სხვათა შორის, ეს ამ ჩოგბურთელების პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო.

წააგეს იმ ჩოგბურთელებმა, რომლებმაც წინა კვირას აკაპულკოს ტურნირზე გამოიჩინეს თავი: ნახევარფინალისტი **ლაურა პოუს ტიო ანასტასია სევასტოვასთან** დამარცხდა, ხოლო აკაპულკოს ფინალისტმა **იოჰანა ლარსონმა** ვერაფერი მოუხერხა **სარა ერანის**.

**WTA**

**Malaysian Open**

კუალა ლუმპური (მალაიზია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**I წრე**

**ალისა კლეიბანოვა (რუს, 3)**-ინ ინ ლუ (ჩინ) 6:1, 6:1; **იარმილა გროტი (ავსტრა, 4)**-სუნ შენგნანი (ჩინ) 7:6(2), 6:3; **ანა კრემერი (ლუქ)**-კიმიკო დატე (იაპ, 7) 4:6, 6:2, 7:6(5); **მისაკი დოი (იაპ)**-ტეტიანა ლუჟანსკა (უკრ) 6:2, 6:3; **კურუმი ნარა (იაპ)**-ელენა ბოვინა (რუს) 6:3, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 2)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 6:0, 6:1; **ბოიანა იოვანოვსკი (სერ, 8)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:0, 6:1; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:3, 6:2; **დინარა საფინა (რუს)**-ჰან ქსინიუნი (ჩინ) 6:2, 6:0; **ეკატერინა ივანოვა (რუს)**-ნინა ბრატჩიკოვა (რუს) 6:3, 4:6, 6:4.

**Monterrey Open**

მონტერეი (მექსიკა). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**I წრე**

**ანასტასია სევასტოვა (ლატ, 5)**-ლაურა პოუს ტიო (ესპ) 6:2, 6:4; **სარა ერანი (იტა, 6)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:2, 6:4; **ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ)**-ჟუჟანა ონდრაშკოვა (ჩეხ) 6:2, 6:2; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-ხიმენა ერმოსო (მექ) 6:2, 6:0; **ალიზ კორნე (საფ)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 7:5, 6:1; **სარა ერანი (იტა, 6)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:2, 6:4; **ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ)**-რომინა ოპრანდი (იტა) 6:0, 4:6, 6:1; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 6:3, 6:1; **ქსენია პერვაკი (რუს)**-იულია გორჯესი (გერ, 4) 6:1, 7:5; **მელანი ოუდინი (აშშ)**-ვანია კინგი (აშშ) 6:4, 6:1; **სიბილ ბამერი (ავსტრია)**-ანდრეა პლავაჩკოვა (ჩეხ) 4:6, 6:3, 6:3.

# კონორსი ყველა დროის საუკეთესოა

სამეცნიერო ჟურნალმა PLoS ONE-მა საინტერესო სტატისტიკური კვლევის შედეგი გამოაქვეყნა. მისი ავტორია ილინოისის ჩრდილო-დასავლეთი უნივერსიტეტის მეცნიერებათა დოქტორი **ფილიპო რადიჩი**. მან მიზნად დაისახა ჩოგბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშის გამოვლენა.

ჩოგბურთელთა დონის განსაზღვრისთვის რადიჩიმ მოთამაშეთა მიერ მოპოვებული „სტატუსის მქონე გამარჯვებების" (quality wins) რაოდენობა გამოიყენა. კვლევის დროს გაანალიზებულ იქნა მამაკაცების ყველა შეხვედრა 1968 წლიდან დღემდე და ყველა ჩოგბურთელს მიანიჭეს „პრეტიჟის რანგი" (prestige score), რომელიც ე. წ. „სტატუსის მქონე მეტოქეებზე" (quality opponents) გამარჯვებებს ეფუძნებოდა. ამასთან, კვლევა არ ითვალისწინებდა ტურნირების სტატუსს, სადაც ეს შეხვედრები იმართებოდა.

*„მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მატჩების მოგება, არამედ მაღალი დონის მეტოქეთა დამარცხება"*, - ამბობს კვლევის ავტორი.

აი, როგორი სახე მიიღო რადიჩის მიერ შედგენილმა ცხრილმა. პირველ სვეტში მოცემულია „სტატუსის მქონე მოგებების" რაოდენობა, მეორეში „პრესტიჟის რანგი". ამ კვლევის მიხედვით გამოდის, რომ ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი ამერიკელი **ჯიმ კონორსია**.


ჯიმი კონორსი

| | | |
|---|---|---|
| 1. ჯიმი კონორსი | 178 | 95.4 |
| 2. ივან ლენდლი | 134 | 83.6 |
| 3. ჯონ მაკინროი | 129 | 68.3 |
| 4. გილერმო ვილასი | 93 | 63.5 |
| 5. ანდრე აგასი | 79 | 60.3 |
| 6. სტეფან ედბერგი | 78 | 56.1 |
| 7. როჯერ ფედერერი | 39 | 55.7 |
| 8. პიტ სამპრასი | 87 | 55.5 |

როგორც ირკვევა, მსოფლიოს ამჟამინდელ პირველ ჩოგანს **რაფაელ ნადალს** 21 „სტატუსური გამარჯვება" აქვს მოპოვებული.

კვლევის ავტორები აცხადებენ, რომ არ ცდილობენ დღეს არსებული სარეიტინგო სისტემის შეცვლას, რომელიც მრავალი წელია მოქმედებს. უბრალოდ, „პრესტიჟის რეიტინგი" - ახალი მეთოდია, რომელიც საკითხისადმი არაორდინალურ მიდგომას ეფუძნება და შესაძლებელია სხვა სისტემების ერთგვარ დამატებად იქცეს.

# ნოვაკი დევისზე დაისვენებს?

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, შესაძლოა, გამოტოვოს დევისის თასის პირველი წრის შეხვედრა ინდოეთის ნაკრების წინააღმდეგ, რომელიც ბელგრადში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ სერბეთი ტურნირის მოქმედი ჩემპიონია და სწორედ შარშანდელ ფინალში ერთეულთა ორი თამაშის მოგებით დაიწყო ჯოკოვიჩის გამარჯვებათა სერია, რომელიც ახლა 14 მატჩს უდრის.

ჯოკოვიჩის სავარაუდო უარის მიზეზი არ სახელდება. *„ბელგრადში შევხვდი ნოვაკს და ინდოეთთან მატჩში მისი თამაშის გადაწყვეტილებას დღეს მივიღებთ"*, - განაცხადა სერბეთის ნაკრების კაპიტანმა **ბოგდან ობრადოვიჩმა**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ქოვენთრი-მიოლდე | 0:2 |
| ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 1:3 |
| გეფლე-ბრაგე | 1:1 |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ტამუორტი-კეტერინგი | 3:1 |

**ინგლისის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| არსენალი-ლეიტონი | 5:0 |

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა | 3:0 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ტორინო-ატალანტა | 1:2 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ხეტაფე-ატლეტიკო | 1:1 |
| ოსასუნა-დეპორტივო | 0:0 |
| სოსიედადი-ლევანტე | 1:1 |
| ვილიარეალი-ერკულესი | 1:0 |
| საგაროსა-ბილბაო | 2:1 |
| ვალენსია-ბარსელონა | 0:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალბასეტე-ვალიადოლიდი | 1:1 |
| ვალეკანო-ალკორკონი | 1:0 |
| ხერესი-ხიმნასტიკი | 1:2 |
| ლას პალმასი-რეკრეატივო | 1:1 |

**გერმანიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-შალკე | 0:1 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ჰერტა A-თურქიემი | 1:0 |
| მოისელვიტცი-კოტბუსი A | 2:0 |
| ლაიპციგი-ბრაუნშვაიგი A | 4:0 |

**საფრანგეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| შამბერი-ანჟერსი | 0:3 |
| პსჟ-ლე მანი | 0:0 დ.დ. 2:0 |
| ლილი-ლორიანი | 0:0 პენ. 1:0 |

**ჰოლანდიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ტვენტე-უტრეხტი | 1:0 |

**ბელგიის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| გენტი-ვოლუვე | 1:0 (2:0) |
| ბეერსხოტი-სერკლი | 1:1 (0:2) |
| მეხელენი-სტანდარდი | 1:4 (0:2) |
| ლიერსი-ვესტერლო | 2:3 (2:1) |

**პორტუგალია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბენფიკა-სპორტინგი | 2:1 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| სტ. ჯონსტონი-აბერდინი | 0:0 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ისტ სტირლინგი-ალბიონი | 0:0 |

**შოტლანდიის თასი**

**1/8 ფინალი. გადათამაშება**

| | |
|---|---|
| სელტიკი-რეინჯერსი | 1:0 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| კუოპიო-როვანიემი | 1:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აუსტრია-შტურმი | 2:2 |
| კაპფენბერგი-ზალცბურგი | 0:1 |
| ლინცერი-ვინერი | 2:3 |
| რიდი-ტიროლი | 2:2 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ლოზანა-კიასო | 2:1 |
| ლუგანო-შაფჰაუზენი | 2:1 |

**შვეიცარიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-სიონი | 1:2 |
| თუნი-ქსამაქსი | 0:0 პენ. 0:3 |
| იანგ ბოიზი-ციურიხი | 3:3 დ.დ. 3:4 |

**საბერძნეთის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-ოლიმპიაკოსი (3) | 2:1 |
| აეკ-პაოკ | 0:0 |

**თურქეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ბუკა-გენჩლერი | 1:2 (0:2) |
| გალათასარაი-გაზიანთეფი | 0:0 (2:3) |

**პოლონეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ლეჩია-იაგელონია | 0:0 |
| პოლონია (ვ)-ლეხი | 1:2 |

**უნგრეთის თასი**

**1/8 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ზალაეგერშეგი-ვაშაში | 3:0 (6:0) |
| პაკსი-კაპოშვარი | 0:1 (0:1) |
| ჰალადაში-ვიდეოტონი | 1:3 (0:3) |
| დიორი-მტკ | 1:1 (0:0) |

**მოლდოვა**

| | |
|---|---|
| ვიიტორული-შერიფი | 0:1 |
| ზიმბრუ-დინამო | 6:1 |
| ნისტრუ-გაგაუზია | 3:0 |
| სფინტული-ცსკა | 0:0 |
| ისკრა-აკადემიკა | 0:0 |
| ტირასპოლი-კოსტულენი | 3:0 |

**ბოსნია**

| | |
|---|---|
| დრინა-ბუდუჩნოსტი | 2:0 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**აზია**

| | |
|---|---|
| ალ ვეჰდა-ბუნიოდკორი | 1:1 |
| ალ ითიჰადი-პერსპოლისი | 3:1 |
| ზობ აჰანი-ემირეიტი | 2:1 |
| ალ რაიიანი-ალ შაბაბი | 1:1 |
| სერეზო-არემა | 2:1 |
| ჭეონბუკი-შანდონგი | 1:0 |
| სიდნეი-სუვონი | 0:0 |
| შანხაი-კაშიმა | 0:0 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ნეფტიხიმიკი | 1:4 |
| მეტალურგი (მ)-იუგრა | 4:3 (ო) |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 9:1 |
| ვოლერენგა-ლორენსკოგი | 4:3 (ო) |
| სპარტა-რუსენბორგი | 8:0 |
| სტავანგერი-ფრისკ ასკერი | 2:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-ბისტრიცა | 0:3 |
| ტრენჩინი-სლოვანი | 3:6 |

**ჩოგბურთი**

**WTA. კუალა ლუმპური**

| | |
|---|---|
| უ. რადვანსკა-**იოვანოვსკი** | 6:1, 5:7, 4:6 |
| ლერტჩეევაკარნი-**კრემერი** | 6:7, 3:6 |
| **დოკიჩი**-ნარა | 3:6, 7:6, 6:2 |
| **მორიტა**-ჟანგი | 6:0, 6:4 |

● TV პროგრამა

**3 მარტი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალაგა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რასინგი (LIVE).
**00:55** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალაგა (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვალენსია-ფენერბაჰჩე (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**16:55** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი. რაბიტა-ფაკრო (LIVE).
**20:55** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეი ოფი. საპასუხოI მატჩი. ტურკ ტელეკომი-ეკზაჩიბაში (LIVE).
**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. უნიკახა-პანათინაიკოსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**16:45** რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. სიბირი-სპარტაკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ლეტუვოს რიტასი-კახა ლაბორალი (LIVE).

**SPORT+**

**16:45** ფეხბურთი. რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. სიბირი-სპარტაკი (LIVE).
**19:45** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჩეხ. მედვედი-დინამო (LIVE).

**EUROSPORT**

**15:15** ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შერეული ესტაფეტა. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
**17:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესტაფეტა 4x5 კმ. ქალები. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**19:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. HS134. ოსლო. ნორვეგია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**14:00** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. სკი-კროსი. გრინდელვალდი. შვეიცარია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# სასწრაფოდ კლინიკაში

## სერენა უილიამსს ახალი პრობლემა აქვს


სერენა უილიამსი

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი სერენა უილიამსი სამშაბათს სასწრაფოდ გადაიყვანეს ლოს ანჯელესის ერთ-ერთ კლინიკაში. ექიმებმა ამერიკელ ჩოგბურთელს ფილტვის ემბოლია დაუდგინეს. სერენას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. ეს ინფორმაცია დაადასტურა უმცროსი უილიამსის წარმომადგენელმა **ნიკოლ ჩაბოტმა.**

*„გასულ კვირას ექიმებმა სერენას ფილტვის ემბოლიის დიაგნოზი დაუსვეს. მანამდე ის ნიუ იორკში იმყოფებოდა ტრავმირებულ ფეხთან დაკავშირებით კონსულტაციაზე.*

*სამშაბათს სერენას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, რადგან მკურნალობის შემდეგ მისი მდგომარეობა დამძიმდა. ახლა სერენა შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება“,* - განაცხადა ჩაბოტმა.

შეგახსენებთ, რომ უმცროსმა უილიამსმა თითქმის მოირჩინა ფეხის ტრავმა, რომლის გამოც შარშანდელი ივნისის შემდეგ არ უთამაშია და ინტენსიური ვარჯიშების განახლებას აპირებდა. ახლა უცნობია, მორიგი პრობლემა რამდენი ხნით გამოთიშავს უილიამსს აქტიური სპორტიდან.

# ანდრე და შტეფი მიშელ ობამას მხარდამხარ

მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგანი - ამერიკელი **ანდრე აგასი** და გერმანელი **შტეფი გრაფი** საზოგადოებრივი ინიციატივის - Let's Move!-ის მონაწილეები გახდნენ. ეს აქცია ამერიკის პირველი ლედის **მიშელ ობამას** მიერ არის ორგანიზებული. ჩანაფიქრის მიხედვით, ჩოგბურთი უნდა გახდეს ეფექტური და საინტერესო ხერხი იმისთვის, რომ ბავშვებმა შეინარჩუნონ ფიზიკური აქტივობის აუცილებელი დონე.

ორგანიზატორებმა გადაიღეს შესაბამისი ვიდეორგოლი, რომელშიც ობამა, აგასი და გრაფი კორტზე ემსახურებიან ჩოგბურთის მოთამაშე ბავშვებს - მათ ბურთებსა და პირსახოცებს აწვდიან. ვიდეორგოლს CBS Sports-ის, ESPN-ის და Tennis Channel-ის ეთერში დაატრიალებენ.

# ხისელა და ფლავია

წყვილთა თანრიგში მსოფლიოს პირველმა ნომრებმა - არგენტინელმა **ხისელა დულკომ** და იტალიელმა **ფლავია პენეტამ** ჟურნალ SportWeek-ის იტალიური გამოცემისთვის ფოტოსესია მოაწყვეს. გარდა ამისა, ჩოგბურთელებმა ვრცელი ინტერვიუ მისცეს გამოცემას, სადაც თავიანთ ბოლოდროინდელ წარმატებებზე ილაპარაკეს, დულკომ კი თავის ბოიფრენდთან - არგენტინელ ფეხბურთელ **ფერნანდო გაგოსთან** ურთიერთობაზეც მოუყვა ჟურნალისტს.






რაფაელ ნადალი

# რაფა პირდაპირ ეთერში გააღვიძეს

წამყვანმა ბელგიურმა რადიოსადგურმა Radio Contact-მა მსოფლიოს პირველ ჩოგანს **რაფაელ ნადალს** ძილი დაუფრთხო. ესპანელს სასტუმროს ნომერში დაურეკეს და საუბარი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. წამყვანმა ქალმა მოტყუებით მიიღო ნადალთან გასაუბრების უფლება - მან სასტუმროს თანამშრომელს განუცხადა, რომ ჩოგბურთელის დედა იყო.

ნადალი დილით ადრე გააღვიძეს და ის გადაცემა „დილა მშვიდობისას“ პირდაპირ ეთერში ჩართეს. რაფამ ყურმილი აიღო და მაშინვე გამოაცხადა - ძილი დამიფრთხეთო. წამყვანმა ბოდიში მოუხადა, მაგრამ ყურმილი მაინც არ დაკიდა, შემდეგ თქვა - მოხარული ვარ თქვენი ხმის გაგონებითო. ამაზე ჩოგბურთელმა უპასუხა, რომ ისიც მოხარული იყო, ოღონდ მაშინ, როცა ეძინა.

წამყვანმა ნადალს ერთ-ერთ უახლოეს პროგრამაში მონაწილეობა შესთავაზა, მაგრამ რაფამ უარი განაცხადა და რადიოს თანამშრომლებს ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციასთან დაკავშირება ურჩია.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ამჟამად ბელგიის ქალაქ შარლერუაში იმყოფება, სადაც 4-6 მარტს გაიმართება დევისის თასის მეოთხედფინალი - ბელგია-ესპანეთი.

ფორმულა 1

# ბერნი მარაზმშია

## ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა ხელოვნური წვიმის იდეა გაახმოვანა

უცნაური იდეა წამოაყენა ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** - ბრიტანელი რბოლების სანახაობრივი მხარის ასამაღლებლად ეტაპების ორგანიზატორებს სპეციალური სარწყავი სისტემებით ტრასის დასველებას სთავაზობს.

*„ჩვენს სერიაში ყოველთვის იყო სანახაობრივი რბოლები სველ ასფალტზე, ასე რომ, შეიძლება ვიფიქროთ ხელოვნური წვიმის მოყვანაზე. არსებობს ისეთი ტრასები, რომელთა ხელოვნურად დასველება შესაძლებელია. ასეთი სისტემების დაყენება ზოგიერთ ავტოდრომზე ძალიან იოლია. რატომ არ შეიძლება რბოლის შუაში წვიმის „ორგანიზება“? მაგალითად 20-წუთიანი ინტერვალით ან ბოლო 10 წრეზე. შესაძლოა, ხელოვნული წვიმის წამოსვლამდე ორი წუთით ადრე გავაფრთხილოდ პილოტები, მაგრამ არავის ეცოდინება, როდის შეწყდება „წვიმა“. ასე რომ, ყველა თანაბარ სიტუაციაში იქნება“,* - ამბობს ექლსტოუნი ფორმულა 1-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.


წვიმის რბოლა საინტერესოა

# სამი-ოთხი პიტსტოპით


ფერნანდო ალონსო

ფორმულა 1-ის პილოტები უკმაყოფილებას ვერ მალავენ „პირელის“ ახალი საბურავების გამო. მაგალითად, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ფერნანდო ალონსოს** არ მოსწონს ის, რომ მომავალ სეზონში გაიზრდება პიტსტოპების რაოდენობა, რაც ნეგატიურად იმოქმედებს წამყვანი საჯინიბოების გამოსვლაზე.

ბოქსებში გაჩერებების მიზეზი სწორედ „პირელის“ საბურავი იქნება, რომელიც უფრო სწრაფად ცვდება, ვიდრე „ბრიჯსტოუნის“ საბურავები, რომელსაც გუნდები შარშან იყენებდნენ.

*„ტესტებზე დავრწმუნდით, რომ საბურავების ცვეთის პროცესი გაცილებით სწრაფია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პიტსტოპების რაოდენობა გაიზრდება. ასეთი პერსპექტივა სულაც არ მხიბლავს, რადგან ეტაპების დროს, შესაძლოა, ბევრი არასამართლიანობა ვიხილოთ, რაც ძლიერ გუნდებს შეუშლის ხელს.*

*თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პირობები ყველასთვის თანაბარი იქნება. ნაკლებ პიტსტოპს ვერავინ შეასრულებს, ასე რომ, უბრალოდ ყველაზე სწრაფები უნდა ვიყოთ“,* - ამბობს ფერნანდო.

ალონსოს ეთანხმება მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი**. მან გამოთვალა, რომ ეტაპების დროს პილოტებს მინიმუმ სამჯერ მოუწევთ პიტსტოპზე შესვლა, რადგან ერთი ან ორი გაჩერება „პირელის“ საბურავების პირობებში შეუძლებელი იქნება.

*„ეს საბურავები მკვეთრად განსხვავდება იმათგან, რასაც გასულ წელს ვიყენებდით, მაგრამ ყველანი თანაბარ სიტუაციაში ვიქნებით,* - ამბობს ფეტელი ბრიტანული „ავტოსპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. - *ვფიქრობ, სულ სხვანაირ რბოლებს ვიხილავთ. ერთი პიტსტოპი გამორიცხულია და უფრო მეტიც, თავიდან ბოქსებში ორი შეცვლაც არასაკმარისი იქნება. ასე რომ, მოგვიწევს სამი-ოთხი გაჩერების გაკეთება. წესით, საინტერესო ჩემპიონატი უნდა იყოს.*

*საკითხი იმაში მდგომარეობს - კარგია ეს თუ ცუდი? ჯერჯერობით რთულია რაიმეს პროგნოზირება, თავიდან უნდა შევხედოთ, როგორ წარიმართება რბოლები. მაგრამ ამასთან, ჩვენ მივიღეთ ახალი უკანა ფრთა, რომელიც გასწრებას გაგვიადვილებს.*

*KERS-ის სისტემა პრაქტიკულად ყველას აქვს, ამიტომაც ამ მხრივ ბევრი არაფერი შეიცვლება. უკანა ფრთა კი სხვა საქმეა - შენ შეგიძლია გამოიყენო ის მხოლოდ შეტევისთვის და არა თავდაცვისთვის. იმედია, ეს ძალიან არ გაამარტივებს გასწრებას, თორემ რბოლა შეიძლება ხელოვნური გამოვიდეს“.*

# ლუისს ბოლიდი არ მოსწონს

ალონსოსა და ფეტელისგან განსხვავებით, სხვა საკითხით არის შეშფოთებული 2008 წლის ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი.** ბრიტანელს მიაჩნია, რომ „მაკლარენის“ ტექნიკურმა შტაბმა სასწრაფოდ უნდა იზრუნოს ახალი მანქანის გაძლიერებაზე.

ჰემილტონი აღიარებს, რომ მის ბოლიდს სერიოზული პრობლემები აქვს მოჭიდების ძალასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ლუისი იმედოვნებს, რომ ინჟინრები ძალიან სწრაფად გამოასწორებენ ამ ნაკლს.

*„2009 წლის ბოლიდი საშინელება იყო: მანქანა მუდმივად „ხტუნავდა“, მოსახვევებს სამი საბურავით გადიოდა, ხოლო მოჭიდების ძალა საერთოდ არ არსებობდა,* - აღნიშნა ჰემილტონმა. - *ეს მანქანა გაცილებით უკეთესია, მიუხედავად ამისა, მას დარჩა ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი - მცირე მოჭიდების ძალა. ეს პრობლემა ვერა და ვერ მოვაგვარეთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შევძლებთ ჩემპიონატის სტარტისთვის ამ პრობლემის ლიკვიდირებას“.*



მაკალარენი ჯერ სუსტია

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**